ჩვენი თეატრი

3

ბეილისი
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 791

3

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი მარტი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
გალაქტიონ ტაბიძე — ლირიკა ხალხისთვის.	3
ილია ხოშტარია — ლენინს	6
გიორგი ძიგვაშვილი — სამი ლექსი	7
გიორგი კაჭახიძე — ვინატრეთ	9
მირზა გელოვანი — უბის წიგნიდან	11
რევაზ მარგიანი — ბუხართან თქმული . . .	14
ვოლდემარ ავალიანი — ჩალის ქუდი	16
ანდრო თევზაძე — გაზაფხული ჩემს სოფელში.	21
იოსებ ნონეშვილი — დაბრუნებული არწივი. .	22
ლადო ბალიაური — ნანგრევთა შორის (დასასრული)	23
ალიო ადამია — ლექსები	38
ვსევოლოდ გარშინი — წითელი ყვავილი (თარგმანი მერაბ ლორთქიფანიძისა)	42
იოსებ მჭედლიშვილი — მგოსნის სიკვდილი . .	54

კრიტიკა

აკაკი გაწერელია — დავით კლდიაშვილი. . .	57

სარედაქციო კოლეგია: **ასტვაცატუროვი ერემია, ბენაშვილი დიმიტრი** (პასუხისმგებელი რედაქტორი), **გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელია დემნა, ჩიქოვანი სიმონ.**

პასუხისმგებელი მდივანი: **ნიკოლოზ აგიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 27/II-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/III-40 წ. ქაღ. ზომა 72 × 108. ეურნ. ზომა 7½×11. ფორმ. რაოდ. 4. შეკვ. № 489. მთავლ. № 2137 ტირ. 4000.

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ზალაჭტიოწ ტაბიძე

ლირიკა ხალხისთვის

ამხანაგებო!
მე ვსაუბრობ,
როგორც პოეტი,
აკადემიურ
აზრთა მარად
დამჭერი მხარის.
მაგრამ მე მინდა
მოგაგონოთ
ის უცხოეთი,
სადაც მომკვდარზე
იძახიან:
„უკვდავი არის“!
ჩვენს იქ ყოფნაში
საფრანგეთის
აკადემიას
უსრულდებოდა
ანგარიშის
წელი: სამასი.
და დღესასწაულს,
ფერად-ფერადს,
ნაკადებიანს,
მოგონებათა
ედებოდა
ფერი ლამაზი.
მაგრამ მე ფრანგი
პოეტები
არ მეცოდება,
წმინდა ფრანგული
მოწიწებით
ეძლევა ოდეს
აკადემიის
წევრს — უკვდავის
სახელწოდება —
და მომაკვდავის
უბრალოსი
ბალზაკს და დოდეს.
არც მოპასანი,
არც ფლობერი,
არც მოლიერი,
უკვდავთა შორის
არ იქნება
დაფნით მავალი,
სამაგიეროდ
იქ ჰერცოგი
შედის ძლიერი
დე რიშელიე
კარდინალთა
შთამომავალი.
ის რიგიანად
თუ ვერ დასწერს
უბრალო წერილს,
არის სიმბოლო
საფრანგეთის
ძველი დიდების
აქ, ხმისმქონე სდუმს
გაოცებით,
ლხმო კი მღერის
თავდავიწყებით,
ხრინწიანად,
გაბედითებით.
კათოლიკეებს,
ფეოდალებს,

ილია ხოშტარია

ლენინს

იმ ღამეს გული სევდით აივსო,
ვიდოდი მარტო, როგორც ობოლი.
მწუხარე ღამის მოსაგონებლად
ჩამოვარდება ხიდან ფოთოლი.

რა გულსაკლავად იანვრის ღამემ
ოცდაოთხ წელში მოისხა თალხი,
თითქოს ბუნებაც მიყუჩდა მაშინ
და ცრემლთა ფრქვევით ატირდა ხალხი.

მგზნებარე აზრი, დიადი საქმე,
ხალხისთვის სჭედდა დიდებულ დროსა,
სიკვდილის შემდეგ მისი თვალები
შარვანდედით კვლავ შეიმოსა.

გულჩიორების სასიმღერო ხმებს
თვით გრიგალებში ვერა, ვერ აშლის,—
ლენინზე თქმული ლექსების ბწკარებს
ჩააქსოვებენ სიმთა ჟღერაში.

ჩვენს საზღვრებს იქით, ჩაგრულ ერისთვის
მზე გამარჯვების ამოვა ვიცი,
რადგან უძლოდა, დღესაც მიუძღვის
კაცობრიობას სტალინის ფიცი.

გიორგი ქიგვაშვილი

სამი ლექსი

1. ზღაპარი კოლხიდაზე

ზღაპარში ყველაფერი შეიძლება:
სასახლედ გადააქცევ ქოხებს,
ქვეყანა მეშვიდე ცად შეიცვლება,
თუ გაშლი კუდიანის ნოხებს,
ხან შავი გველეშაპი მიგაცილებს
და მყინვარს ეკიდება ალი,
ხან ცამეტ მზეჭაბუკზე იქორწილებს
ცამეტი ჯადოქარი ქალი,
ხან ქარი — საიდან და სადაური —
დაჰკრავს და გადაგიყვანს ედემს...
...ზღაპარში შენც ქარივით გადაუვლი
დალისა და საფირონის ქედებს...
მაგრამ, თუ ზღვის ტალღები გადიწევა,
რომ იამ იშრიალოს ლაღად,
თუ შავი შამბნარები გადიქცევა
ლალის და საფირონის ბაღად,
თუ შხამი ნელსურნელად შეიცვლება
ხან გველი — ჩინარად და ვაზად,
თუ ქვეყნის ასე შეცვლა შეიძლება —
ზღაპარიც არ ყოფილა არსად!

2. ღამე ოპერის ბალში —

სადაც აკაკის ქანდაკებაა და
ფალიაშვილის, მარჯანიშვილისა
და სარაჯიშვილის სამარე.

დეკორატორი არ აფორმებს ამ ტრაგედიას:
თოვს, პროსპექტის შუქს და შვიდი ცის შვიდკეც ბისონებს
მარჯანიშვილი არ დაუთმობს სხვა რეჟისორებს...
იქვე აკაკიც — სუროს ტბაში თითქოს გედია,

იქნებ ლირის ხმა სამარეში ვერ დაეტია,
იქნებ ოპერა მოენატრა დიდ კომპოზიტორს?
ის ქარს შესჩივლებს — მშობლიური ხმები მოზიდოს —
სჩანს, მარადი წვა შემოქმედის წმინდა ბედია...

შეერთდებიან, მოჰქარგავენ ბაღის ხალიჩებს,
დილის დროაო—რეჟისორი ჩიტებს ანიშნებს
და მერე ქალაქს რომ წამოშლის მათი ყიჟინი —

უკანასკნელად მოითხოვენ ბინდის შლეიფებს...
სამი აკლდამა ფრთოსან სხივებს მხრებზე შეიფენს
და მზეს ლილეოს შეჰღალადებს სარაჯიშვილი.

3. ბავშვის მოგონება

წინ მოლი იყო. აქ ტყე წყდებოდა,
და კორდი ოდნავ ხრიდა ბილიკსა,
ტყიდან წყაროსკენ ემართებოდა
რუს ნაპირ-ნაპირ პირდაპირი გზა.

წყაროსთან ერთი დიდი ხე იდგა,
კანზე უთვალავ ანბან-თარიღით,
შორს მთები სდუმდნენ, წინ კი, ხევიდან,
ჯოგი სჩანდა და მწყემსის ფარეხი...

ახლა გავყურებ — აღარც ერთია,
აღარც მეორე, აღარც მესამე...
სხვა ეშხს მოუცავს ველი ერთიან,
ძველი ხეებიც არ მომესალმენ.

მე მათ დავეძებ... თითქო მერჩია,
თითქო ბავშვობის ნახვა მომინდა...
ვცადე გონებით, ვცადე ლექსშიაც,
მაგრამ თქვენც ხედავთ, არ გამოვიდა...

———

გიორგი კაჭახიძე

ვინაჭრეთ

ღამით ფიქრების ნათელ ბრნაში
ფრთხილად შესულმა ვნახე სიზმარი:
ვითომ ნაძვების დიდ ხეივანში
შემხვდი ფერმკრთალი.

იყავ მშობელი და ქალიშვილიც!
ეჭვი დარდივით გულს დაეჭიდა:
ჩვილი, პატარა, ვით თვალისჩინი,
თეთრადმორთული ხელში გეჭირა!

ფიქრმა შემიპყრო, და საბურავი
ეჭვთან ჭიდილში გულს მოეხადა:
შემკრთალ სახეზე ხმა სამდურავი
და გაკვირვება გამომეხატა.

მწუხრმა მოიცვა ფიქრთა სივრცენი,
თითქოს ვუცქერდი სხვა ცას, სხვა მხარეს...
ჩემი ტკივილი, ალბათ, იგრძენი
და მორიდებით თვალი დახარე.

გახდა აშკარა წყენა ფარული,
ხვედრმა ტანმოხრილ ხეს დამადარა...
შენზე ოცნებით და სიყვარულით
გავეთამაშე მაინც პატარას.

უცებ შევცვალე ხმა და სათქმელი
გაჩნდა ხალისი, შვების მიზანი:
ბავშვის ღიმილში რაღაც ნათელი
ჩემი ღიმილის შუქი ვიცანი.

გულმა მოწყენის ხმაზე ნამღერი
გრძნობის აშლილი სიმი გაწყვიტა.
გავმხიარულდი, და ყველაფერი
ჩემებრ გარშემო ლაღად გაბრწყინდა.

ბედნიერება ფარითოდ ვიგრძენი,
ვიგრძენ, ამაღლდა ზეცის თაღებიც,
და მომეჩვენა, ვით მასპინძელი
ჩემი ოთახის ფანჯრებს აღებდი.

ნიავს ოცნების ფრთებად ვსახავდი,
თან დავცინოდი ეჭვებს მაცდურებს...
შემომხედე და სულის ღაღადი
მორცხვი ღიმილით დამიდასტურე!

შევკრთი... არ იყავ...
ღამეც დაძველდა,
ფიქრებს შეეხო დილის სინათლე...
შემდეგ, რომ შემხვდი, მართლაც ნაძვებთან,
ცხადად ახდენა სიზმრის ვინატრეთ!

—

მირზა გელოვანი

უბის წიგნიდან

ბალადა შავლეგოზე

შავლეგო ,არსენას რაზმელი ,ყოფილა!.
ხ ა ლ ხ უ რ ი.

ეს ნამქერიც რა დიდია,
ქარიც როგორ დაიხელთა!
ან ღრუბლები სად მიდიან,
ან შენ საით, დედისერთავ?!
— სად მიდიხარ! — ვილაც ოხრავს,
ვილაც მიჯნას გადასცდება.
შავლეგ, შენი შავი ჩოხა
შავს ღამეში გაბაცდება!
დასწევიან მთვარეს დაღლილს,
აჩრდილები ჰფარავენო.
— ვა-ვა-ვაუ! — ყმუის ძაღლი,
მთვარეს მოიპარავენო!

ღამევ, ღმერთი დაგკარგვია,
გზები ნამქერს დაუფარავს.
ვარსკვლავები აუგვიათ,
თეთრი მთვარეც მოუპარავთ.
მგზავრმა რა ჰქნას, გზას თუ შერჩა,
თოვლის ხვავი ხევებს ავსებს,
არც გზა სჩანს და მთვარე არ სჩანს,
თან ცივა და იცის ასე.
ჭირს ნაპრალზე ფრთხილი ხოხვა,
ქარაფებზე მუხლის რხევა.
შავლეგ, შენი შავი ჩოხა
შავს ღამეში დაგეხევა!
მაშ ნუ მოხვალ. დადექ ბარემ,
თორემ ქარი აბეზარობს;
დედა მაინც შეიბრალე,
დედის გულის საფიცარო!

ბიჭო შავლეგ! ჩოხა შენი,
შავს ღამეში კერა დედამ.
ამიტომაც ასე გშვენის,
შავი ფერი დაგებედა.
შავლეგ, შენი შავი ჩოხა
შავად შეგიხამებია,
წაგიღია ბევრის ოხვრა,
ბევრიც გაგიხარებია!
ახლა ცივა!.. ყინვის ნემსებს
ქარაშოტი ატრიალებს;
ზოგჯერ ხევი დაიკვნესებს,
ზოგჯერ — გული სატიალე.
მგელი ყმუის.... თოვლი მრავლობს
და ტლუ მუხა თეთრად ათევს.
თებერვალო, თებერვალო,
ქარიანო თვეო!...

წამოვიდა, გზა დახაფრა
და კვლავ მოსთქვამს ქარი — შლეგი.
ჩამოძენძა, როგორც აფრა
ღრუბლის თეთრი ბალიშები.
და სადაც კლდე ზეცას ეძებს,
სად კლდეს ეძებს განთიადი,
ქარს ენდო და ნაპრალებზე
გადაეშვა კაცის ლანდი.
უღიმღამო ღრუბლის ნალექს
ქარი სცემს და დუმილს ცდილობს.
კლდის ძირს კვდება ბიჭი შავლეგ,
გული კვდება უწადინო.

— ქარო, შე ქარო შარიანაო,
წადი გაიარ მუხრან-ველი.
კლდეს არწივები არიანო,
არსენას უთხარ — ნულარ მელის.
შავლეგ, ხიფათმა დაიტანაო,
სადაც უტყეო მთები არი.
არც ქვრივმა დედამ დაიტირაო,
არც სატრფო მოსთქვამს თმებიანი.
ქარო აშარო, ფრთა გაშალეო,
არწივებს უთხარ კაცის ენით.
— კლდის ძირას კვდება ბიჭი შავლეგი,
მარტო კლდე ტირის ჟანგისფერი!

*
* *

იქნებ, ძვირფასო, მარტო ხარ ისევ
და ყველა წუთი ოხვრას უნდება.
ეს სიჭაბუკეც წამოვა ისე,
გრძნობებიც ისე გამოხუნდება.
საათი რეკავს და წუთებს სცელავს,
მოდის სიბერის ფრთის სიფარფარე.
თმები დაიწყებს თანდათან ცვენას
და ხუჭუჭ თმებში ჩაჯდება მთვარე.
შენც დაბერდები, სიმშვიდე სრული
წავა და ისევ განმეორდება.
ჩვენ დავბერდებით, ო, მაგრამ გული,
გული არასდროს არ დაბერდება!

დამშვიდება

რისა გეშინიან?!
შენი აჩრდილია,
დაგდევს და სურვილი აწვალებს.
შენი კოცნა უნდა?
არც გასაკვირია,
მას კოცნა აკვანში ასწავლეს.

შენს შემდეგ

ეს გაზაფხული შემხვდა შენს შემდეგ,
შენს შემდეგ მივდევ ვიწრო ბილიკებს.
მე დავიღალე აღმართებში და როცა შევდექ:
შემოცხვა და ბედი, ჩემივ ბედი გავაქილიკე.
და კვლავ მივდივარ. სიმშვიდეა ჩუმი ნიშანი,
რომ გამარჯვება, უსათუოდ ჩემია ბოლოს.
შორი ნათელი მეგებება შორიგზისანი
და სადარდელად, მეგობარო, შენ დამრჩი მხოლოდ!
მშვიდობით! გული მხოლოდ მიზანს ესაკადრისა,
და ჩემს ნაბიჯებს აშოლტილი ხენი ლოცავენ.
მე გავიმარჯვებ, მოწამეა მიწა ქართლისა
და გაზაფხულის ცაა მოწამე!

რევაზ მარგიანი

ბუხართან თქმული

ნაია

ბედნიერების შაირებს ჰყვება,
დიდი ბუხარი სიკეთე სახლის,
ხან იღველფება, ხან აინთება
და ციცნათელებს ბნელეთში დაჰყრის.

შენ კი, ნაია, ჩიბუხით ხელში
ბუხართან სთვლემ და ოცნებობ ტკბილად,
დიდი ბუხარი შენსავით ხვნეშის
და სამეგრელოს ოცნებით სძინავს.

— ნაია, ჩემო კარგო ნაია,
ქართითმოსული ვზივარ სტუმარი,
დიდედა არ მყავს კარგი ხანია
და შენს კალთაში მაქვს სასთუმალი.

...ჩემო ნაია, ჩიბუხით ხელში
ბუხართან სთვლემ და ოცნებობ ტკბილად
დიდი ბუხარი შენსავით ხვნეშის
და სამეგრელოს ოცნებით სძინავს.

ჯიხვის სიკვდილი

ცისკრის ჟამს მოვარდა დაჭრილი,
სტიროდნენ თვალები მისნი,
სუნთქავდა სისხლისგან დაცლილი
და ბალახს ღებავდა სისხლი!

ცისკრის ჟამს უსუსტა მუხლმა
დაეცა, რა ექნა საწყალს?
— ვაიო, თავის გულს უთხრა
გაყუჩდა და წუთით დაცხრა!

შემდეგ კი ადგომა სურდა,
ცისდარად ინათლა თვალმა,
გახშირდა ოხვრა და სუნთქვა
— დამწყევლა, ალბათო, დალმა!

გულმა რომ სიკვდილი ამცნო,
საბრალოდ სტიროდნენ თვალნი;
— ჩემს ცოდვას ნუ იდებთ, კაცნო,
დამიხსენთ ალესილ დანით!

ცისკრისკენამს შესწყვიტა სუნთქვა
ჩაშავდნენ თვალები მისნი;
ცისკარმაც შენდობა უთხრა
ბალახებს შეფერილს სისხლით!..

*

* *

თოვდა, ფიფქიან წამწამებს შენსას
ზედ აცვიოდნენ ნაზი ფიფქები.
მაშინ წამწამთა შერხევით მესმა,
შენი ზრახვანი და საფიქრელი.

მესმა მორცხობა და სინანული,
მე კი სიმწარით მეღიმებოდა,
როგორ ქრებოდა ის სიყვარული,
ო, იმ ფიფქივით როგორ დნებოდა!

ვოლდემარ ავალიანი

ჩალის ქუდი

იტყვიან ხოლმე: თვალებს არ დაუჯერაო...

პირველად მართლა არ დაუჯერა საკუთარ თვალებს ბიკენტი ლატარიამ.

გაზეთი მაგიდაზე გაშალა, მილეული, ფრჩხილნაზარდი ნეკი რიცხვების გრძელ მწკრივს ჩამოაყოლა, უცებ შეჩერდა, რიცხვის ფუძეს ფრჩხილი გაუსვა და უფრო ახლოს დახედა...

ჯერ ზეპირად თავისი ობლიგაციის ნომერი მოიგონა, თვალწინ წარმოიდგინა, მერე უბის წიგნაკი ამოიღო, იქაც შეამოწმა... თითქო ყველაფერი რიგზე იყო.

...სერია სერიას ემთხვეოდა.

...რიცხვი რიცხვს.

...მაგრამ, არ იქნა და, მოგების შესაძლებლობა ბიკენტის რწმენას ვერ დაემთხვა, ვერ დააჯერა საკუთარი თავი...

მით უმეტეს: რიცხვის გასწვრივ — მოგებას რომ გადახედა, ცივად იუარა გუნებაში: სად ჩემი ობლიგაცია, სად ამოდენა მოგებაო.

ფიქრებში, ეჭვში, ყოყმანში, თვალები აერია, ქუთუთოები აუთრთოლდა, მერე ნეკიც აუკანკალდა. იმ უცნაურ რიცხვს ასცდა, მოიკაკვა, დანარჩენ თითებს მოეფარა...

ნელა დაეშვა ბიკენტი სკამზე.

ველარ გაუძლო...

ის კი, სეიფი მაინც არ დაავიწყდა, მარცხენა ხელით მის მძიმე კარს უბიძგა, მიჰკეტა...

ბიკენტი უზომოდ კმაყოფილი იყო, როგორც თავისი გვარით, ისე თანამდებობით...

მამაც მოლარე ჰყავდა.

... ისეთივე პატიოსანი, საქმისმცოდნე, მოყვარული, ისეთივე ფრთხილი, დაკვირვებული, როგორიც თითონ იყო. ყველაფერში მამას ჰგავდა.

მამას იმეორებდა თითქო, თუ მის ჩვეულებას, ობლიგაციების სიყვარულს მხედველობაში არ მივიღებთ, მაგრამ... შეუძლებელია ბიკენტი ახსენოს ვინმემ და ობლიგაცია არ მოიგონოს უმალვე. კმაყოფილი ხშირად იმეორებდა ხოლმე: რა იქნებოდა, ობლიგაციები არ შემოეღოთო. იმდღიდან, რაც ობლიგაციებისადმი ასეთი ინტერესი და სიყვარული აღეძრა, არცერთი გათამაშება არ გამოუტოვებია. ძველი, გათამაშებული და უკვე გაუქმებული ობლიგაციების თითო ცალი, როგორც მარადიული მოსაგონარი, სუფთად ჰქონდა შენახული: შუ-

შიან ჩარჩოში ჩასმულ მუყაოზე თანმიყოლებით, ლამაზად დაკრული და კედელზე დაკიდებული...

უყვარდა, უხაროდა, როცა უყურებდა, თუმცა არცერთ მათგანს ის სიხარული არ მიუნიჭებია მისთვის, როგორსაც ბედნიერი მომგები განიცდის... სამსახურში ყველაზე სასიხარულო დღე და წუთები მაშინ დაუდგებოდა, როცა ახალი სესხის ხელუხლებელ ობლიგაციებს ურიგებდა თანამშრომლებს...

თანამშრომლებმა კი წინდაწინვე იცოდნენ: თუ კი ზედმეტად გაღიმებულს და აფუსფუსებულს დაინახავდნენ ბიკენტის, იმ დღეს უსათუოდ ობლიგაციებს მიიღებდნენ...

ყოველ ობლიგაციას ისე შეეხებოდა თავისი მოკლე, სახსარგასხვილებული და დანაოჭებული თითებით, როგორც საიდუმლოებით მოცულ ნივთს ეხებიან ხოლმე...

შეეხებოდა, ახლოს დახედავდა, ჩაფიქრდებოდა, წუთით მიელულებოდა თვალები... ობლიგაციის კუთხეებში წითელი საღებავით დაბეჭდილ გრძელ რიცხვს ამოიკითხავდა, გაიღიმებდა, გაიფიქრებდა; ვინ იცის რანაირ ბედს, რამდენ ათასიან მოგებას ჰპირდება პატრონს ეს ლამაზად მოხატული ფურცელი... ეს გრძელი ფერწითელი მწკრივი რიცხვებისა...

L9 791

მერე პატრონს გადასცემდა ფრთხილად, ეტყოდა ხმადაბლა: — გაუფრთხილდი და გაგახარებსო...

ობლიგაციის პატრონს წუთით ხელებში შეაჩერდებოდა; გული ვერ უთმენდა, თუ ძალიან დიდი ზომისა არ იყო — ობლიგაციის შუაზე გადაკეცვის ნებას არავის რთავდა, ენანებოდა, თითონ ისე დიდად აფასებდა, სხვებსაც უნდა მაგალითი აეღოთ მისგან...

ისიც უხაროდა, უზომოდ კმაყოფილი იყო, როცა თავისი ხელით გაცემული ობლიგაცია მოიგებდა..

საკუთარი თავი კი აღარ ახსოვდა, ან როგორ გაბედავდა — გაეფიქრა, რომც მოგონებოდა: „მე რაღა დავაშავე?“

და თუ მაინც გაბედავდა და გაიფიქრებდა: ურყევი რწმენა და წარწერა ბილეთზე: „წაუგებელი გათამაშება“, ყოველთვის ამშვიდებდა, მოთმინებას ჰმატებდა.

ახლა თითონაც იგემა ეს სიხარული, საკუთარ თავზე გამოსცადა...

დაჰხედა თუ არა ხელმეორედ იმ რიცხვს გაზეთში, მის ობლიგაციას რომ ემთხვეოდა — თვალთ დაუბნელდა თითქო; არ ელოდა... იმდენს მაინც...

ოცდახუთი ათასი!.. სასწაულია!..

ადგა, გაზეთი ხელების კანკალით დაკეცა, უბის ჯიბეში ჩაიდო. სეიფი კლიტით გადაჰკეტა; როგორც ყველა მოლარეს სჩვევია: კარის სახელურს მოავლო ხელი, მოსწია მაგრად, მოსინჯა...

... დროზე მოაგონდა ბანკში წასვლაც, ფული უნდა მიეღო... გაიფიქრა: გზაზე სახლშიც შევივლი, ცოლს ვეტყვიო...

შეყოყმანდა... ცოლს თუ ეტყოდა, მაშ ხუთსართულიან სახლის მდგმურებსაც უნდა გაეგოთ...

ცოტა შევიცდიო, დაასკვნა.

მაგრამ ბანკისკენ მიმავალმა, სახლს რომ გაუსწორდა, ვეღარ მოითმინა, ვერ დაიტია სიხარული და საიდუმლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანში, ერთხელ კიდევ გასინჯა გაზეთი, შეამოწმა. რა არ იფიქრა სამსახურიდან სახლამდე — გზაში, როგორი გეგმები არ დააწყო...

ნელი ნაბიჯით კიბეზემიმავალს, ჩაფიქრებულს თავისი სახელი შემოესმა. მაღლა აიხედა. მეორე სართულზე, ოთახის ღია კარებში ცოლი იდგა, უღიმოდა, ელოდებოდა... გამოწყობილი, შეპუდრული... მარცხენა ხელით საფულეს აქანავებდა.

ხომ არ დამასწრო გაგებაო, გაიფიქრა ბიკენტიმ, ეჭვით ჰკითხა:

— რა გაცინებს, ქალო!?

ორივენი ოთახში შევლენ, კარებს მოხურავენ...

— რა გაცინებს? მეც გამაცინე!..

— ერთი რამ მიხარია!.. — ბავშვური გულუბრყვილობით წაუჩურჩულებს ცოლი.

—მაინც, თქვი ბარემ!

— მოგიყვები, სული მოითქვი!

— მითხარი, ამდენი არ მცალია...

— ბი-კენ-ტი!.. — გაუცინებს, მიუალერსებს, — ბიკენტი, ჩვენ რომ მოგვეწონა გახსოვს?!.. — კიდევ შევხვდი დღეს ისეთ... ჩალის ქუდს!..

ბიკენტი მოლბება, გაუცინებს. ქუდს, პორთფელს იქვე დივანზე მიაგდებს... ცოლსაც ზურგიდან მხარზე ხელს გადახვევს, მეორე ხელით თმებს შეუსწორებს, საფეთქელთან აკოცებს... მერე მისკენ თავს დახრის და ჩურჩულით აღსარებასავით დაიწყებს:

— ხვალ... ან ზეგ შეპირებული ქურქი უნდა გიყიდო; დავიგვიანე, გავტეხე სიტყვა, მაგრამ... ჯერ კიდევ ჯვარისწერამდე გპირდებოდი... მაპატიე.

— ეგ რამდენიხანია გაპატიე, ახლა?!.. —

— ...ოთახებსაც მივხედავ; კედლებს უკვე სიძველისა და სინესტის სუნი ასდის. აქაიქ გაქლეჭილი, გაქონილი და ჩამოტყაულიც კია შპალერი... გამოცვლა უნდა.. ერთად გავიაროთ მაღაზიაში, ფერები შევარჩიოთ... ოთახს რომ მოვრჩები, აივანს მივხე...

— ბიკენტი! — მიაშტერდება, შეაჩერებს ცოლი, — როგორ? საიდან? სიზმარს ხომ არ მიამბობ?

— არა, გენაცვალე! რამდენიხანია სიზმარი აღარ მინახავს, ობლიგაციის საქმეა სულ!... მოვიგეთ...

— ობლიგაციის?!.. — ნაწყვეტნაწყვეტად წაილუღლუღებს ცოლი, ხმა აღარ ეყოფა, ნერწყვი დაადგება ყელზე. სახეც გაუფერმკრთალდება ცოტათი...

ბიკენტიც, შეავლებს თუ არა თვალს — თითქოს იგიც იგრძნობს რაღაც არასასიკეთოს, ისევ მოუსხლტება მუხლებში, ისევ აერევა თავლები... ცოლის მხარზე გადახვეული მკლავიც დაბუჟებულსავით ჩამოეშვება... ერთი ნაბიჯით დაიხევს უკან, შეხედავს... — რას ამბობ ქალო, რას?! ამიხსენი...

სულს მოითქვამს, შეხედავს მწყრალად... —

— იქნებ გაგიწყრა... და!..

ცოლი ერთხელ კიდევ გაიმეორებს შეშფოთებით: ობლი-გაცია!..

ბიკენტის მიუახლოვდება, თითონ მოხვევს ხელს, თითონ გაუსწორებს თვალს...

— რა იყო, ქალო?!... — უფრო წყნარათ გაუმეორებს ქმარი.

— მაცალე!.. —

— თქვი მალე, რა ქენი, როგორ იყიდე, რა მიეცი იმ საოხრო ჩალაში... ჩალის ქუდში?!

სათქმელს ველარ გაათავებს მღელვარებისაგან. ქვედა ტუჩი სასაცილოდ აუთრთოლდება...

— მაცალე!..

— რა მიეცი იმ ჩალაში?

— ქუდში? — ოცდახუთი მანეთი და...

შეტოკდება ლატარია; მოურიდებლად გაიქნევს მკლავს.

— მომისმინე, კაცო, ვაი?!..

— თქვი!..

— ბიკენტი! — ისევ მიეყრდნობა, ისევ მოხვევს ხელს ცოლი კუდლისკენ მიბრუნებულ ქმარს...

— იცი, მედაჩემი ამხანაგი მარგო ერთად ვიყავით ბაზარში, სადილისთვის სანოვაგე ვიყიდე, მჟავეულობაც წამოვიღე ცოტა, შენ რომ გიყვარს. მერე ფეხით წამოვედით სახლისაკენ. მაღაზიებში ჩამოვიარეთ. დავათვალიერეთ ისე, მაგრამ... რაღაც ეშმაკად — მედაშენ რომ ვნახეთ, ხომ გახსოვს, როგორ მოგეწონა, კიდეც შემპირდი, სწორედ ისეთ ჩალის ქუდს წავაწყდით ერთგან — თეთრ-ლენტმოვლებულს. ავფუსფუსდი, გადავქექე საფულე... ისიც ვიცოდი... ქუდიც ერთი იყო მარტო... შენთან რომ შემომევლო... შორს ვიყავი... იქნებ ვერც მენახე... ისიც გამახსენდა, ფული არ გქონდა... რომ შემომევლო და შენ ფულიც გეშოვნა... ამასობაში, ალბათ, გაიყიდებოდა კიდეც...

ბიკენტიმ მოიხედა, ცოლის ნაზად მოალერსე ხელს დახედა, რომელიც ფრთხილად მოძრაობდა მის მხარზე და მკლავზე...

— ძალიან მომეწონა. ვთხოვე შეენახა, მაგრამ ნოქარმა მითხრა, გადანახვის ნება არა გვაქვსო... მერე შევეხვეწე!..

ისევ მოიხედა ბიკენტიმ წამით.

— ჰო, შევეხვეწე! — გაკვირვებით, ჩურჩულითა და თითქო დარცხვენითაც გაიმეორა ცოლმა.

— შეეხვეწე, მერე?!..

— შევეხვეწე; მენანებოდა ხელიდან გაშვება.

— მორჩი, თქვი!..

— ვამბობ, არ ვამბობ?!

— რა მიეცი, გამაგებინე?

— რა?.. ხომ გითხარი!

— ფუი! — ნერვიულად შეატოკებს თავს ბიკენტი...

— ცოტაც მაცალე, რა იყო?

— რა ღა გაცალო, დამაქციე!..

— მათქმევინე!

ათქმევინა.

— ფული არც მე მეგულებოდა სახლში... მარტო ობლი... ჰო იღბლად ახალი, ასმანეთიანი ობლიგაცია გამახსენდა...

ისევ შეიძრა, შეტოკდა ბიკენტი ობლიგაციის ხსენებაზე... თავს ძალა დაატანა, მოთმენა ამჯობინა... —

— ...გამახსენდა ასმანეთიანი და... იმედი მომეცა, გამეხარდა, ბევრი აღარ მიფიქრია...

„ასე იცის ქალმა“ — გაიფიქრებს ბიკენტი...

— ...შარშანაც დავახურდავეთ აღარ გახსოვს?!

— მარგოს ვთხოვე ესესხებინა, შევპირდი: ერთ საათში დავუბრუნებდი, რადგანაც ობლიგაცია... ქუდის ფასი გადავიხადე; ნოქარმა ლამაზად შემიხვია, ფერადი ლენტით შეკრა შეხვეული. წამოვიღე სიხარულით... მოვედი თუ არა გავსინჯე. ლამაზი მეჩვენა სახლშიც.. მერე მარგოს ვალიც გამახსენდა, ის ობლიგაცია ავიღე და... აგერ შენც შემხვდი კარებში...

— ა!..

ცოლმა მშვიდად გახსნა საფულე... ოთხადმოკეცილი ასმანეთიანი, არა... ოცდახუთიათასმანეთიანი ობლიგაცია გაუწოდა ბიკენტის...

დახედა ქმარმა, ისევ აუკანკალდა მარჯვენა ხელის ნეკი; აუთრთოლდა ქვედა ტუჩიც... ისევ წამოსცდა აღტაცებული:

— ა!!!

ანდრო თევზაძე

გაზაფხული ჩემს სოფელში

აქ უთვალავჯერ მოსულა იგი,
უხარებია ხალხის კერია,
მზეს გაუშლია ბუნების წიგნი
და რუსთველივით დაუწერია.

მთების კალთები მზით მონაქარგი,
წყაროს კამკამი, ფოთლების ტაში;
რა უნდა იყოს იმაზე კარგი,
როგორც მაისი ჩემს ქვეყანაში.

აი, მოვსულვარ, სამშობლო მთებო,
რომ თქვენს წიაღში დავტკბე, ვიხარო,
კვლავ იავნანა შემომაგებოთ,
გულიდან ფიქრი გადამიყაროს.

თქვენი აჩრდილი ყოველთვის მახლდა,
თუმც გამატანეთ ბევრი ნაღველი,
გახარებული დავბრუნდი ახლა
ერთი პატარა მგოსნის სახელით.

ჩემი ბავშვობა თქვენთან ახლდება,
მინდა, შეგფიცოთ კვლავ ერთგულება,
აქ მამის ძვლები ხომ ინახება,
აქ დედის კალთა ხომ მეგულება.

თქვენს ლამაზ მინდვრებს, მთებსა და სერებს,
თუ გინდ მოვშორდე, ბედმა მიმუხთლოს,
ახლა კი არა, სიცოცხლის მერეც —
თქვენ მეყვარებით ყველაზე უფრო!

იოსებ ნოდეშვილი

დაბრუნებული არწივი

ღამით მოდიოდა მცხეთის მთაგორებით,
თეთრ ცხენზე იჯდა და მხრებზე ედგა მთვარე.
წმინდა გიორგია ზღაპრად გაგონილი, —
ალბათ იფიქრებდა მისი შემხედვარი.

ქალაქს შემოცურდა ცხენი ღრუბელივით,
ძლივს ჩანდა ქალაქი თალხის სამოსიდან.
სიონთან შეჩერდა თითქოს უნებლიედ
და ბერი არწივი წამსვე გამოფხიზლდა.

ო, განა ტფილისი ასე მოვერანდა!?...
ვერ იცნო. მოეცვა ირგვლივ მხარე დუმილს;
მხოლოდ სისხლისფერად მტკვარი მოღელავდა
და კვნესდა დილეგში აბო წამებული.

ვაგლახ, მტარვალებმა ასე ვით გაძარცვეს!?..
ჩაბღუჯა ხელში და აღარ აჰყვა ხმალი.
თავისი ამალით ამ წმინდა ტაძარზე
თურმე ნადიმობდა აღა-მაჰმად-ხანი.

სისხლით უბზინავდათ ფოლადის ჯავშნები,
ცეცხლის შუქისაგან სახე ალეწილებს.
ნიავს ამოჰქონდა ტირილი ბავშვების,
კალოუბანზე რომ ცხენებს ალეწინეს.

თვალი მოაშორა, — თვალებიც ვერ იტანს,
ცხენს დეზი ამოჰკრა შემდეგ უგუნებოდ.
ისევ მოესმოდა კრწანისის ველიდან,
სამას არაგველთა ძვლები გუგუნებდნენ.

სევდას მოეჩრდილა გმირის წამწამები;
ბევრგან შეჩერდა და ბევრი ინაკლისა.
ბედი სამშობლოსი, მარად ნაწამები,
ასე გარდიწყვიტა გულმან ირაკლისამ.

ლადო გალიაური

ნანგრევთა შორის*)

ერთ დილით ქარავანი მისდევდა ხრიოკ ფერდობს, გორები რომ დასდგომოდა დარაჯად: სურსათსანოვაგით დატვირთული სახედრები, ჯორები, აქლემები მიემართებოდნენ ნამალევი გზით თმოგვის ციხისკენ.

შეიარაღებული გლეხები მისდევდნენ ბარგიან ულაყებს და შუადაშუ დიაცყმაწვილი ჩასდგომოდათ — ციხეს ახიზნებდნენ თავს.

ქარავანი ზემოთ თმოგვის მხარიდან მიადგა სიმაგრეს. კარების მახლობლად მზვერავები შეხვდნენ, — მგზავრები ყურადღებით დაათვალიერეს. არავინ დაუჩნდათ საეჭვოდ. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა უცხოობდა, მაგრამ, როდესაც მის ჩამოხეულ ტანისამოსსა და უდროოდ დამჭკნარ სახეს დააკვირდნენ, თავი გაანებეს, ქარავანს კარები გაუღეს და ერთი თვის სურსათსანოვაგე მიიღო ციხემ.

იმდღეს სიმშვიდე სუფევდა თმოგვის გარშემო. მტრის ბანაკიდან საბრძოლველად არავინ გამოსულა. ციხეში გამაგრებულებიც ისვენებდნენ.

ნამეტნავად კარგ გუნებაზე იყო ქალთამზე: ცისფერ სამოსელში შემოსილიყო, ახალი საყურ ბეჭედი აესხა, თეთრი აბრეშუმის ბაღდადით დაეჩრდილა ჯერ კიდევ დაუმჭკნარი და სიტურფით სავსე სახე, ვარაზთან ერთად დამჯდარიყო ციხის შუა ადგილას, ბროლით შემკობილ კოშკის კარზე ზევიდან რომ დასცქეროდა მტკვრის ვიწრო ხეობას და გაღმა ფერდობზე შესვენებულ ყიზილბაშების ბანაკს. ქალთამზეს გარშემო ისხდნენ მოსამსახურე ქალები, რჩეულ მებრძოლთა მეუღლენი. დროგამოშვებით მღეროდნენ. მათი ამოხმით სტკბებოდა მსმენელი, მაგრამ ყველაფერს ნაღვლიანი იერი გადაჰკრავდა მაინც.

ქალთა მზეს ციურა დაესვა მახლობლად, მალიმალ აცეკვებდა ვარაზისა და შავის ჭაბუკის წინ. იდუმალ მზერას ესროდა შავ ჭაბუკს და, შეამჩნევდა რა ციურას ნდობას, გულის სიღრმეში რაღაცა ეტკივნებოდა. წუთით ჩაფიქრდებოდა, იდუმალ რასმეს გაიფიქრებდა და ნაძალადევად გააღიმებდა სახეს.

ცეკვავდა ციურა, მისი ნაზი ტანი ნიავის მიერ შეძრულ ლერწამივით ირხეოდა, თრთოდა, მაგრამ სახე... სახეზე იდუმალი წუხილის ჩრდილი დასდგომოდა. თვალები უზომო ტანჯვის სარკედ ხდებოდნენ; წამით, მხოლოდ წამით შეჩერდებოდა შავი ჭაბუკის წინ. ელვის სისწრაფით ესროდა მზერას სანუკვარ ჭაბუკს და ეშხით გახელებული გაიქროლებდა ცელქ ნიავივით ნარნარი, ქალ-

*) დასასრული, „ჩვენი თაობა“ № 2.

თამზეს წინ შეჩერდებოდა, ნაზად დახრიდა თავს და მორცხვად მოსძებნიდა მის მახლობლად ადგილს.

ციურას ცეკვის დროს კოჭლი მოლოზანი თვალს ჩაუკრავდა ქალთამზეს, — ციურასკენ ანიშნებდა და იდუმლად იღიმებოდა ქუფრი.

ფიქრს მიცემული ვარაზი კარგვირაბის საღებთა უფროსს მისჩერებოდა,— ცვლილება შეემჩნია მისთვის: ციურას მაცქერალს გლახუნას ცეცხლი ეკიდებოდა, იწოდა ციურას ეშხით და შავი ჭაბუკის შურიანობით. ვარაზი მიუხვდა დარდის მიზეზს, ახლა დააკვირდა იგი ციურას და გაიოცა: — დღესნამდი არ დაჰკვირვებოდა მის ჯიშიან ტანსა წვრილი, მოკლე წელი, მაღალი მკერდი, დაშვებული მხრები, მხრებზე გადაშლილი ოქროსფერი ნაწნავები რომ უმკობდა. მიმზიდველი სახე ჰქონდა ციურას — ოდნავ ფერმკრთალი, დაღონებული, — ნდომას აუშლიდა მაცქერალს. ეს ახარებდათ ჭაბუკებს. ამიტომ იტანჯებოდა ქალთამზე...

მზე საშუადღეს დაეჯარა, შენელდა ლხინი, ქალთამზის სახეს ჩრდილი დაუდგა, მოლხინეთ აშლა დააპირეს. ამდროს ქალების სენაკთა კარმიდამოდან საამო სიმღერის ხმა გაისმა...

ეუცხოვა ყველას: ისეთი ხმით ციხეში არავინ მღეროდა. ვარაზმა და ქალთამზემ ისურვეს მისი სიმღერის მოსმენა და წუთის შემდეგ მათ წინ თავი დახარა ფერმიხდილმა ჭაბუკმა. შავი თვალები ჰქონდა, მშვიდი და სანდომიანი მზერა, ტანი წვრილი, მხრებში ოდნავ მოხრილიყო, — სიკოჭლეს გადაეხარა გვერდზე, საერთოდ უგემური სანახავის ულურს ატარებდა, მაგრამ მისი საამო ხმა აქარწყლებდა ყველაფერს, მნახველთ აყვარებდა ჭაბუკს და ამშვიდებდა მსმენელთ, თითქოს შარბათად იღვრებაო ხმა მსმენელის გულში.

ახალგაზრდას სადაურობა ჰკითხეს, — ხერთვისიდან მოსულიყო. შემდეგ ამღერდა, სმენად გადაიქცნენ ნალხინარნი...

ჭაბუკმა სიმღერის დროს ქალების წინ აირჩია სადგომი. ქალთამზის პირდაპირ დადგა და საქები სიმღერა უთხრა თმოგველებს. ცამდინ აჰყავდა ციხის სიმკაცრე, შეუვალობა, ციხისმცველთა ვაჟკაცობა და სიმღერის ჟამს, მომღერლის შავი, ტკბილი თვალები მალიმალ გაენაბებოდნენ ქალთამზის დაეჭვებულ მზერას, ანიშნებდნენ რაღაცას და უცნობის საამო სიმღერას გაატანდა გულის საიდუმლოს.

კარგა ხანს მღეროდა იგი, თანაც იქ მყოფთ ადევნებდა თვალყურს, — ქუფრი მოლოზანისა და ქალთამზის ირვგლივ დასადგურდა მისი იმედები, — ამ ორ ქალში დაინახა მან რაღაც სასარგებლო, თანაც ქალთამზის სუსხიან მზერას მოჰკრა თვალი, ვარაზს რომ ესროლა ქალთამზემ და შემდეგ შავ ჭაბუკს გაენაბა ვნებიანი ღიმილით, — კოჭლმა მომღერალმა იდუმლად ჩაიცინა გუნებაში, ერთხანს ჩაფიქრდა, სიმღერა შეწყვიტა, მხოლოდ საზს ადუდუნებდა ნელი ხმით და შემდეგ ნაღვლიანი ხმით დაამღერა:—„აქედან შორს, ჩერქეზეთის მხარეზე, ნაძვნარიან მთის კალთები იშლება, ქარაფებზე ბროლის კოშკი ელვარებს, ეჯიბრება მთის ორწოხებს, მწვერვალებს... კოშკის პატრონს ამაყსა და ცივგულას, კოშკში უზის მოციმციმე ვარსკვლავი — შორი მხრიდან მონატაცი ლამარა... ქალის გული იფერფლება უდროოდ,—ქალის ფიქრი ლაჟვარდებში დასცურავს: აგონდება სვილისფერა ჭაბუკი... ქალის გული იფერფლება უდროოდ, — ქალის წამწმებს შავსა შუბის წვერებსა — მარგალიტად ცრემლის ნამი ედება; ჩერქეზ ჭაბუკს ამაყსა და ცივგულას ახლოს არ ეკარე-

ბა... ეხ, შენ სად ხარ, სვილისფერო ჭაბუკო, კოშკში მჯდომი ლამარა, გელოდება“... — მიწყდა ნელი ღუღუნი ხმის, იდუმლად გაიპარა საზის უკანასკნელი ამოკვნესება... სიჩუმე ჩამოვარდა მოლხინეთ შორის, ჭაბუკი გაბრუნდა უკან, მოშორებით ჩამოჯდა მორცხვად და კვლავ ქუფრ მოლოზანს და ქალთამზეს არ სცილდებოდნენ მისი მზერანი. სიმღერის შემდეგ აღარავის ულხენია: მოლხინენი დაიშალნენ.

მომღერალი ჭაბუკი თვალყურს ადევნებდა ყველას, საიდუმლოს გაგებას წადინობდნენ მისი თვალები. მოლხინეთაგანს ყურადღება არვის მიუქცევია მისთვის, მხოლოდ ქალთამზემ შეანელა ნაბიჯი ვარაზს და შავ ჭაბუკს ჩამოშორდა წუთით, ქუფრ მოლოზანს წაუმხრისულა, მხარი წაჰკრა და ეს წასჩურჩულა:

— მომღერალ ჭაბუკს ადევნე თვალი!..

მოლოზანს არ გაჰკვირვებია, ოდნავად ჩაიცინა, — თითქოს ადრევე მიხვდა იგი ქალთამზის წადილს და ამაყობსო ამით.

ეს იყო და ეს...

იმდღეს ჩვეულებრივად გაიარა, — დღემ დღე შესცვალა, მაგრამ ერთი რამ აკვირვებდათ მეციხოვნეთ: ბოლო დროს შაჰ-თამაზის ლაშქარმა ბრძოლა და ციხეზე მისატანი იერიშები შეანელა.

ერთნი ამბობდნენ: ლაშქარი დაიღალაო.

ხოლო მეორენი: შაჰ-თამაზს კაცი არ დაენდობა, იდუმალს რასმეს აწყობსო.

*

* *

ვახშამის შემდეგ ქალთამზემ მარტოდ ყოფნა მოისურვა. დიდხანს იჯდა მძიმედ ჩაფიქრებული, — შავი ჭაბუკის ზვიადი სახე ედგა წინ. ცივი, მიუკარებელი უხმოდმდგომი. აჟრჟოლებდა ქალთამზეს.

— მიყვარს, მაგრამ ის კი... — ჩაილაპარაკა ქალთამზემ ხმამაღლა. თავის ხმისა შეეშინდა, შემკრთალმა გარემო შეათვალიერა და მწყრალად წამოდგა ფეხზე.

— ეს ერთი ხანია მოსვენება აღარა მაქვს... დღე ღამ გამისწორდა, მაგრამ... შავო ჭაბუკო, ვერ გაპატიებს გულცივობას ქალთამზე... მოსამსახურე ქალი ხომ არჩიე მის თავს და ვნახოთ..

— შურისძიება!.. — მთელ ციხეზე უნდა იძიოს შური ქალთამზემ: ვარაზმა ვერაგობით ჩაიგდო იგი ხელად, — ქალთამზეს გული არასოდეს გახსნილა ვარაზისთვის, ხოლო შავმა ჭაბუკმა... უარეს დღეში ჩააყენა იგი...

— ვილასთვის სიფრთხილე?! — მაგრამ რითი უნდა გადაუხადო სამაგიერო?..

ამ დროს ქუფრი მოლოზანი შემოვიდა მასთან, იცინოდა, იგრიხებოდა, კოჭლობდა...

დაბრძანდიო, ცივად ჩაილაპარაკა ქალთამზემ.

მოლოზანი ნაწყენობას მიუხვდა. უფრო გამხიარულდა, მახლობლად დაუჯდა, — მომღერალი ჭაბუკი გაახსენა და ესეც უთხრა: სად არისო ციურა.

ქალთამზე შეკრთა. კითხვის იერით დააკვირდა მოლოზანს, თან ეშინოდა სათქმელის.

მოლოზანი ამბობდა:

— წყეული ახალგაზრდობა!. რას არ გააბედინებს ქალვაჟებს: წეღან მოლოზანი მომღერალ ჭაბუკს რომ ადევნებდა თვალყურს, შავ ჭაბუკს მოჰკრა თვალი — აკრეფილი ნაბიჯით მიდიოდა იგი ქალთა სენაკისაკენ. გაუკვირდა მოლოზანს. მოშორებით გაჰყვა უკან. — შავი ჭაბუკი ციურას სამყოფოს კარებთან შედგა, მიდამო შეათვალიერა, მაგრამ ქუფრი მოლოზანი შავ კლდეს გაეკრა, ღამე დაიფარა და ვერ შენიშნა შავმა ჭაბუკმა. წამით დააყოვნა ვაჟკაცმა. შემდეგ დაიხარა: ქვის კენჭი ისროლა სარკმელში. დიდიხანი არ გასულა, რომ სენაკის კარები ფრთხილად გაიღო: ციურა იცნო მოლოზანმა, მაგრამ არ გაჰკვირვებია, მხოლოდ მაშინ გაოცდა, როდესაც შავი ჭაბუკი მიუახლოვდა კარებთან შეჩერებულ ქალს, ხმაამოუღებლივ გადაეხვივნენ ერთიმეორეს და წამით უძრავნი იქმნენ...

გამწარებული ქალთამზე ფეხზე წამოდგა, სახე წამოწითლებული მწყრალად დააკვირდა მოლოზანს, მოინდომა: თმებით წამოეზიდნა წყეული ქალი, საკუთარი ხელით დასწდომოდა მწარე ენას...

მოლოზანი განაგრძობდა:

— ციურა უხმოდ გაჰყვა ჭაბუკს, — ციხის გალავანს მიჰყვებოდნენ, ქუფრი მოლოზანი შორიდან უთვალთვალებდა. გალავანის ბოლოს შეჩერდნენ და შემდეგი მოისმინა მოლოზანმა:

— სისხლიან დღეებში სიყვარულმა დამღალა...

— სისხლმა გახელებაც იცის... მე შენი სიყვარული სისხლს მაღვრევინებს...

— როდის მოელება ბოლო ნეტამც!..

— დასასრული ყველაფერს გააჩნია!..

— მაშ ჩვენი სიყვარულიც დასრულდება...

— ჩვენი სიყვარული უშრეტია, უშრეტი იქნება!..

— ჩემი გული შენთან ახლოს ყოფნით თბება...

— შენთან მყოფს საწუთრო ვარდბულბულთა სავანედ დამისახავს!..

მინელდა ხმა. ჩუმად რაღაცას ლაპარაკობდნენ.

შემდეგ ესეც გაიგონა მოლოზანმა:

— დედა მცხეთელი ყოფილა...

— მამაჩემს კახეთში უხნავს მიწა..

— მაშ კახეთისა რად გერიდება!

— კახეთს ცუდი საქმე ჩამიდენია...

— დასამალი აბა რა იქნება ჩემდ...

— გიამბობ...—უთხრა შავმა ჭაბუკმა. წამით გაჩუმდა, ეტყობოდა უძნელდებოდა მოყოლა. ქალი ფრთხილად შეეხო ქერა თმებით ჭაბუკის დაბინდულ სახეს, გამოაფხიზლა, — ამბავი დაიწყო:

— ქალი მიყვარდა კახეთში...

ციურა შეკრთა. გაოცებით დააშტერდა შავ ჭაბუკს.

— და აი, ერთხელ... ღამე იწვა ისეთივე შავი როგორც ახლა. შავი ჭაბუკი ნელის ნაბიჯით მისდევდა ორღობეს, — ქალთან შეხვედრა სურდა, ჩაფიქრებულს უცნაური აზრი რამ მოუვიდა თავში: ვაი თუ მღალატობსო თეკლე— თავადიშვილები გახელებით უჭვრეტდნენ მუდამ. იმ დღეს უსიამოვნო რაღაცა უგრძნო გულმა შავ ჭაბუკს. მოგვიანებით წავიდა თეკლესთან შესა-

ხვედრად; ის იყო მიუახლოვდა თეკლეს სახლის ეზოს კარებს, რომ ჩამკვდარი წივილი შემოესმა მას. ცოტა ხნის შემდეგ თავის სახელი გაიგონა. ელვის სისწრაფით გადახტა ღობეზე და მერე... არ იცის რა მოხდა, როგორ მოხდა... ხოლო ეს კია: მეზობლებმა ორი, ხანჯლით გულგანგმირული გვამი იპოვეს ეზოს კარებთან და ერთი მათგანი თეკლე იყო, ხოლო მეორე... ჩოლოყაანთ ჭაბუკი... ჭაბუკს ხელში ხანჯალი ეკავა სისხლიანი... გაიოცეს. ხოლო შავმა ჭაბუკმა იმ დღის შემდეგ ტყე ირჩია საბუდარად, სახელი შეიცვალა: ლევანის მაგიერ შავი ჭაბუკი დაირქვა. ერთხანს კახეთში იმალებოდა, შემდეგ ქართლში გადმოვიდა და სტუმრადმყოფ ვარაზს შეხვდა იქ. ვარაზს მოეწონა და თავის სამფლობელოს შემოაფარა...

— მას შემდეგ სიმწარით მიდიოდნენ ჩემი სიცოცხლის დღეები, ერთადერთი შენა ხარ, რომლის ხალისითაც მითენდება... — დაამთავრა ამბავი შავმა ჭაბუკმა. ციურას დიდხანს ხმა არ ამოუღია. ბოლოს ესა თქვა:

— ქალისმკვლელი ყოფილხარ..

— არაფერი მახსოვს..

სიჩუმე ჩამოვარდა. მოლოზანს მეტი აღარ მოუსმენია, — ქალთამზისკენ გამოეშურა.

— ნუმც მოსულხარ! — წამოიძახა ქალთამზემ.

მოლოზანი შეკრთა. გაინაბა. მიწას გაეკრა: ქალთამზის თვალების მკაცრმა ელვარებამ შეაკრთო გულქვა დიაცი.

— ერთიც გითხრა.. — თქვა მან საცოდავის ხმით.

ქალთამზე შედგა.

— მომღერალ ჭაბუკს შენი ხილვა სურს...

ქალთამზეს სახე წამოუწითლდა: უეცრად შუქი ჩადგა მის გულში. მოეშვა. ტახტზე ჩამოჯდა, კარგი მაინც სურდესო, თქვა მიბნედილი ხმით, პატარა, ფუნთუშა ხელი დაიფარა თვალებზე, თითქოს ყველაფერი სძაგსო სამყოფოში. სმენად გადაიქცა.

— ბინდის ჟამს მომღერალი ჭაბუკი შარტოდ გავიხელეო, — დაიწყო მოლოზანმა. — არც ის დამერიდა. თავათ მომიახლოვდა. ფიცი ჩამომართვა, ნუ გამცემო და ეს მითხრა: ქალთამზის ნახვა მსურსო ცალკე.

გაჩუმდა მოლოზანი. სდუმდა ქალთამზეც.

— თუ შენი ნება იქნება...

— მოვიდეს... — თქვა ქალთამზემ.

მოლოზანს ხანი აღარ დაუყოვნებია — წასასვლელად მოემზადა.

— მოიცა! — შეაყენა ქალთამზემ. — დღეს რაც მოისმინე, არავისთვის გითქვამს, თორემ...

რა საკადრისიაო, დაიჩივლა მოლოზანმა და პირმოლიმარი გავიდა სამყოფოდან.

დიდი ხანი არ გასულა მოლოზანის წასვლის შემდეგ, რომ ქალთამზეს წინ მორცხვად თავი დახარა მომღერალმა ჭაბუკმა და უხმოდ დადგა უძრავი.

ქალთამზე თავიდანფეხებამდინ ათვალიერებდა მას, — ვერ გაებედა ამბის კითხვა. მთელი ტანი უთრთოდა იდუმალად. გული გულის ალაგას აღარ ეჯდა, — ჩიტივით ფრთხიალებდა თეთრი მკერდის ქვეშ, — სანეტარო საქმე მაინც იყოსო ტიალი, გაიფიქრებდა ქალთამზე. ბოლოს ველარ მოითმინა:

— ჭაბუკო, თქვი მოსვლის მიზეზი! — მიბნედილი ხმით მიმართა მან თითქოს გლახის წინაშე კი არა, ქვეყნისმპყრობელის წინაშე დგასო დამნაშავე ქალთამზე.

ჭაბუკი შეკრთა. ხმის ამოღებისა რატომღაც შეეშინდა.

— ნუ გრცხვენიან.. ნურც გერიდება! — ჩაილაპარაკა ქალთამზემ.

ჭაბუკმა თავი ასწია.

— ჩემი თავი გადადებული მაქვს... — გაუბედავად თქვა მან. ქალთამზე უფრო გაოცდა: რა უნდა იყოსო ასეთი...

— ფიცი უნდა მომცეთ საიდუმლოსთვის...

— ყველაფერი გეპატიებათ...

— რჯული დამიფიცეთ!..

— ღვთისმშობელი იყოს თავდები...

ჭაბუკი ნელა გაიმართა, შავი თვალები მორცხვად შეანათა ქალთამზეს, ოდნავ უკან დაიწია, საზი გვერდზე გადადვა, დანაძოძებული ფაფანაგი გადაიხსნა, ფაფანაგის შიგნით ნაკიდები ჩანთა მოიმარჯვა. კვლავ შედგა. უფრო გულიანად დააკვირდა სახეწამოწითლებულ დიაცს, გაკვირვებით რომ ადევნებდა თვალს ჭაბუკის მთრთოლვარე ხელებს.

ორივე შემკრთალი იყო, ორივე გრძნობდა საქმის სიძნელეს, ერთს დაწყებისა ეშინოდა, ხოლო მეორეს ამბის გაგება ეინტერესებოდა, ნეტამც ააჩქარაო, ბრაზობდა გულში.

ჭაბუკმა ჩანთა გახსნა, რაღაცის ამოტანას დაეღირა, მაგრამ კვლავ შედგა, ქალთამზის სამყოფო შეათვალიერა და ისევ ქალთამზეს დააკვირდა.

— ნამეტანს შვრები! — აღელვებით თქვა ქალთამზემ.

— მეშინიან! — მიუგო ჭაბუკმა და ჩანთიდან საკმაოდმოზრდილი სურათი ამოიტანა. სურათი სუფთად იყო შეხვეული აბრეშუმის ნაზ ქსოვილში. ფრთხილად გახსნა ჭაბუკმა და თავის დახრით მიართვა ქალთამზეს.

ქალთამზე გაკვირვებით დააკვირდა სურათს. ეხატა:

სხარტი ტანის ჭაბუკი. თავჩალმიანი. მარცხენა ხელი ხმლის ვადაზე ჰქონდა დადებული. მამაცად იდგა წინ ფეხწადგმული. მის წინ, მიწაზე ძუ ლომი იყო გართხმული, ასაწევად გამზადებული, მაგრამ დაჯალდული მოყმის ცქერით. ლომის ტოტზე შემკრთალი მტრედი იჯდა გასაფრენად შემართული, გაშტერებული. მოყმე ლომს უმზერდა უცვლელად, — შავი დიდრონი თვალები გაეთანასწორებინა ლომის გაძუებულ თვალებში. ჭაბუკს ზურგში ამოსდგომოდნენ შუბოსანი ვაჟკაცები. მოშორებით მოსჩანდა მოზვავებული ლაშქარი. შორს ფონზე ლაჟვარდი ცა, თოვლყინულიან მთებს რომ ეხურებოდა გვირგვინად. მთის კალთებს ცისფერი ზღვის ტალღები ეხეთქებოდნენ, ზვირთებად გადადიოდნენ ერთიმეორეზე და იფშვნებოდნენ უკანდაბრუნვილნი. ცისა და ზღვას შორის წეროთ ჩაებათ ფერხული — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიეჩქაროდნენ...

ქალთამზე ვაჟკაცს დააკვირდა — დიდკაცად შეიგრძნო იგი, მარილიანი სახე მოუწონა, კეთილი რამ ჩაიფიქრა გულში. რას ნიშნავსო ეს, — ჰკითხა სტუმარს და ცქერად გადაიქცა.

ახალგაზრდამ პასუხი დააგვიანა: ატლასში გახვეულს რაღაცას ხსნიდა.

ხარბი თვალით დააკვირდა ქალთამზე ახალ სანახავს. ძვირფასი ქვის ელვარებამ მოსტაცა მზერა.

— შაჰ-თამაზმა გიბოძა ყველაფერი ეს! — ტკბილის ხმით მიუგო ჭაბუკმა და პირმოღიმარმა საჩუქარი გაუწოდა ათრთოლებული ხელით: ოქროს საყურბეჭედი ელვარებდა ამოდ.

ცამდინ გაოცდა ქალთამზე. თან ნივთებისთვის მზერა ეწადა, თანაც შაჰ-თამაზის მიძღვნილ საჩუქარისა ეშინოდა. სმენას არ ენდო:

— ეგ რა სთქვი, ჭაბუკო!

— შაჰ-თამაზმა გიბოძა!.. პორტრეტი თავათ შაჰ-თამაზისაა და საყურბეჭედი შენთვის შეურჩევია...

ქალთამზეს ფიქრი აერია წუთით. უნდოდა გასწყრომოდა სტუმარს, პირქუშად გადაიქცა, მაგრამ გზრიალა ოქროს საყურბეჭედი, თვალმარგალიტით შემკობილი ელვარებით ანელებდა სიმწარეს. ეს კი თქვა მაინც:

— რას მოითხოვს ჩემგან საშაგიეროს წყეული ყიზილბაში!...

— სიყვარულს!... — მოწყვეტილად თქვა ჭაბუკმა, თანაც სალტე გაუწოდა ოქროსი, სამი თვალი რომ ამკობდა ძვირფასი ქვისა.

ქალთამზეს თბილი ოფლის ნამი ედებოდა, ჟრუანტელი გაუვლიდა მალიმალ, საჩუქარს და ამბავს გონება გაებრუებინა მისთვის...

— ჩემი სიყვარულისა რა გაეგების!.. — დაიჩივლა გაბრაზებული ხმით.

— ბევრი რამ სცოდნია შენზე... არ უყვარსო ვარაზი...

— წერას აუტანიხარ, ყმაწვილო!...

— შენ დაიფიცე!..

— წყეული! მაცდურივით შემიჩნდი!..

— შაჰ-თამაზი ფიცით გპირდებათ ცოლობას..

— ახლავე უბრძანებ კლდეზე გადაგაგდონ თავდალმა...

— ღვთისმშობელია თავდები! — პასუხობდა შემკრთალი ჭაბუკი. თანაც ძვირფას ბაღდადს შლიდა ქალთამზის წინ.

— ესეც საჩუქრად გამომატანა!... — უთხრა მან და გაუწოდა თუ არა ბაღდადი, ტკბილად ჩაიცინა და ნელის ხმით წაიჩურჩულა.

— ციხის კარები უნდა გაუღოთ ლაშქარს... ბედნიერი იქნებით, ქალთამზევ!.. შაჰ-თამაზი ოქროს კომკს ავაშენებს, ანგელოზივით ლამაზ ქალებს დაგაყენებს თავზე, თვალმარგალიტით ტაბაკით მოგვართმევს მალიმალ, დედოფლად გამოგაცხადებს, მზეს დაგადარებს, შენი ახლოს ყოფნით გათბება მარად...

— აი თავდები ფიცის! — ჭაბუკმა ჩანთიდან ამოიტანა ოქროს პატარა კოლოფი, მიიხედმოიხედა, გახსნა და მოწიწებით გადასცა ქალთამზეს.

ქალთამზემ დახედა კოლოფს, შიგ ბეჭედი იყო ოქროსი, ხოლო კოლოფის სახურავს შიგნით გვერდზე ეწერა:

„მამის საფლავს გეფიცებით! ხმალს გეფიცები — ჩემს მარჯვენას: ზეციერს გეფიცები — ცის მნათობს: შენი მკერდი მარად ჩემს მკერდზე იქნება მოუშორებელი — არასოდეს გიღალატებ!"...

ჭაბუკს ხანი აღარ დაუყოვნებია. იფიქრეთო, თქვა:

— სამ დღეს გიცდი. გახსოვდეს ფიცი, — დიდია ძალა მარიამისა, დიდებული იყოს სახელი მისი! — თქვა და გავიდა კომკიდან.

მარტო დარჩა ქალთამზე. ქარიშხალივით შემოაწვა უცნაური ფიქრები, გული აუბობოქრდა. ერთხანს მწყრალად აკვირდებოდა ვარაზის სურათს, თითქოს პირველად ხედავსო და შეფასება სურსო.

— დამტანჯე!.. ღირსი ხარ სამაგიეროსი, მაგრამ... შაჰ-თამაზის ხელით აუარებელი ქართველის სისხლი დაიღვარა... ციხის გატეხას უარესი მოჰყვება. თანაც შავი ჭაბუკი... რა იქნებოდა, რომ ვყვარებოდი შავ ჭაბუკს!... ერთხელ კიდევ ვცდი დავიყოლიო სიყვარულში: ვიცი, მოვწონვარ, მაგრამ ვერ გაუბედავს... მაშ რათ წითლდება ჩემს წინაშე, თვალებს ვერ მისწორებს... ეხ, შავო ჭაბუკო, შენ იხსნიდი ციხესაც, შენ თავსაც... ვარაზი კი: საყვარელი სატრფო მომიკლა, უნდაურად მომიტაცა და ტიალ კოშკში უსიყვარულოდ ჩამომაბერა... შურისძიების წუთები ახლოვდება... ამ პატარა ხელმა უნდა დაამხოს თმოგვის ქავციხეთ სიმაგრე... თუ შავი ჭაბუკი... თუ შავი ჭაბუკი არ გამიხსნის გულს...

ქალთამზემ შაჰ-თამაზის სურათს დახედა, ძულომი რომ დაეგესლა მზერით...

— კარგი ვაჟკაცი კი ყოფილხარ, ყიზილბაშო, და ვნახოთ... ვნახოთ როგორ მოინადირებ სიყვარულით გახელებულ ქალის გულს...

ფეხზე წამოდგა იგი, სასალი ტანი გაიმართა, მკერდი შეიმაღლა, შავი ნაწნავები შეათამაშა მხრებზე...

— ეხ... ცუდი ვარ: რა საფიქრობელსა ვფიქრობ... ნუ თუ სიტკბო ექნება სისხლიან სიყვარულს, მაგრამ შურისძიება!... — ამდროს მოლოზანი შემოვიდა. ღიმილით შეხედა სახედაჩრდილულ ქალთამზეს. უმალ გაპირქუშდა ქუფრი დიაცი. უხმოდ უჭვრეტდნენ ერთიმეორეს, გულის ზრახვის ამოკითხვა სურდათ თვალთა სარკიდან.

— რა ამბავია, რაზე ილაპარაკა კოჭლმა ჭაბუკმა? — იკითხა მოლოზანმა.

— შენ უკეთ იცი!.. — მიუგო ქალთამზემ.

ორივე გაჩუმდა. მზერა ააცდინეს ერთიმეორეს.

— ვიცი... — ნელი ხმით თქვა ქუფრმა დიაცმა.

— საქმეს უნდა შევუდგეთ!..

— რაც კი შემიძლია...

— ენას გაუფრთხილდი!

— ნეტამც არ მეტყოდე მაგას...

სიჩუმე ჩამოვარდა, მკვდრული სიჩუმე, დიაცებს თავები დაეხარათ, საკუთარ ფიქრში წასულები მიწას მისჩერებოდნენ.

— მივდივარ, — თქვა მოლოზანმა, წამოდგა, ბარბაცით გაემართა კარებისკენ, ერთხელ შედგა: მიხედა ფიქრში დაძირულ ქალთამზეს და კარები დაიხურა, თანაც შავი ამბავი გაიყოლია საოცნებო...

ფიქრებით ღამე გატეხილი, ფერმკრთალი ქალთამზე იჯდა ტახტზე, მახლობლად დაესვა შავი ჭაბუკი, ხოლო კარებისგარეთ მოლოზანი ტრიალებდა ცალ ფეხზე ბებერი ქოფაკივით, თეოზე რომ გააგდებენ ხოლმე ბინდისჟამს.

ქალთამზეს თავი დაეხარა, მიწას მისჩერებოდა. ამავე მდგომარეობაში იყო შავი ჭაბუკიც.

— მაშ ეგრე... — თქვა ქალთამზემ ნაღვლიანი ხმით.

შავი ჭაბუკი ოდნავ შეკრთა. ხმა არ ამოუღია.

— ყველაფერი გათავდა... — განაგრძო ქალთამზემ. თავს ამაყად ასწია. შავი ბინდი ჩასდგომოდა თვალებში, მქრალი ფერი გადაჰკრავდა სახეზე... ნაღვლიანად შეხედა შავ ჭაბუკს. სწრაფად ააცდინა მზერა.

— შენ ციურასთან გქონია მიცემული პირობა, მე კი.... არაფერი დამრჩენია სასიხარულო... მაგრამ... — უნდა ეთქვა, ციხის ბედი შენზეა დამოკიდებულიო. შეკრთა: ხმა გაიკმინდა

— ფიცისგატეხა მიძნელდება...

— დღეის შემდეგ ბედნიერებაში არავინ შეგიშლით ხელს... — ქალთამზე ჩაფიქრდა, შუბლი გაეხსნა რატომღაც. თვალებში ხალისის ნაპერწკალმა გაიელვა.

— თავათ მე... მე მოგიწყობთ ქორწილს... — დაუმატა მან, ღიმილით შეხედა შემკრთალ ჭაბუკს. იღიმებოდა ქალთამზე, მაგრამ მისი ღიმილი ტირილს ჰგავდა.

შავი ჭაბუკი დინჯად წამოდგა ფეხზე, მადლობა გადაუხადა. მოხათრებით გავიდა ქალთამზის სამყოფოდან.

— მაშ ეგრე... — ეუბნებოდა თავს ქალთამზე. — გათავდა ყველაფერი, მხოლოდ ეს ღა დამრჩენია: — შური ვიძიო, მაგრამ ვინ რა დამიშავა!.. გონება აებნია მას, პირქვე მიწვა ტახტზე და ყრუდ აქვითინდა.

—: — : — :

დილა იყო უჩვეულოდ მშვიდი, ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ მტკვრის ტალღები გაიდუდუნებდნენ იდუმლად, ან მერცხალი შეიჭიკჭიკებდა სივრცეში შეჭრილი. ცა კრიალა იყო, მოღიმარი ქალივით დაჰყურებდა დედამიწას. მზე ჩვეულებრივი სითბოთი ამობძანდა ხმელ გორების ქედზე, მადლიანი სხივები გადმოაფრქვია მესხეთს. ყიზილბაშების თეთრი კარვები ალაპლაპდა მზის სხივების ქვეშ, თმოგვმა გული გახსნა, მტრედების გუნდები აშალა მკერდიდან, ქავციხენი დაამშვენა. ქარაფებს გულმკერდი გაუთბათ. კოშკებმა გაიღიმეს.

ციხეში მითქმამოთქმა ატყდა:

— ყიზილბაშები აპირებენ აშლას!

— შემოელიათ სანოვაგე!..

— ლაშქარი უზარალდათ!..—

— ჩვენ კი...

სიხარული დიდი იყო — შავ მცურავივით ესხმებოდა ლაშქარი თმოგვს. ერთი ნაწილი მიეფარა წუნდის ზემოთ ხმელ გორს. ხარობდნენ თმოგვისმცველები, მხოლოდ შავი ჭაბუკი იყო გულჩათხრობით: წინა დღით თვალი მოჰკრა ქალთამზის კოშკში შესულ კოჭლ მოლოზანს, მოღიმარი პირით რომ გამოვიდა დავრდომილი. შემდეგ ქალთამზემ ციხის კარსაღებდამცველი გლახუნაც მიიხმო. კარებზე მოლოზანი ადარაჯა, დიდხანს თათბირობდნენ.

— რაზე ლაპარაკობენ! — გაიფიქრებდა შავი ჭაბუკი. იმდილითაც ესხვარიგებოდა ქალთამზე: ნამეტნავად გულგახსნილი იყო — ციურას უცინოდა, შავ ჭაბუკს არ ერიდებოდა, ვარაზს ახლოს უჯდა — სახუმაროს ეუბნებოდა, ეტოტავებოდა; მიხარიან ლაშქრის აშლაო, იტყოდა პირმოღიმარი. ვარაზმა და შავმა ჭაბუკმა ერთხელ ჩასვლით მოინდომეს აშლილი ყიზილბაშების ლაშქართან ომი, მაგრამ მრჩეველთ დაუშალეს: ერთი კაციც ძვირფასია ჩვენთვისო და გადაწყდა: დიდი სუფრა გაეშალათ სადილად. სუფრის გაშლას უფრო ქალთამზე მოითხოვდა, — ლხინი სწადიანო გულს, მაგრამ ურჩევდა:

— ვახშმამდე ლაშქარი ალბათ გაიკრიფება, გული უფრო მოილხენს, ვახშმად გვირჩევნია ლხინი! — თანაც ვარაზს ენაბებოდა. მის ხელს ხელში იღებდა, ვაქკაცურ იერს აკვირდებოდა ტკბილი ღიმილით.

უკვირდა ვარაზს, ვერ გაეგო მეუღლის გალაღების მიზეზი, არსად ენახა ასეთი მხიარული ქალთამზე, გულიანად აკვირდებოდა, მაგრამ ოდნავადაც არ ეტყობოდა ქალთამზეს ნაძალადეობის იერი. რისთვის სჭირდებაო ეს, ჩაიფიქრებდა ვარაზი, თავათაც ხელდებოდა მეუღლის ჭვრეტით და ლხინი ეწადა მასაც.

— გავიმარჯვეთ! — მხიარულად უთხრა შავ ჭაბუკს. — ლხინი გვმართებსო ახლა!

შავი ჭაბუკი ხმას არ იღებდა — ომი თუ სწადიანო ისევ, — ლაშქარს უჭვრეტდა მალიმალ. თანაც იქ მყოფთ ათვალიერებდა: ქუფრი მოლოზანისა და გლახუნას იდუმალი ღიმილი არ ეჭაშნიკებოდა. ციურას სიახლოვე ეწადა. თავათ ციურა ერიდებოდა, — შორიდან უჭვრეტდა, სათავისოდ ინატრიდა ამაყ ვაჟკაცს. ლაშქრის წასვლას გაიხარებდა, მაგრამ... ლაშქრის მხოლოდ ერთი ნაწილი წავიდა. სხვები ისევე აყოვნებდნენ წასვლას. აბარგულები იყვნენ — ასაშლელად გამზადებულები...

დღე ილეოდა — გრილოები გამოიხარნენ: მთათა წვერები მტკვრის ხეობაზე გადაიხიდა — მზე საჩეხის წვერს მიეჯარა, ლაშქარი კი... არ დაძრულიყო.

ლაშქრის მთლიანად არ აშლა არ მოსწონდა შავ ჭაბუკს, დაფიქრებული იყო. მხოლო ვარაზი იმ დღეს ქალთამზეს აეყოლებინა — ალერსში და ტკბილ საუბარში გაატარეს მთელი დღე. მთვრალსა ჰგავდა ქალთამზე, არ იშორებდა ვარაზს, ინაბებოდა ქმრის წინაშე, ალერსს მოითხოვდა, გულს უხსნიდა, თითქოს ეთხოვებაო სამუდამოდ.

ბინდიჟამს მებრძოლები შეკრბნენ. გლახუნა მოიხმეს და გააფრთხილეს: უფრო ფრთხილად მოჰქცეოდა კარგვირაბის დარაჯთ, გასაღებები არავისთვის გადაეცა. გლახუნა შეკრთა. რატომღაც დააკვირდა ჯერ შავ ჭაბუკს, შემდეგ ვარაზს, დაინამა და რა საიმისო არაფერი ამოიკითხა ვაჟკაცების სახეზე, კვლავ გაიბადრა, მამაცად დადგა, გასაღებები ხელში შეათამაშა, ნუ გეშინიანთო თქვა და იმედიანად გაშორდა მოსაუბრეთ.

დაეჭვებული მზერა გააყოლა შავმა ჭაბუკმა გლახუნას, — გული რაღაცას უგრძნობდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო რისი თქმა სურდა გუნებას მისთვის, — არ მოსწონდა გალხუნა, არც ქალთამზის საქციელი მოსწონდა იმ დღეს. ვარაზს ვერ გაუბედა, თორემ ეწადა ეთქვა: არ მომწონსო შინაურების ქცევა. იქნება ჯარის აშლით არის გამოწვეული ლხენა?.. მაგრამ ჯარი ხომ სულ არ წასულა... ხომ არაფერი მზადდება საიდუმლო... — ფიქრები აწუხებდა შავ ჭაბუკს. ვარაზს მოხათრებით ჩამოუგდო ლაპარაკი სიფრთხილის შესახებ. გაუცინა ვარაზმა: ქეიფი მწადსო, წასჩურჩულა და ესეც დაუმატა:

— ლამაზია ციურა... იცოდე მე მის პირდაპირ დავჯდები!.. — თანაც თვალებში ჩახედა შავ ჭაბუკს.

შავ ჭაბუკს ფერი ეცვალა, მორცხვად დახარა თავი.

— იქნება შემეცილო!... იცინოდა ციხის პატრონი, მარჯვენა ხელს ხვევდა მაღალ კისერზე საყვარელ თანამებრძოლს, ხოლო მარცხენა ხელით ხმლის ხეტარი შეემაგრებინა. მიდიოდნენ ნელის ნაბიჯით. ხმას არ იღებდა შავი ჭაბუკი...

— ვიცი... ძნელია სიყვარული... გეპატიება, მაგრამ... ჯერ ჯვარის წერისთვის მაინც არა გცალია...

გაოცებით შეხედა შავმა ჭაბუკმა. საიდან გაიგოო, გაიოცა მან,

— ქალი საიდუმლოსთვის ისეთია, როგორც საცერი წყლისთვის...

ამ დროს სიცილი შემოესმათ: ქალთამზე ციურასთან ერთად გამოსულიყო კოშკის კარზე — ელოდებოდნენ ვაჟკაცებს: მოლოზანი რაღაცას ეუბნებოდა, იღმანჭებოდა საცოდავი.

შორიდანვე გამოესაუბრა ქალთამზე ვარაზს: გადაეწყვიტა, — ციხეში მყოფთათვის გაეშალათ სუფრა — მთელმა ციხემ უნდა იღრეოსო, მოითხოვდა ქალთამზე.

ვარაზი დაეთანხმა, ხოლო შავმა ჭაბუკმა იუარა ერთხანს, — ერთი დღეც მოგვეთმინაო, ბოლოს ისეც დაიყოლიეს და ღრეობისთვის მზადებას შეუდგნენ.

შავმა ჭაბუკმა მაინც მოინდომა: კარგვირაბები დაეთვალიერებინა, გუშაგებისთვის და მეთვალთვალეთათვის გაფრთხილება მიეცა. მეისრეთა თანხლებით გაუარა ციხეს: ყველაფერი თავის წესრიგზე იყო, ყველას ფრთხილად ეჭირა თავი, მით უმეტეს ფრთხილობდა გლახუნა, დარაჯები დაეტუქსა, ხოლო დიდი კარის წინ მისვლის ჟამს შავ დარაჯს დააშტერდა, ფრთხილად მოუკილა თვალი, გაუწყრა და ყურში რაღაცა წასჩურჩულა სწორედ იმ დროს, როცა შავი ჭაბუკი უკან გამობრუნდა, თავადაც შავ ჭაბუკს აჰყვა და ყველანი გულდამშვიდებით დაბრუნდნენ ვარაზთან: იმ იმედით, რომ ღამეს ლხინით გაატარებდნენ და თუ ვინიცობაა, მტერი მოიწადინებდა ღალატით იერიშის მიტანას ციხეზე, ციხის კარგვირაბები დაკეტილი დახვდებოდათ, თანაც გუშაგები ასტეხდნენ განგაშს...

ღამე დააწვა მიდამოს. ციხის სარკმელებში მკრთალი სინათლეები ჩაჩნდნენ; ციხემ ღრეობა ისურვა.

ქეიფი უფროდაუფრო ძლიერდებოდა, ლხინის ხმა მატულობდა, ღვინო და სანოვაგე უკლებლად მოჰქონდათ, ყველგან სუფრა იყო გაშლილი, ყველგან ლხინი გაიმართა, მღეროდა ყველა, ყველას გული გაეხსნა, წინა დღის ამბები დაევიწყებინათ, ლაშქრის აშლას გაიხარებდნენ და ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცებს გაიხსენებდნენ. თასის დაცლის ჟამს. მთვარე ნელნელად ამოდიოდა. მთვარის სინათლეს მისჩერებოდა ქალთამზე და რამდენადაც შუქი თმოგვის ციხეს უახლოვდებოდა, იმდენადაც მოუთმენლობა რამ ემჩნეოდა, მოუსვენარი ხდებოდა, ვარაზს და შავ ჭაბუკს ღვინოს აძალებდა, ახალგაზრდებს ცეკვას და სიმღერას სთხოვდა, ციურას მალიმალ აცეკვებდა, უჭვრეტდა და გული სტკიოდა, გული შურით ევსებოდა, სახე კი... იბადრებოდა მთვარესავით, იღიმებოდა, შავ ჭაბუკს კბილებს უნათებდა, ციურას გვერდზე უსვამდა.

ქეიფი გაძლიერდა, ქალთამზემ გლახუნა მოძებნა — სუფრის ბოლო შეკდომს წუთით გაუსწორა თვალი, ურთიერთს რაღაცა ანიშნეს და ქალთამზემ კვლავ სიმღერა ცეკვა და ღრეობის გაძლიერება მოითხოვა.

მთვარის გრილონი საჩეხის გორის შუა ადგილს გაუსწორდნენ, თმოგვის ყელს შუქი მოჰფინეს და ამ დროს ადგა გლახუნა, ერთხელ გადაჰხედა ქალთამზეს, სწრაფად ააცილა მზერა, იდუმლივ გასცდა სუფრას და ფეხაკრეფით გაუჩინარდა, მხოლოდ ქალთამზემ ვარაზს რაღაცა წასჩურჩულა, ნამალევად შეახო ბაგე ვარაზის მაღალ ყელს, თვალებით შეემუდარა რაღაცას, ვარაზმაც გაუღიმა, თავი ჩამოძრა. მეთასე ჭაბუკი მოიხმო: სურით ჩამოარიგეო ღვინო, უთხრა მან; პირველად თავათ დალია, შავ ჭაბუკს გადაულოცა; თასი ჩაჰყვა სუფრას, სვამდნენ, სიმღერას აძლიერებდნენ, ლხინი მატულობდა, ქალთამზეს სახე უკრთებოდა — მთვარის შუქი კოშკებს უახლოვდებოდა: განათდა მთავარი

კოშკის შუბლი, მისი გრილო ციხის ეზოში გადმოწვა ბრძოლაში დაღლილ გმირივით და სწორედ ამ დროს ჟრუანტელის ზრიალი შეუჯდა ციხეს, — ღრიალი, კივილი, მყეფართა ყმუილი, ცხენთა ჭიხვინი და თავზარდაცემულ დარაჯთა ღრიალი ცას შეედვა ზარად. ქავციხენი შეტოტავდნენ, მიდამოს ცხრო შეუჯდა და ციხემ დაჭრილ მხეცივით შელმუვლა უკუნეთს. შავი ჭაბუკი ელვის სისწრაფით წამოიჭრა ფეხზე, საჭურველთ სანახავს მიაშურა; მას მიჰყვა ვარაზი და სხვა მეომარნიც. სუფრა შეტორტმანდა, დაიმსხვრა, გაერთხა მიწას. შემკრთალ მტრედებივით წამოიშალნენ მანდილოსანნი, ერთ ადგილზე წრიალებდნენ თავზარდაცემულნი. ფერმიხდილი ქალთამზე ადგილიდან ვერ იძვროდა.

ხმაური უფრო ახლოვდებოდა, უფრო საშინელი ხდებოდა.

— დიდი კარებიდან შემოდიან...

— ვეკვეთნეთ!..

— უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!... — გაისმოდა მებრძოლთა შორის.

ციხის ეზოში პირველად შავი ჭაბუკი გაიჭრა. მან თვალი მოჰკრა დიდ კარებიდან გამოქცეულ გლახუნას: მიმალვას აპირებდა, უკან ყიზილბაშების ლაშქრის ერთი ჯგუფი მოსდევდა. ციხის გულისკენ მოიწევდნენ.

— ღალატი! — გაუელვა აზრმა შავ ჭაბუკს, წამით შეხედა გლახუნას, შეეზიზღა და აღარ დააყოვნა: მშვილდი შემართა, სწრაფად სტყორცნა ისარი სწორედ იმ დროს, როდესაც გლახუნა ქალთამზეს მიუახლოვდა ნაძალადევის ღრიალით, შავი ჭაბუკის ნასროლი ორბისფრთიანი გულს მოხვდა გლახუნას, სუკი გაიარა და შეკუმშული გლახუნა ბურთივით გაგორდა ქალთამზის წინ. შავ ჭაბუკს მეტი აღარ დასცალდა: ხმლით ეკვეთა რაზმის მოწინავეთ. შეიქმნა შუბების, ხმლების და ფარმუზარადების ჟღრიალი, მოყმეთ კვნესა და წივილი დაჭრილთა. ყურთხმა აღარ ჩამოვარდებოდა, მხოლოდ კვნესა ღრიალი, იარაღის ხმაღა გაისმოდა, ჯღრეედ შემართული ხმალშუბი მთვარის სინათლეზე ელვარებდა. სისხლით შელვრილი ციხე ნწკავწკავებდა ნაცემ ძაღლივით; სისხლის სუნი დატრიალდა ჰაერში, სისხლმა დაათრო მიწა. აქა იქ ხანძარი გაჩნდა, კვამლი ნისლივით დაწვა ციხეზე. ერთი მეორეში აირა მტერი და მოყვარე. ორჯერ მოჰკრა თვალი შავმა ჭაბუკმა ვარაზს, ვარძიის მხარეს დაიწიეო, მიაძახა. გააფთრებული იბრძოდა ვარაზი, გამოფხიზლებოდა ღვინო, ღრიალით სცემდა თავზარს ლაშქარს, მაგრამ მტერთა სიმრავლე სჯალდავდათ დამხვდურთ — მალიმალ დაინთქებოდნენ ზღვად მოწყვეტილ ლაშქარში. ბოლოს სულ გაუჩინარდნენ: რამდენიმემ მოასწრო ციხის გალავნიდან გადახტომა; მხოლოდ ერთი ვიღაცა იბრძოდა დიდხანს ციხის ბოლოს, ნახოცის და სისხლის კვალი მისდევდა თან, გალავნამდე მიაღწია, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა, ისკუპა და უფსკრულს მისცა თავი.

სისხლით დამთვრალი ღამის ძაგძაგი მისწყდა, ციხის ლიბოს სისხლმა გაჟონა, ფერფლი, კვამლი, მისუსტებული კვნესა, აკრეფილი ფეხის ხმა და მიმალულთა კვნესა დააწვა გულზე თმოგვის სიმაგრეს. კოშკებიდან აჭრილი ალი აიბერტყა, კვამლი ნიავმა გაიყოლია თან და ქარიშხალივით შემოჭრილი რისხვა ყრუდ მიიბნიდა მუნჯად დამდგარ კედლებს შორის...

აწითლდა ღამე, ყორნის ფრთენი აიბერტყა, აშორდა დედამიწას. შორცხვად გადმოხედა მზემ სისხლით შელებილ ციხეს...

დაღვრემილი შაჰ-თამაზი მწყრალად დაჰყურებდა კოშკის კარზე ნადგომი ციხის კარმიდამოს: ათასობით ვაჟკაცი იწვა გულგანგმირული. სისხლით შელები-

ლი. ციხე ჰგავდა გაპარტახებულ ქალს, თმაგაშლილს, მკერდშესისხლულს ლოთების ტალახიან ფეხებით გათელილს... ციხის ირგვლივ სუნი ტრიალებდა სისხლისა, ნამწვარევისა. სიჩუმე დაწოლილიყო. მტკვარი ხანდისხან ამოიშხულებდა, თითქოს გრძნობსო ხალხის უბედურებას და ოხრავსო დროთა სიავით დაგესლილი...

...ციხეში ქართველი ვაჟები მცირე რაოდენობით დარჩენილიყვნენ, მხოლოდ დაჭრილები იპოვეს. მკვდრების შორის შაჰ-თამაზმა ვარაზი მოაძებნინა: ცხრა ჭრილობა სჭირდა ვაჟკაცს, ცხრა შუბის წვერს გაენაძოძებინა მისი მაღალი მკერდი. დამტვრეული ხმალი შერჩენოდა ხელში. ქალთა სენაკის კარებზე ჩაექცია მტერს. ვარაზის პოვნის შემდეგ ქალთამზეც მოიკითხა შაჰ-თამაზმა, — დიდხანს უჭვრიტა მიბნედილ მანდილოსანის სახეს. მასთან მოსულ სეფე ქალებს გადაავლო თვალი, ციურაზე შეჩერდა, გული შეუთამაშდა...

მიახლოვდა ქალთამზეს, თავდახრილი მიესალმა, ხელზე ემთხვია და ციურასკენ გაიწია. შეკრთა ქალთამზე. ხოლო ციურამ მწყრალად დაიწია უკან, ბრაზიანად შეანათა ცისფერი თვალები შაჰ-თამაზის უნდაურ სახეს... ეუცხოვა შაჰ-თამაზს, მაგრამ ძალა არ გაუბედნია. ორიოდე მრჩეველი მოიხმო. რაღაცა ითათბირეს, — ქალთამზეს ახსენებდნენ მალიმალ. თვალები ციურასკენ მიუდიოდა: თვალცრემლიანი ქალის სილამაზე ხიბლავდა...

ციურას შავი ჭაკუბის მოძებნა სურდა, მაგრამ მცველები ნაბიჯის გადადგმის ნებას არ აძლევდნენ. აცრემლებული მოლოზანი მოსდგომოდა გვერდზე— იღმანჭებოდა ცოდვილი.

შაჰ-თამაზს ხანი არ დაუყოვნებია — ციხე შეათვალიერა: სურსათსანოვაგის საწყობი დამწვარი აღმოჩნდა. დამწვარიყო აგრეთვე იარაღის საწყობი, მხოლოდ თავლა გადარჩენილიყო უვნებლად. ტყვეები ერთად მოაგროვეს, ციხის საიდუმლო გვირაბების ჩვენება მოსთხოვეს, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. შემდეგ ქალთამზე წარდგა შაჰ-თამაზის წინ: პირობის ასრულება მოსთხოვა, საჩუქრები გაახსენა, კოჭლი მემუსიკე მოჰკითხა.

შაჰ-თამაზს სახე ერთიორად დაეღვრიმა: ციხეში სიმდიდრე არაფერი დახვედრია. ლაშქრის მესამედი შერჩა ცოცხლად, ხოლო ქალთამზის ცბიერმა სახემ ვერ მიიზიდა, ჭკუაში არ დაუჯდა მისი საქციელი და... გასამართლება მოისურვა: ლაშქარი და ხელმძღვანელნი ჩაამწკრივნა ორად: პირისპირ დადგნენ, ხოლო მათ შორის მიცვალებულნი ესვენენ, მიცვალებულთა შორის ლომივით იწვა სისხლიანი ვარაზის ტანი, მკერდშელეწილი ვაჟკაცი მწყრალად გამოსთხოვებოდა სიცოცხლეს...

შაჰ-თამაზი მიუახლოვდა ქალთამზეს, მახლობლად დაუდგა, გვერდზე ციურა დაუყენა. ქალთამზეს საკეთილო რამე ეგონა, ნათელმა იერმა გადაჰკრა სახეზე, მაგრამ მოტყუვდა — სჯიდა შაჰ-თამაზი, ლაშქარს სთხოვა: ეპასუხათ შაჰ-თამაზისთვის — რომელი უკეთესი ვაჟკაცი იყო, შაჰ-თამაზი თუ ვარაზი...

დიდხანს იწვა სიჩუმე ლაშქარში. ყველას თავები დაეხარათ, მიწას მისჩერებოდნენ, ბოლოს ერთი ჩია ტანის ყიზილბაში გადმოდგა წინ და მოწიწებით თქვა:

— ვარაზს ცხრა ჭრილობა მიუღია... არცერთი არ არის უკანიდან მონახვედრი.. ამდენ ხანს გამაგრდა ჩვენს წინაშე: ციხე მხოლოდ ღალატით იქმნა აღებული — ვაჟკაცობით ვერაფერი დავაკელით. ტანად ახოვანი ყოფილა, პირად — მშვენიერი... —

ხმა გაკმინდა ყიზილბაშმა, მეტის თქმა ვეღარ გაბედა...

ვჯობდაო, გაისმა ხალხიდან სუსტი ხმები...

შაჰ-თამაზს არ წყენია. ამაყად ასწია თავს და ეს უთხრა ქალთამზეს:

— მზეს ედარები პირად!.. შენი მკერდი უტკბილესი სურნელოვანი იქნება ბაისის ვარდზე, შენი ხმის მოსმენა ბულბულის გალობას ემჯობინება, მაგრამ... ციხის მოღალატეს მხოლოდ სიკვდილი ეკუთვნის!..

შეკრთა ქალთამზე. მოლოზანი მიწას გაეკრა, გაიპარა. ციურას ნათელი ელვარი შეუთამაშდა სახეზე.

— ფიცი გაიხსენე! — მიბნედილი ხმით წამოიძახა ქალთამზემ, ჭუხლები მიუსუსტდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— ფიცს ვასრულებ: შენი თეთრი მკერდის ჭარი მარად მკერდზე მექნება, ძვირფასი ქვებით შემკობილი!—უთხრა შაჰ-თამაზმა და აღარ დააყოვნა: ბრძანება გასცა — ყველაზე მეტად გიჟი ჯორი შეერჩიათ ჯოგიდან, ქალთამზე თმებით წამოაბითო ჯორის კუდს და გაუშვითო ველად. — ხოლო ის! — მიუთითა ციურაზე, — ჩემს ხასებს დაამშვენებს...

გულწასული ქალთამზე მიწას დაეცა ვარაზის მახლობლად, მხოლოდ ციურამ მუხლი მოიყარა და შაჰ-თამაზს შეემუდარა:

— პატარაობიდანვე შევეზარდე ერთ ჰუნეს, გულის ტოლად მიმაჩნია, ახლა თავლაში დგას იგი, უჩემოდ ლაგამს ამტვრევს... შავია, როგორც ღამე!... მარჯვეა, როგორც შავი ჭაბუკის ნასროლი ისარი!.. მუხლადია, როგორც თმოგვის კალთაზე მოთამაშე ქარი... ერთი თხოვნა ამისრულე, შაჰ-თამაზო: იმ ცხენზე შემსვი... შენი ცხენით გამომეკიდე უკან: აი, პატარა ეზო, ირგვლივ გალავანი... ფიქრად არაფერი მაქვს — გაქცევას გულში არ გავივლებ... თუ დამეწიე, აგერ, ეზოს ბოლოს რომ მაღალი კოშკი დგას, იქამდე, მაშინ... მაშინ ნება გექნება ჩემზე: სამუდამოდ შენი მორჩილი გავხვდები, ხელზე გემოსახურები... — ამბობდა ციურა, თან იდუმალ მზერას ესროდა ქალთამზეს, რომელიც შაჰ-თამაზის მცველთ შეეპყრათ და სასჯელისთვის ამზადებდნენ...

შაჰ-თამაზი გაოცებით აკვირდებოდა ციურას. დაეთანხმა: კარგიო, თქვა, რაღაც ჩაიფიქრა, გვერდზემდგომ ვაჟკაცს თვალი ჩაუკრა...

ციურამ ხანი აღარ დააყოვნა — რემათ სადგომისკენ გაემართა ტანის რონინით, მისუსტებული, ფერმკრთალი მიდიოდა, იდუმლად იხედებოდა აქეთ იქეთ: იქნება შავ ჭაბუკს მოვკრაო თვალი მიცვალებულთა შორის, მაგრამ შავი ჭაბუკი უკვალოდ დაიკარგა... ციურას აღარ უნდოდა სიცოცხლე, სიკვდილს ნატრულობდა გულით, თავისმოკვლა განიზრახა, მაგრამ მეთვალყურენი ერთი ნაბიჯით არა სცილდებოდნენ — გაუფრთხილდითო, ებრძანა შაჰ-თამაზს...

თავლის კარი ჯერ ისევ დაკეტილი იყო, მოკრძალებით გაუღეს დარაჯებმა ციურას, რემანი ჭიხვინით შემოეგებნენ. შემკრთალნი ტოტებით სცემდნენ მიწას. ციურა შავ რაშს მიუახლოვდა, — შავი ჭაბუკის საფერხეს მიუალერსა, კისერზე შემოხვია ათრთოლებული ხელი, შავი ჭაბუკი დაესახა, ფაფარზე აკოცა. ახსნეს. შეუკაზმეს. შეჯდა ციურა. კარებში გამოსვლის დროს, შავი მანდილი მოიხსნა, სადავეს მოსწია ცხენს, დარაჯნი ჩამოეშორნენ წუთით და შავი მანდილი თვალებზე გადააფარა საფერხეს. შავრამ წაიფხვრიალა, ტოტებზე შედგა, ლაგამს აჰკრა თავი, დატოტავდა უშტარი. ციურამ შაჰ-თამაზის მხარეს მიჰმართა იგი, ჩამწკრივებულ ლაშქრის წინ ჩაატარა, შაჰ-თამაზს დაუპირისპირდა. დაელოდინა.

შაჰ-თამაზი აღარ ჩანდა ლაშქართ შორის. ეწყინა ციურას, მაგრამ განზრახვის შესრულება მაინც მოიწადინა: ის იყო მიუშვა ცხენს სადავე ეზოს ბოლოსკენ და ამ დროს ლურჯა ცხენი შეტოტავდა მის მახლობლად, გაეკიდა შავრას, ციურას გაეხარდა: შაჰ-თამაზი ეგონა წაიმხრისულა, ჩახედა სახეში — უცხო ვიღაც გაჰყოლოდა. სიმწარით დაიკივლა ციურამ, შავრას ქუსლი ჰკრა, ქარაფის თავზე მიაგდო. თვალზე მანდილაფარებული ცხენი ელვის სისწრაფით მიიჭრა, — უფსკრულს არ დაერიდა და ოდნავ დაიგმინა, როდესაც ფეხების ქვეშ სიცარიელე იგრძნო... მისი ძუაფაფარი გაიშალა ლაჟვარდში, ციურას შავი მანდილი შეაფრიალა ჰაერმა და ცხენმხედარი მიიბარა უფსკრულმა... უკანგაკიდებულმა მხედარმა, რა უფსკრულის თავზე გამფრთინავი წინმდგომი იხილა, ჟრუანტელმა აიტანა, სახე საშინლად დაეღმანჭა, მძლავრი მკლავებით მოსწია ცხენის სადავეს, ლურჯა შეატოტავა, შემოტრიალდა და სწორედ ამ დროს მძლავრი ყიჟინა გაისმა: ხერთვისიდან მოსულმა ქართველთა ლაშქარმა შეუტია ციხეს, ობლადშემოჭრილმა თეთრმა ისარმა წივილით განვლო ლაჟვარდი, ლურჯა ცხენოსანს შეალეწა ტანი და დააყირავა მხედარი: შავმა ჭაბუკმა შემოჰკივლა გაპარტახებულ ციხეს...

ასე გაიარა მოგონებებმა... ტანდაშარულ კოშკს მიყრდნობილი ჭაბუკი ფიქრებით დაოსებული წამოიმართა, გარიჟრაჟებულ მიდამოს გადახედა შემკრთალმა და თავშესაფარი მოძებნა ნანგრევთა შორის, ხოლო დილით, როდესაც მადლიანი სხივები მოჰფინა მზემ დედამიწას, უცნობი გამოვიდა ციხის ნანგრევიდან, ჩაუარა ქავციხეთ ნანგრევებს, ზომას იღებდა, ნახაზებს აკეთებდა, ეჩქარებოდა: ვარძიაში ტურისტი ამხანაგები ელოდნენ მას.

———

ალიო ადამია

ლექსები

ის წინანდელი... სიმაღლე საკუთარ

კოშკს ხავსიანიც ჰქონდეს კედელი,
წაიკითხების როგორც დედანი,
ორი ათასის წლის წინანდელის
საოცრებანი და თქმულებანი!
შემოქარგულან ხენი მწვანეთი
და ატყორცნილან როგორც ისარი!
ალვებს სიმაღლე თუ აქვთ ასეთი,
არ არის სხვისი და ნასხვისარი...
დიდება, ხსოვნა კარგებს წინანდელთ,
ვინც ნოყიერი შექმნა ტყეველი;
ჩვენს სამშობლოში ყველა სიმაღლეს
აქვს საძირკველი შეურყეველი.

ტფილისს ქალაქს ირმის ყელზე

რომ შეიშრეს ყვავილებმა
ყელი, ცვარით დანამული,
როგორც დედის გაღიმება,
შემობრძანდა გაზაფხული!
ყვავილებმა ყელი ჰყარეს
და ფერებში ჩასვეს მიწა, —
მაშინ ირმის ნახტომივით
მთას ბილიკი დაეკიდა.
როცა ბუჩქებს იაია
მუქ ფერებში ჩაეწითლა
და ჭადრები ჭორფლიანნი
აშრიალდნენ ქარდაკრულნი, —
ტფილისს ქალაქს ირმის ყელზე
დაუბრძანდა გაზაფხული!..
გაზაფხული! მთაველების
სიკოხტავის დადგა ხანი, —
დავხატავდი მე გაზაფხულს
შენს სახეზე ორი ხალით!

ფოსტის ნიშნები

გაჩენის დღიდან ეს თქვენი მოდგმა
ეძებს, მიიკვლევს ახალს სადგურებს, —
თან ყალბ ვექსილებს უძველეს დროთა
მარად თანერთვის და ადასტურებს.
ვერ წაეყაროს თქვენ ხსოვნას მტვერი
ქვეყნად მზეა და ცაა ვიდრემდის, —
რადგან სიმართლე და ჭორიც ბევრი
დაგაქვთ თქვენ ქვეყნის კიდითკიდემდის.
დახვალთ ცალ-ცალკე და ხან წყვილები,
დრო მიდიმოდის, თქვენ არ ხუნდებით,
თუ არ დაგიხვდათ შინ მასპინძლები
კვლავ გამომგზავნებს დაუბრუნდებით...
დაასწრებთ ხშირად განთიადს მტრედის,
(ტკბილი ხართ, როგორც დილის საარი!)
ოკეანეთა, ზღვათა ხმელეთის
მოგზაურები გზააუმცდარი, —
იქნებით! ქვეყნად მზეა ვიდრემდის
(ხედავთ? სიცოცხლის გრჩებათ რა ხანი!)
ჩვენს ქვეყანაში მსოლოთ სიკეთის
და გამარჯვების დაგაქვთ ამბავი.
რომ არ დაესვას ჩემს თავს წერტილი
მიყვარს მე თქვენი ხშირი სტუმრობა, —
რომ მომიტანოთ ნაზი წერილი,
წაიღოთ ჩემი უსახურობა...

შენი შემოსვლა და შემოხედვა

იცი, რა კარგი იყავი! დედას
ვფიცავარ, ახლაც მახსოვს ის წამი,
შენი შემოსვლა და შემოხედვა,
ღიმილი ნაზი და გამწირავი...
შემოხველ, მოგყვა ლაზათი, ეშხი,
შენ, უსათუთეს ფიქრების სწორო,
ია და ვარდი გეჭირა ხელში,
ალბათ, ნაძღვენი და სამახსოვრო!
შემოხველ,
ჩრდილში ჩადგნენ ქალები,
შენი სიკარგე ვერ თქვას ენამა, —
ამაწრიალა შენის თვალების
მზერამ და ჩემის გულის ძგერამა...
და ფიქრი დამრჩა ღამის გამთევი,
ღამით ღამეს და დღით დღეს მიება:
ასე ხანმოკლე, ნაუცბათევი
ჩვენი შეხვედრა და დაცილება!

მხვდებიან შენი ტოლები თბილის
ღიმილით, შენის მსგავსის თვალებით, —
ლამაზი ბევრი ჰყავს ქალაქ ტფილისს,
ვერ არის შენი თანაცალები!

მცირე სიკარგეც...

ამ გაზაფხულზე
ეგების გნახო,
კვლავ გისახსოვრებ
ვარდსა და მძივებს;
ვიქნები შორს, თუ ვიქნები ახლოს,
მე შენზე ფიქრი
არ დამაძინებს!
ლექსად გამოვთქვი,
ჩვენი ამბავი,
ლექსი კი არა... ისევ მიშველის
უფეროფერის შენი ნაწნავი
ჩემთვის ქერა და ჩემთვის გიშერიც...
ჯერაც ვერ შეგხვდი,
მარტოდ იარე,
მხნედა ვარ, ვიცი, არის ძალაში:
არცერთი კარგი, მცირე სიკარგეც
არ იკარგება ჩვენს ქვეყანაში.

უარი მითხრან, მაინც არ მჯერა.

მცირე ხნით მოველ, სიამე ვიგრძენ
და მოვიარე ლხენით მთა-ბარი,
თითქოს მე ვიყო ჩახრუხაისძე
და შენ ნექტარი გქონდეს თამარის!
მცირე ხნით მოველ, მცნეს, არ მაწამეს
შენის ხელებით დამყნილ ლერწებმა,
ახლოს ვუცქერი მე შენს ნაწნავებს,
შევეხები და ხელი მეწვება...
და სად არ ვიყავ, მაინც მოველი,
კვლავ შენს ალანძულ სახეს ვუცქერი, —
თრთიან შენს მკერდზე ეს ლიმონები
ჯერ ხელუხლები და გაუფცქვნელი!
მოჭირნახულდეს, დადგეს მაჭრობა,
გზას ნუ აგაცდენს ვინმე, მაცდური!
მე — დაგიმტკიცო ჩემი ვაჟობა,
შენ — სიყვარულის მომეც დასტური...
ახლა სოფელში არის მაჭრობა
და შემოდგომის წყნარი დარები, —
დედებს ახარებთ ბავშვთა გართობა
და ქალიშვილებს ფარჩის კაბები!

ზეიმობს ყველა და ყველა ლხინობს
და თხოვდებიან ვისიც დრო არი, —
გათხოვდა თქვენი თამარი, ნინო,
შენ ერთი რჩები გასათხოვარი!
ვხედავ შენს თვალებს, როგორ ინთება,
უარი მითხრან, მაინც არ მჯერა!
დამკაწრონ შენმა ნორჩმა თითებმა,
შენვე, მიწამლებ გადასარჩენად...

...ლოგბის სარზე დანახევი

მწიფობისთვე —
ჩამოყვითლდა
ფოთლები და ბალახები,
შენ გაცვია ჩითის კაბა
ლობის სარზე დანახევი!
მწიფობისთვე —
რა კარგი და ნოყიერი
დღეებია ქარვისფერი,
იბერტყება კაკლის ხენი,
ჩაიდულებს მაჭარს ქვევრი...
შენ ერთი ხარ
და ოჯახში
მხოლოდ შენი ზრუნავს ხელი,
ხორბლით საესე გაქვს ბეღელი
და ყურძენით საწნახელი!
— მარტოხელა?
განა არის
ჩვენს სოფელში ვინმე ახლა!
ჩამობრძანდი, დაგახვედრებ
ეზოსა და სახლსაც ახალს, —
ჭირნახულს რომ დავალაგებ,
დავაყენებ წითელ მაჭარს,
ჩითის კაბას გადავაგდებ
და ჩავიცვამ ფარჩის კაბას...
მწერ, რომ ამდენს არ დაიცდი,
არ ჩამორჩე გინდა ქალებს,
გათხოვდები წელს უთუოდ
და ბავშვებსაც დაამრავლებ, —
დაგაფიცებ მე ბავშვობას,
რიკტაფელას დაგაფიცებ:
წინდები, რომ მომიქსოვე,
ალარავის აღარ მისცე...

———

ვსევოლოდ გარშინი

წითელი ყვავილი

ივანე სერგეის-ძე ტურგენევის ხსოვნას«

I

— მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის პეტრე პირველის სახელით, ვაცხადებ ამ საგიჟეთის რევიზიას!

ეს სიტყვები ნათქვამი იყო, მაღალი, უკმეხი, მჟღერი ხმით. საავადმყოფოს მწერალმა, რომელიც მელნითმოსვრილ მაგიდაზე გადაფლეთილ დიდ წიგნში ავადმყოფის სახელსა და გვარს აღნიშნავდა, ღიმილი ვერ შეიკავა; მაგრამ ავადმყოფისმომყვანი ორი ახალგაზრდა არ იცინოდა. ისინი ძლივს იდგეს ფეხზე; შეშლილთან გაატარეს ორი უძილო ღამე, სრულიად მარტო; ახლახან მოიყვანეს რკინიგზით. უკანასკნელი სადგურის წინ სიგიჟემ საშინლად მოუარა; სადღაც გიჟის პერანგი იშოვნეს და ავადმყოფს კონდუკტორისა და ჟანდარმის დახმარებით ჩააცვეს. ასე ჩამოიყვანეს ქალაქში, ასე მოიყვანეს საავადმყოფოში.

ის საშინელი იყო! სიგიჟის მოვლის დროს ნაფლეთებადქცეულ ნაცრისფერ ტანსაცმელის ზევით, ფართოდამოჭრილი უხეში ტილოს ქურთუკი ტანზე ვიწროდ ჰქონდა შემოჭედილი; ზურგთან შეკრული გრძელი სახელოები ჯვარედინად დაწყობილ ხელებს მჭიდროდ იზიდავდა გულისაკენ; ანთებიანი, ფართოდგადაღებული ცეცხლიანი თვალები (ათი ღამე არ სძინებია) ელავდენ უძრავი, აღზნებული ელვარებით; ქვედა ტუჩის ძირს აკანკალებდა ნერვიული კრუნჩხვა; შუბლზე ფაფარსავით ეყარა აბურდული ხუჭუჭი თმა. სწრაფი, მძიმე ნაბიჯით დადიოდა კანტორის კუთხიდან კუთხეში, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ქაღალდებიან ძველ კარადებს, მუშამბიან სკამებს და ხანდახან გადახედავდა თანამგზავრებს.

— წაიყვანეთ განყოფილებაში. მარჯვნივ.

— ვიცი, ვიცი. მე უკვე ვიყავი აქ შარშან თქვენთან ერთად. ჩვენ ვათვალიერებდით საავადმყოფოს. მე ყველაფერი ვიცი და ჩემი მოტყუილება ძნელი იქნება, — სთქვა ავადმყოფმა.

ის მიტრიალდა კარებისაკენ. დარაჯმა კარი გაუღო. გიჟმა ამაყად ასწია თავი და სწრაფი, მძიმე და მტკიცე ნაბიჯით გავიდა კანტორიდან; შემდეგ თითქმის სირბილით გასწია მარჯვნივ სულით ავადმყოფთა განყოფილებისაკენ.

მხლებლები უკან მისდევდენ.

— დარეკე, მე არ შემიძლია, თქვენ ხელები შეგიკრავთ ჩემთვის.

მეკარემ გააღო კარი. და მგზავრები საავადმყოფოში შევიდნენ.

ეს იყო სახელმწიფო, ქვის, ძველი, დიდი შენობა: ქვედა სართულს შეადგენდა ორი დარბაზი (ერთი — სასადილო, მეორე — საერთო ბინა მშვიდ ავადმყოფთათვის); ფართო დერეფანი; შუშის კარები გადიოდა ყვავილებიან ბაღში; ორიოდე ათეული ცალკე ოთახი, რომელშიც ავადმყოფები სცხოვრობენ. ამავე სართულში იყო ორი ბნელი ოთახი, ერთი ლეიბებით და მეორე ფიცრებით მოკრული. აქ სვამდენ ბრაზიან შეშლილებს; ერთი უზარმაზარი გუმბათიანი ბნელი დარბაზი წარმოადგენდა აბაზანების ოთახს. ზევითა სართული ქალებს ჰქონდათ დათმობილი. იქიდან ისმოდა შეუწყობელი ხმაური, რომელსაც ზოგჯერ სცვლიდა კვნესა და ქვითინი. საავადმყოფო ოთახშიც კაცისათვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ სამასამდე გიჟი იყო მოთავსებული, რადგან ივანრამდენიმე გუბერნიას უწევდა მომსახურება. პატარა სენაკში ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი ლოგინი იდგა. ზამთარში, როდესაც ავადმყოფებს ბაღში არ უშვებდენ და რკინისბადიანი ყველა ფანჯარა მჭიდროდ იყო დახურული, საავადმყოფოში აუტანელი, დახუთული ჰაერი დგებოდა.

ავადმყოფი შეიყვანეს აბაზანებიან ოთახში, ეს იყო თაღებიანი დიდი ოთახი. ქვის იატაკს ფეხი ეწებებოდა და სრიალებდა; ოთახს ანათებდა ერთ-ერთ კუთხეში ჩაყენებული ფანჯარა. კედლები და თაღები შეღებილი იყო მუქწითელი ზეთის საღებავით; ჭუჭყისაგან გაშავებულ იატაკში, იატაკის დონეზევე ჩადგმული იყო ქვის აბაზანები, რომელნიც წყლით სავსე ნაგვის ორმოებს ჰგავდნენ. სპილენძის უშველებელ ღუმელს, წყლის სათბობ ცილინდრიულ ქვაბს და სპილენძის მილებსა და ონკანებს ეჭირათ ფანჯრის პირდაპირი კუთხე. გონება-აშლილ ადამიანისთვის ყველაფერი არაჩვეულებრივად მოღუშული და ფანტასტიური იყო; აბაზანებში მომუშავე დარაჯიც მსუქანი, მუდამ ჩუმი უკრაინელი თავისი მოღუშული სახით კიდევ უფრო ამრავლებდა ამ შთაბეჭდილებას.

და როდესაც ავადმყოფი შეიყვანეს ამ ოთახში საბანაოდ და საავადმყოფოს მთავარი ექიმის მკურნალობის სისტემის თანახმად კეფაზე მალამოს წასასმელად, ის შეიპყრო შიშმა და ბრაზმა. ერთი-მეორეზე უფრო უცნაურმა აზრებმა გაუელვეს თავში. რა არის ეს? — ინკვიზიცია? საიდუმლო წამების ადგილი, სადაც მტრებმა გადასწყვიტეს მისი მოსპობა? შეიძლება თვით ჯოჯოხეთია? ბოლოს გაიფიქრა, რაღაც გამოცდა არისო. თავგამეტებულ წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც ტანთ გახადეს. ავადმყოფობისაგან გაორკეცებულის ძალით ადვილად უსხლტებოდა ხელიდან დარაჯებს, და დარაჯები იატაკზე ეცემოდენ. ბოლოს ოთხმა წააქცია; ხელებსა და ფეხებში სტაცეს ხელი და ჩაუშვეს თბილ აბაზანაში. აბაზანა მდუღარედ მოეჩვენა, და უგუნურ თავში გაიელვა შეუკავშირებელმა, ნაწყვეტნაწყვეტმა აზრმა მდუღარე წყლით და გავარვარებულ შანთით გამოცდაზე. ავადმყოფი ივუდებოდა, იკრუნჩხებოდა და, თუმცა დარაჯებს მაგრად ეჭირათ, მაინც აფართხალებდა ხელებსა და ფეხებს; სულშეხუთული ყვიროდა უაზრო სიტყვებს, რომელთა შესახებ შეუძლებელია იქონიოს ადამიანმა წარმოდგენა, თუ თვითონ არ გაიგონა. ვედრება და კრულვა ერთმანეთში იყო არეული. ასე ყვიროდა, სანამ ძალლონე შესწევდა და ბოლოს ჩუმად, ცხარე ცრემლებით წარმოსთქვა, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა წინათ ნათქვამს:

— წმინდაო მთავარ-მოწამეო გიორგი! შენ გაბარებ ჩემს სხეულს. და სულს კი არა, ოჰ, არა!..

დამშვიდებული იყო, — თბილს აბაზანას და თავზე დადებულ ყინულიან ბუშტს გავლენა მოეხდინათ, მაგრამ დარაჯებს მაინც მაგრად ეჭირათ იგი. როდესაც, თითქოს სავსებით უგრძნობელი, აბაზანიდან ამოიღეს და სკამზე დაესვეს მარიამ-ბულის მალამოს წასასმელად, დარჩენილი ძალა და უგუნური აზრები ისევ აუფორიაქდენ.

— რისთვის? რისთვის? — ყვიროდა ავადმყოფი — მე ხომ არავისთვის არ მსურდა ცუდი. რისთვის მკლავთ? ო...! ო, ღმერთო! ო, თქვენ ჩემზე ადრე წამებულნო! თქვენ გევედრებით... მიხსენით...

ზურგზე მალამოს მწვავე შეხებისთანავე მან დაიწყო თავდაუზოგავი გრძოლა. მოსამსახურეებმა ვერაფერი მოუხერხეს და არ იცოდენ, რა ექნათ.

— ასე არაფერი გამოვა — სთქვა მალამოსწამსმელმა ჯარისკაცმა: — ისევ სჯობია გავათავოთ.

ამ უბრალო სიტყვებმა ავადმყოფს ელდა დასცეს: „გავათაოთო!.. რას ათავებენ! ვინ უნდათ გაათავონ? მე?“ — გაიფიქრა და სიკვდილის შიშით შეპყრობილმა თვალები დახუჭა. ჯარისკაცმა აიღო ულვაში პირსახოცი, ბოლოები ღონიერად და სწრაფად ჩამოუსვა ავადმყოფს ზურგზე და მალამოსთან ერთად ჩამოაცალა კანის ზედაფენა; ზურგზე გამოჩნდა გატიტვლებული წითელი ხორცის ზოლი. ასეთი ოპერაციისგან მიყენებული ტკივილი ნორმალურ და ჯანსაღ ადამიანისათვისაც აუტანელია, ავადმყოფს კი ყველაფრის დასასრულად მოეჩვენა; მთელი სხეულით გაიბრძოლა, ხელიდან გაუსხლტა დარაჯებს და მისი ტიტველი სხეული ქვის ფიქალებზე გადაგორდა. ავადმყოფი ფიქრობდა, რომ თავი მოჰკვეთეს, უნდოდა დაეყვირა და არ შეეძლო. გონებაწასული აიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს, სადაც დიდ ხანს უძრავად და ღრმად ეძინა.

II

ღამე გონზე მოვიდა. გარშემო სიწყნარე იყო. მეზობელ დიდ ოთახიდან მოისმოდა მძინარე ავადმყოფების სულისთქმა. სადღაც შორს, ღამით ბნელ ოთახში დამწყვდეული ავადმყოფი გულისგამწყალებელი საკვირველი ხმით თავისთავს ელაპარაკებოდა; ზევიდან, ქალების განყოფილებიდან, ხრინწიანი კონტრალტო მღეროდა რაღაც ველური სიმღერას. ავადმყოფი ამ ხმებს უგდებდა ყურს და საშინელ სისუსტეს და მთელი ტანის მოდუნებას გრძნობდა; კისერი ძლიერ სტკიოდა.

„სად ვარ? რა მემართება?“ — გაუელვა თავში და უეცრად არაჩვეულებრივი სიცხადით წარმოუდგა თავისი ცხოვრების უკანასკნელი თვე, მიხვდა, რომ ავად იყო და რით იყო ავად. თავისი უგუნური აზრები, სიტყვები და მოქმედება ახსენდებოდა და ეს მოგონებანი ერუანტელს ჰგვრიდა.

— მაგრამ ეს გათავებულია, მადლობა ღმერთს, ყველაფერი გათავებულია! — წაიჩურჩულა მან და ისევ დაიძინა.

რკინისბადიანი გაღებული ფანჯარა გადიოდა დიდ შენობებსა და ქვის ღობის შუა მყოფ პატარა ჩიხში; ამ ჩიხში არავინ შედიოდა, და მთლად დაფარული იყო უცნაურ ველურ ბუჩქნარით და წლის იმ დროს საუცხოოდ გაშლილ იასამანით; ფანჯრის პირდაპირ, ბუჩქნარის უკან, შავად აღმართულიყო მაღალი ღობე; დიდი ბაღიდან, მთვარის შუქში გახვეული მაღალი ხეების

მდუმარე წვერები მოაჯირზე გადმომდგარიყვნენ. მარჯვნივ მოსჩანდა თეთრი საავადმყოფო და მისი, შიგნიდან განათებული რკინისბადეებიანი ფანჯრები. მარცხნივ მთვარის შუქისაგან თეთრად მოკაშკაშე მბყრუებული კედელი „სამკვდროსი“. მთვარის შუქი ოთახში ფანჯრიდან შემოდიოდა, ეცემოდა იატაკზე და ანათებდა ლოგინის ნაწილს და თვალდახუჭულ ავადმყოფის ფერმკრთალ განაწამებ სახეს; შეშლილობის ეხლა მას აღარაფერი ჰქონდა. ეს იყო გატანჯული ადამიანის ღრმა, მძიმე ძილი, უსიზმროდ, სავსებით უმოძრაოდ და თითქმის უსუნთქველადაც კი. რამდენიმე წუთით გაეღვიძა — თითქოს სრულიად ჯანმრთელი იყო და ნორმალური მახსოვრობა ჰქონდა; დილით კი ადგა ძველებურად შეშლილი.

III

— როგორ გრძნობთ თავს? — ჰკითხა მას მეორე დღეს ექიმმა.

ახლადგამოღვიძებული ავადმყოფი ჯერ კიდევ საბანს ქვეშ იწვა.

— მშვენივრად! — უპასუხა მან; ფაცა-ფუცით ჩაიცვა ფაჩუჩები და ხალათი: — მშვენივრად! მხოლოდ ერთი რამ: აი! — და ექიმს თავის ზურგზე უჩვენა.

— კისერი ვერ მომიბრუნებია უმტკივნეულოდ. მაგრამ არაფერია. ყველაფერი კარგია, თუ კი გესმის, მე კი მესმის!

— თქვენ იცით — სადა ხართ?

— რასაკვირველია, ექიმო! მე საგიჟეთში ვარ. მაგრამ თუ გესმის, სავსებით სულერთია. სავსებით სულერთია.

ექიმი გულდასმით ჩასჩერებოდა თვალებში. მისი ნაპატიები ლამაზი სახე-, საუცხოოდ დავარცხვნილი ოქროსფერი წვერი და ოქროს სათვალეებიდან მშვიდადმაცქერალი ცისფერი თვალები უძრავი და განუჭვრეტა, იყო. ის აკვირდებოდა.

— რას მიყურებთ ასე დაჟინებით? თქვენ ვერ ამოიკითხავთ იმას, რაც გულში მაქვს ჩახვეული, — განაგრძობდა ავადმყოფი: — მე კი ნათლად ვკითხულობ თქვენს გულში! რად მოქმედობთ ბოროტად? რისთვის შეჰკრიბეთ ამ საცოდავთა ხროვა და არ უშვებთ აქედან? ჩემთვის სულერთია: მე ყველაფერი მესმის და დაწყნარებული ვარ; მაგრამ ისინი? რა საჭიროა ეს წამება? ვინც მიაღწია დიდებულ, საერთო აზრს — მისთვის სულერთია სად იცხოვრებს, რას იგრძნობს... თვით სიცოცხლეც და სიკვდილიც... ხომ ასეა?

— შესაძლებელია, — უპასუხა ექიმმა და ისე დაჯდა ოთახის კუთხეში, რომ უკეთესად დაენახა ავადმყოფი, რომელიც სწრაფად დადიოდა კუთხიდან-კუთხეში, ცხენის ტყავის ფლოსტების ტყაპუნით და ფართო წითელზოლებიან და დიდი ყვავილებით მოხატულ ბამბის ხალათის კალთების ფრიალით.

ექიმის მხლებლები ფერშალი და ზედამხედველი გაჭიმული იდგნენ კარებთან.

— მეცა მაქვს ასეთი აზრი! — წარმოიძახა ავადმყოფმა. — და როდესაც ის ვიპოვნე, ვიგრძენი, რომ გარდვიქმენი, გრძნობები გამიმახვილდა, ტვინი მუშაობს ისე, როგორც არასოდეს არ უმუშავნია. ის, რასაც წინათ ვაღწევდი დიდი მსჯელობისა და მიხვედრის საშუალებებით, ახლა ქვეშეგნებით ხდება ჩემთვის ნათელი. მე სინამდვილეში მივაღწიე იმას, რაც ფილოსოფიამ შეიმუშავა. მე თვით განვიცდი იმ დიდ იდეას, რომ სივრცე და დრო მხოლოდ ფიქციებია. მე ყველა საუკუნეში ვცხოვრობ. მე ვცხოვრობ სივრცისგარეშე ყველგან

და არსად, როგორც გნებავთ. ამიტომ სულერთია ჩემთის აქ დამიჭერთ თუ თავისუფლად გამიშვებთ, შემბოჭავთ თუ არა. მე შევამჩნიე, რომ აქ კიდევაა რამდენიმე ჩემისთანა. მაგრამ დანარჩენებისთვის ასეთი მდგომარეობა საშინელია. რატომ არ გაათავისუფლებთ მათ? ვისთვისაა საჭირო....?

— თქვენ სთქვით, — შეაწყვეტინა ექიმმა, — რომ თქვენ დროისა და სივრცის გარეშე სცხოვრობთ. მაგრამ არ შეიძლება არ დამეთანხმოთ, რომ ჩვენ ამ ოთახში ვიმყოფებით, და რომ ახლა,—ექიმმა ამოიღო საათი, — 18 ** წლის 6 მაისია, თერთმეტის ნახევარი. რას ჰფიქრობთ თქვენ ამის შესახებ?

— არაფერს. ჩემთვის სულერთია სად ვიქნები და როდის ვიცხოვრებ. თუ ჩემთვის სულერთია ეს ხომ ნიშნავს რომ „მე" ყველგან და ყოველთვისა ვარ?

ექიმს ჩაეცინა.

—იშვიათი ლოგიკაა, — სთქვა მან და წამოდგა. — თუმცა შესაძლებელია თქვენ მართალიც იყოთ. ნახვამდის... სიგარას ხო არ მიირთმევთ?

— გმადლობთ! — ავადმყოფი შეჩერდა, სიგარა აიღო და ნერვიულად ბოლო მოჰკვნიტა, — ეს აადვილებს ფიქრს, — სთქვა მან. — ეს მიკროკოსმია, სამყაროა. ერთ ბოლოზე ტუტეებია, მეორეზე კი სიმჟავეები... ასეთივეა მსოფლიოს წონასწორობაც, რომელშიც ერთმანეთს აბათილებენ მოწინააღმდეგე საწყისები... მშვიდობით, ექიმო!

ექიმმა განაგრძო ავადმყოფთა ჩამოვლა. ავადმყოფების უმრავლესობა მას ელოდებოდა საკუთარ საწოლთან გაჭიმული. არცერთ უფროსს არა აქვს დამსახურებული თავის ხელქვეითებში ისეთი პატივისცემა, როგორც ექიმ-ფსიქიატრს თავის პაციენტ — შეშლილებში.

მარტოდარჩენილი ავადმყოფი ნერვიულად დადიოდა საკნის ერთი კუთხიდან მეორეში. დიდი ჭიქა ჩაი მიუტანეს. არ დამჯდარა, ისე დასცალა. და სწრაფად შესჭამა თეთრი პურის მოზრდილი ნაჭერი. შემდეგ გამოვიდა ოთახიდან და რამდენიმე საათი შეუჩერებლივ დადიოდა თავისი სწრაფი და მძიმე ნაბიჯით შენობის ერთი კუთხიდან მეორისკენ. წვიმიანი ამინდი იყო; ავადმყოფებს ბაღში არ უშვებდენ; როდესაც ფერშალმა ახალ ავადმყოფს ძებნა დაუწყო, მას დერეფნის ბოლოზე მიუთითეს; ის მართლაც იქ იდგა, ბაღში გამავალ შუშებიან კართან. შუშაზე სახე მიეყრდნო და მიშტერებოდა ყვავილნარს. მისი ყურადღება მიეპყრო ყაყაჩოს ერთ-ერთი სახეობის განსაკუთრებულად მოკაშკაშე ალისფერ ყვავილს.

— წამოგრძანდით ასაწონად, — და ფერშალმა მხარზე ხელი შეახო.

და როდესაც ავადმყოფი მისკენ შემობრუნდა, ფერშალმა კინაღამ უკან დაიხია, იმდენი გააფთრებული სიძულვილი და ბრაზი ელავდა შეშლილის თვალებში; მაგრამ ფერშლის დანახვსთანავე ავადმყოფმა შეიცვალა სახის გამომეტყველება და მორჩილებით, ხმის ამოუღებლად გაჰყვა უკან, თითქოს ღრმა ფიქრში ყოფილიყოს გართული. ისინი ექიმის კაბინეტში შევიდნენ, ავადმყოფი თვითონ დადგა ათწილადიან პატარა სასწორზე; ფერშალმა ასწონა და წიგნში მისი გვარის გვერდით აღნიშნა: 109 გირვანქა; მეორე დღეს ავადმყოფი იწონიდა 107, მესამეს — 106.

— თუ ასე გაგრძელდა, ველარ იცოცხლებს, — სთქვა ექიმმა და ბრძანა, რაც შეიძლება კარგად ეკვებათ.

მაგრამ მიუხედავად ამისა და ავადმყოფის არაჩვეულებრივი მადისა, ის დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ხდებოდა, და ფერშალსაც ყოველ დღე წიგ-

ნში გირვანქების სულ უფროდაუფრო მცირე რიცხვი შეჰქონდა. ავადმყოფს თითქმის სრულიად არ ეძინა და მთელ დღეებს განუწყვეტელ მოძრაობაში ატარებდა.

IV

ავადმყოფმა იცოდა, რომ საგიჟეში იყო; ისიც იცოდა, რომ ავად იყო. ანდანან მთელი დღის გაშმაგებული მოძრაობის შემდეგ პირველ ღამის მსგავსად შეგნება საღი ჰქონდა, სიჩუმეში ელვიძებოდა, მთელ სხეულში გრძნობდა ტეხას და თავში სიმძიმეს. შესაძლებელია, ღამის სიჩუმე, სიბნელე, შთაბეჭდილებათა უქონლობა, ან შესაძლებელია ახლად გაღვიძებული ადამიანის ტვინის შენელებული მუშაობა იყო მიზეზი, რომ ასეთ წუთებში ავადმყოფი ნათლად გრძნობდა თავის მდგომარეობას და თითქოს კარგად იყო. მაგრამ, როგორც კი დადგებოდა დღე, სინათლესთან და საავადმყოფოში გაღვიძებულ სიცოცხლესთან ერთად მას იპყრობდა ახალ შთაბეჭდილებათა ტალღა; ავადმყოფის გონება ვერ ახერხებდა მათთვის ხელმძღვანელობა გაეწია და ის ისევ შეშლილი იყო. მისი მდგომარეობა სწორი აზროვნებისა და სისულელის საკვირველ შენაერთად იქცეოდა. ის გრძნობდა, რომ გარშემო მყოფნი ყველანი ავადმყოფები არიან, მაგრამ ამავე დროს ყოველ მათგანში ხედავდა რაღაცნაირ საიდუმლოდ გადამალულს ან დაფარულ სახეს, რომელსაც წინათ იცნობდა, ან რომლის შესახებ წაეკითხა ან გაეგონა. საავადმყოფო ყველა დროს და ყველა ქვეყნის ხალხით იყო დასახლებული. აქ იყვნენ ცოცხლებიცა და მკვდრებიც. აქ იყვნენ მსოფლიოს სახელგანთქმულნი და ძლიერნი და უკანასკნელ ომში მოკლული და მკვდრეთით აღმდგარნი ჯარისკაცები. ის ხედავდა თავისთავს რაღაც თილისმით შეკრულ ჯადოსნურ წრეში, რომელშიც მომწყვდეული იყო მსოფლიოს მთელი ძალები და მედიდური სიშმაგით თავისთავს ამ წრის ცენტრად სთვლიდა. საავადმყოფოში შეკრებილან ეს ამხანაგები, რომ შეასრულონ რაღაც ბუნდოვანად წარმოდგენილი გიგანტური საქმე მიმართული დედამიწაზე ბოროტების მოსასპობლად. მან არ იცოდა, თუ რა გვარი იქნებოდა ეს საქმე, მაგრამ გრძნობდა, რომ ძალა შესწევდა მის ასასრულებლად. მას შეეძლო სხვების აზრები ამოეკითხა; საგნებში ხედავდა მათ მთელ ისტორიას; საავადმყოფოს ბაღის დიდი თელები უამბობდენ მათ მიერ განცდილ მთელ ლეგენდებს. მართლაც საკმაოდ დიდი ხნის შენობას ის პეტრე დიდის მიერ აშენებულად სთვლიდა და დარწმუნებული იყო, რომ მეფე პოლტავის ბრძოლის დროს აქ სცხოვრობდა. ეს მან ამოიკითხა კედლებზე ტკეჩის ჩამონგრეულ, ბაღში ნაპოვნი აგურის ნატეხებზე და შორენკეცებზე; მათზე სახლისა და ბაღის მთელი ისტორია იყო დაწერილი. პატარა სამკვდრო მან დაასახლა დიდი ხნის წინათ მიცვალებულთა ასეულებით და დიდის ყურადღებით უცქეროდა სამკვდროს სარდაფიდან ბაღის კუთხეში გამომავალ ქუჩყიან, ფერად ფანჯარას; სინათლის უსწორო ანარეკლში ხედავდა ნაცნობ სახეებს, რომელნიც მას ოდესღაც მართლაც ენახა ცხოვრებაში ან სურათებზე.

დადგა ნათელი, კარგი ამინდები; ავადმყოფები მთელდღეს სუფთა ჰაერზე, ბაღში ატარებდენ. მათი ბაღის პატარა ნაწილი დაბურული იყო ხეებით; სადაც კი მოხერხდებოდა, ჩაერგოთ ყვავილები; ვისაც კი ოდნავ მაინც შეეძლო, ზედამხედველი აიძულებდა ემუშავნა ბაღში; მთელი დღე ისინი ჰგვიდნენ და ქვიშას აყრიდნენ გზებს, რწყავდნენ მათივე ხელით დარგულ ყვავილების ბუჩ-

ქებს, კიტრს, საზამთროს და ნესვს. ბაღის ერთ კუთხეს მორეოდა ხშირი ალუბალი: მის გასწვრივ მიჰყვებოდა თელების ხეივანი: შუაში, პატარა ხელოვნურ გორაკზე, მოწყობილი იყო მთელ ბაღში ულამაზესი ყვავილნარი; ზედა მოედნის კიდეებზე ჩარგული იყო ფერადი ყვავილები; შუა ადგილს კი ამშვენებდა დიდი, მსხვილი და წითელ წინწკლებიანი, ყვითელი იშვიათი დალია. ის ოდნავ მაღლა იყო და მთელი ბაღის შუაგულსაც წარმოადგენდა; ემჩნეოდა რომ ბევრი ავადმყოფი მას რაღაც საიდუმლო მნიშვნელობას აძლევდა. ახალ ავადმყოფსაც ის არაჩვეულებრივად, მთელი ბაღის და შენობის მფარველ ძალად ეჩვენებოდა. ბილიკების ორივე მხარეზედაც ავადმყოფებს მცენარეები ჩაერგოთ. იყო ყოველგვარი ყვავილი, რაც კი უკრაინის ბაღებში გვხვდება: მაღალი ვარდები, ნათელი პუტუნიები თამბაქოს მაღალი ბუჩქები, ვარდისფერი მომცრო ყვავილებით, პიტნა, ხავერდი, ბალახვარდა და ყაყაჩოები. აქვე პარმაღის მახლობლად, ყვაოდა რაღაც განსაკუთრებული ჯიშის ყაყაჩოს სამი ბუჩქი; ის ჩვეულებრივზე ბევრად უფრო პატარა იყო და არაჩვეულებრივ ნათელი ალისფერით განირჩეოდა. სწორედ ამ ყვავილმა განაცვიფრა ავადმყოფი, როდესაც საავადმყოფოში მოსვლის შემდეგ პირველ დღეს იყურებოდა ბაღში შუშიანი კარებიდან.

როდესაც ავადმყოფი პირველად გამოვიდა ბაღში, პარმაღის კიბეზე შეჩერდა და უპირველესად ყოვლისა ამ ალისფერს ყვავილებს შეაჩერდა; ყვავილი მხოლოდ ორი იყო; შემთხვევით ისინი სხვებისგან მოშორებით გაუმარგლავ ადგილას ჰყვავოდნენ და სქელი ყვერი და შამბნარი ჰქონდათ გარშემორტყმული.

ავადმყოფები ერთი-მეორის შემდეგ გამოდიოდნენ კარებიდან; იქვე მდგომი დარაჯი მათ აძლევდა ბამბისაგან მოქსოვილ სქელ, თეთრ ჩაჩს, რომელსაც საშუბლეზე წითელი ჯვარი ჰქონდა გამოყვანილი. ეს ჩაჩები ომში იყო ნახმარი და ნაყიდი იყო საჯარო ვაჭრობაზე. ავადმყოფი, რა თქმა უნდა, ამ წითელ ჯვარს საიდუმლო მნიშვნელობას აძლევდა. მან მოიხადა ჩაჩი, დახედა ჯვარს, შემდეგ ყაყაჩოს ყვავილებს. ყვავილები უფრო კაშკაშა იყო.

— ის იმარჯვებს, — სთქვა ავადმყოფმა, — მაგრამ ვნახოთ.

და ჩამოვიდა პარმაღიდან. მიმოიხედა; ვერ შეამჩნია მის უკან მდგომი დარაჯი; გადააბიჯა კვალს, და ხელი გაიშვირა ყვავილისაკენ, მაგრამ მოწყვეტა ვერ გაბედა. მან ჯერ გაწვდილ ხელში იგრძნო სიცხე, ჩხვლეტა; შემდეგ კი მთელ ტანშიც დაუარა ძლიერმა ელექტრონის ნაკადმა, რომელიც თითქოს მისთვის უცნობი ძალით გამოდიოდა ყვავილის ფოთლებიდან. ის მიიწია უფრო ახლოს, მისწვდა ყვავილს, მაგრამ როგორც მას ეჩვენებოდა ყვავილი თავს იცავდა—ყვავილი იგი ანთხევდა შხამიან, მომაკვდინებელ სუნს. მას თავბრუ დაეხვა. თავგამეტებით მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და ის იყო ხელი მოჰკიდა ღეროს, რომ უეცრად მის მხარზე დარაჯის მძიმე ხელი დაეშვა.

— მოწყვეტა არ შეიძლება, — სთქვა მოხუცმა დარაჯმა, — და ყვავილებშიც ნუ დადიხარ. აქ ბევრია შენისთანა გიჟი: თუ ყველამ თითო ყვავილი მოგლეჯა, მთელ ბაღს გაანადგურებთ, — მხარიდან ხელჩამოუღებლად, დამაჯერებელად სთქვა მან.

ავადმყოფმა დარაჯს სახეში ჩახედა, უხმოდ მოიშორა მისი ხელი და აღელვებული გაჰყვა ბილიკს. — „ო, უბედურებაო! — ფიქრობდა ის. — თქვენ ვერ ჰხედავთ, თქვენ იმ ზომამდე დაბრმავებული ხართ, რომ მასვე იცავთ. მა-

გრამ, რაც უნდა დამემართოს, მაინც მოვსპობ. დღეს თუ არა, ხვალ ერთმანეთს შევებრძოლებით ...თუნდაც დავიღუპო, განა სულერთი არ არის...“

ავადმყოფი საღამომდე სეირნობდა ბაღში, იძენდა ახალ ნაცნობებს და იწყებდა საკვირველ ლაპარაკს, რომელშიც ყოველ მოსაუბრეს ესმოდა მხოლოდ პასუხი თავის სულელურ, უსუსურ, საიდუმლოებითმოცულ სიტყვებში გამოთქმულ აზრებზე. ავადმყოფი ხან ერთ და ხან მეორე ამხანაგთან დადიოდა და დღის ბოლოს კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ „ყველაფერი მზადაა“, როგორც თავის გულში სთქვა. მალე ძალიან მალე დაიმსხვრევა რკინის გალავანი, ყველა დამწყვდეული გავა აქედან და მოედება დედამიწის ყველა კუთხეს. მთელი ქვეყანა შეირყევა, გადიგდებს ძველ ნაჭუჭს და გამობრწყინდება ახალ საუცხოვო სილამაზით. მას თითქმის დაავიწყდა ყვავილი, მაგრამ ბაღიდან გამოსვლის დროს, პარმაღზე ასვლისას სქელ დაბნელებულ ცვარით ოდნავ შეფრქვეულ ბალახებში ისევ დაინახა ორი წითელი ნაკვერჩხალი. მაშინ ავადმყოფი ჩამორჩა სხვებს, უკან ამოუდგა დარაჯს და შეირჩია შესაფერი დრო. ვერავინ შეამჩნია, როგორ გადახტა კვალში, მოსწყვიტა ყვავილი და პერანგის ქვევით გულთან საჩქაროდ შეინახა. როდესაც საღი, ცვარიანი ფურცლები შეეხო სხეულს, ავადმყოფი გაფითრდა, როგორც მკვდარი და ზარდაცემულმა ფართოდ გააღო თვალი. ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე.

საავადმყოფოში ლამფები აანთეს; ვახშმის მოლოდინში ავადმყოფების უმრავლესობა ლოგინებზე წამოწოლილიყო, მხოლოდ რამდენიმე მოუსვენარი აჩქარებით დადიოდა დერეფანსა და დარბაზებში. მათ შორის იყო ჩვენი ავადმყოფიც თავისი ყვავილით; ჯვარედინად დაკრეფილი ხელები მთელის ძალ-ღონით გულზე მიეკრა, თითქოს ცდილობდა პერანგის ქვეშ ჩამალული მცენარე გაესრისა და გაეჭეჭყა. სიარულის დროს ვისმე რომ შეხვდებოდა, შორს შემოუვლიდა — ეშინოდა ტანსაცმელითაც კი არ შეხებოდა.

— არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ! — ყვიროდა იგი. მაგრამ საავადმყოფოში ამისთანა წამოძახებას დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა. და ის დადიოდა სულ უფროდაუფრო სწრაფად, აკეთებდა სულ უფროდაუფრო დიდ ნაბიჯებს, დადიოდა საათი, დადიოდა ორი საათი რაღაც არაჩვეულებრივი გამძვინვარებით.

— დაგქანცავ! დაგახრჩობ! — ყრუდ და სიბრაზით ამბობდა იგი.

ხანდახან კბილებსაც კი აკრაჭუნებდა.

სასადილოში ვახშამი შემოიტანეს. დიდ გადაუფარებელ მაგიდებზე დადგეს რამდენიმე შეღებილი და მოოქრული ხის ჯამი ხორბლის თხელი ფაფით. ავადმყოფები მერხებზე ჩამოჯდნენ; მათ თითო ნატეხი შავი პური დაურიგეს. სჭამდენ ხის კოვზით, რვა-რვა კაცი თითო ჯამიდან. ვინც გაუმჯობესებულ კვებაზე იყო, მათ ცალკე მოუტანეს. ჩვენმა ავადმყოფმა სასწრაფოდ გადაყლაპა დარაჯის მიერ ოთახში შემოტანილი ულუფა და ამ ულუფით დაუკმაყოფილებელი გავიდა საერთო სასადილოში.

— ნება მომეცით აქ ვჭამო, — მიმართა მან ზედამხედველს.

— განა თქვენ არ გივახშმიათ? — შეეკითხა ზედამხედველიც, რომელიც დამატებით ულუფებს არიგებდა ჯამებში.

— მე ძალიან მშია და თან მჭირდება ძალ-ღონის შემოკრება; მე მხოლოდ საჭმელი მშველის... თქვენ ხომ იცით, სრულიად არ მძინავს.

— მიირთვი ჩემო კარგო, გაამოს! ტარას, მოიტანეთ ამათთვის კოვზი და პური.

ავადმყოფი მიუჯდა ჯამს და დახარბებით ბევრი სჭამა

— გეყოფათ, გეყოფათ,—სთქვა ბოლოს ზედამხედველმა, როდესაც ჭამა ყველამ გაათავა, ჩვენი ავადმყოფი კი ჯერ ჯამთან იჯდა და ერთი ხელით ჯამიდან ფაფას იღებდა, მეორე კი მაგრად ჰქონდა მიკრული გულზე.—გაგბერავსთ.

— ოხ, რომ იცოდეთ რამდენი ძალა მჭირდება, რამდენი ძალა,—სთქვა ავადმყოფმა, წამოდგა მაგიდიდან და მაგრად ჩამოართვა ზედამხედველს ხელი. — მშვიდობით!

— სად მიდიხართ? — ღიმილით შეეკითხა ზედამხედველი.

— მე? არსად. მე ვრჩები. მაგრამ შესაძლოა ხვალ ჩვენ ველარ ვნახოთ ერთმანეთი. მადლობელი ვარ თქვენი გულკეთილობისთვის.

და ერთხელ კიდევ მაგრად ჩამოართვა ხელი ზედამხედველს. ხმა უკანკალებდა, თვალებზე ცრემლები მოადგა.

—დამშვიდდით, ჩემო კარგო, დამშვიდდით, — უპასუხა ზედამხედველმა. — რა საჭიროა ასეთი მწუხარე აზრები? წადით, დაწექით და კარგად გამოიძინეთ. რაც მეტს იძინებთ, მით უკეთესია თქვენთვის; თუ კარგად იძინებთ, მალე გამოკეთდებით.

ავადმყოფი ქვითინებდა. ზედამხედველი მიბრუნდა, რომ დარაჯებისათვის ებრძანებინა ვახშმის ნარჩენების მილაგება. ნახევარი საათის შემდეგ საავადმყოფოში ყველას ეძინა, გარდა ერთი კაცისა, რომელიც გაუხდელად იწვა კუთხის ოთახში თავის ლოგინზე. ის ციებიანსავით კანკალებდა, კრუნჩხვით ისრესდა მკერდს, რომელიც მისი წარმოდგენით, მთლიანად გაჟღენთილი იყო გაუგონარი მომაკვდინებელი შხამით.

V

მთელი ღამე ავადმოფს არ სძინებია. მან მოსწყვიტა ყვავილი, რადგან ასეთი მოქმედება მიაჩნდა გმირობად, რომლის შესრულება მის მოვალეობას შეადგენდა. შუშიან კარებიდან პირველ გახედვისთანავე ალისფერმა ფურცლებმა მიიპყრო მისი ყურადღება და მოეჩვენა, რომ სწორედ ამ წუთიდან საკვებით მიაგნო თუ რა უნდოდა გაეკეთებინა სწორედ მას დედამიწაზე. ამ კაშკაშა წითელ ყვავილში იყო დაგროვილი დედამიწის მთელი ბოროტება. მან წინათაც იცოდა, რომ ყაყაჩოდან მზადდება ოპიუმი. შესაძლებელია ამ აზრმა, რომელიც გაიზარდა და მიიღო საშინელი სახე შემდეგში, აიძულა შეექმნა გამაგიჟებელი ფანტასტიური ჩრდილი.. ...ყვავილი მას წარმოედგინა, როგორც მთელი ბოროტების განხორციელება. ყვავილს შეესრუტა, რაც კი ქვეყნად უმანკო სისხლი დაღვრილა (სწორედ ამიტომ იყო ის ისე წითელი), ყველა ცრემლი და კაცობრიობის მთელი ნაღველი. ის იდუმალებით მოცული საშინელი არსება იყო, რომელსაც უდანაშაულო კდემამოსილი სახე მიეღო, ნამდვილად კი არის ღვთის სრული წინააღმდეგობა — არიმანი. საჭირო იყო მისი მოწყვეტა და მოკვლა. მაგრამ ეს არ კმაროდა. უკანასკნელი სულის ამოსვლის დროს მას ვერ უნდა მოესწრო გადმოენთხია ბოროტება დედამიწაზე. ამიტომ შეინახა მან ყვავილი მკერდთან. ავადმყოფს იმედი ჰქონდა, რომ დილამდის ყვავილი დაჰკარგავდა მთელ ძალას, ყვავილის ბოროტება გადმოვიდა მის გულსა და სულში და იქ დამარცხდებოდა ან გაიმარჯვებდა ყვავილი და მაშინ თვით დაილუპებოდა, მო-

კვდებოდა. მაგრამ მოკვდებოდა, როგორც პატიოსანი და პირველი მებრძოლი კაცობრიობისთვის, რადგან მის გარდა ვერავის გაებედნა ერთად შებრძოლებოდა ქვეყნის მთელ ბოროტებას.

— ისინი ვერ ამჩნევენ მას. ზე დავინახე. შემიძლია ცოცხალი დავტოვო იგი? მირჩევნია მოვკვდე.

ის იწვა, არარსებულ აჩრდილთან ბრძოლით ღონემიხდილი. დილით ფერშალს ცოცხალ-მკვდარი დახვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ აღგზნებამ მაინც თავისი გაიტანა, — ავადმყოფი ლოგინიდან წამოხტა და ძველებურად დაიწყო სირბილი საავადმყოფოში, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა და უაზროდ ელაპარაკებოდა ავადმყოფებს და თავისთავს. ბაღში არ გაუშვეს; ექიმმა რაკი შეამჩნია, რომ ავადმყოფი წონაში კლებულობდა, სრულიად არ ეძინა და განუწყვეტლივ დადიოდა, ბრძანა მისთვის კანქვეშა მორფის დიდი დოზა შეეშხაპუნებინათ. წინაღმდეგობა არ გაუწევია — მისი ეხლანდელი სულელური აზრები საბედნიეროდ სავსებით შეეფერებოდა ოპერაციას. მალე დაიძინა. მძაფრი მოძრაობა შესწყვიტა და მის მკვეთრ ნაბიჯების ტაქტზე მუდამ აყოლებული ძლიერი მოტივი გაუქრა ყურთასმენიდან. მეხსიერება დაუჩლუნგდა და შესწყდა ფიქრი ყველაფერზე, მეორე მოსაწყვეტ ყვავილზედაც კი.

ყვავილი სამი დღის შემდეგ მაინც მოსწყვიტა, დარაჯის თვალწინ; და ისე სწრაფად, რომ დარაჯმა გაფრთხილებაც კი ვერ მოასწრო. ხმამაღალ საზეიმო ლაღადით ავადმყოფი თავის ოთახში შევარდა; მცენარე მკერდზე შეინახა.

— შენ რატომ სწყვეტ ყვავილებს? — ჰკითხა დარაჯმა, რომელიც სირბილით თან შემოყვა.

ავადმყოფმა, რომელიც უკვე ლოგინში ჩვეულებრივად იწვა გულზე ჯვარედინად ხელებ-დაკრეფილი, ისეთი უაზრო როშვა დაიწყო, რომ დარაჯმა სიჩქარის დროს დავიწყებული წითელჯვრიანი ჩაჩი მოჰხადა მხოლოდ და წავიდა. და ლანდებთან ბრძოლა თავიდან დაიწყო. ავადმყოფი გრძნობდა, რომ ყვავილიდან გველის მსგავს, გრძელ, მცოცავ ნიაღვრად მოიკლაკნებოდა ბოროტება, ჰბოჭავდა მას, უჭერდა ტანზე, უჭყლეტდა სხეულის ნაწილებს და მთელ სხეულს ჟენთავდა საშინელი საწამლავით. მტრისადმი მიმართულ წყევლასა და კრულვასთან ერთად ის სტიროდა და ევედრებოდა ღმერთს. საღამო ჟამს ყვავილი დასჭკნა. ავადმყოფმა გაშავებული მცენარე ფეხით გათელა, ნარჩენები იატაკიდან აკრიფა და საბაზანო ოთახში წაიღო. იქ მცენარის უფორმო ნაფლეთები ქვანახშირით გავარვარებულ ღუმელში შეჰყარა და დიდხანს უყურებდა თავის მტერს, რომელიც შიშინებდა, იგმუჭნებოდა და თანდათან იქცეოდა ნაზ, თეთრ თოვლის მსგავს ფერფლად. ბოლოს სული შეუბერა და ყველაფერი გაჰქრა.

მეორე დღეს ავადმყოფი უარესად გახდა. გაფითრებულ, ღრმად ჩავარდნილ ლოყებითა და სადღაც სიღრმეში მიმალულ მოელვარე თვალებით, ბარბაცითა და ბორძიკით განაგრძობდა გაშმაგებულ სიარულს და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა დაუსრულებლად.

— არ მინდოდა ძალა მეხმარა, — უთხრა უფროსმა ექიმმა თავის თანაშემწეს.

— კი მაგრამ, ხომ აუცილებელია ამ მუშაობის შეჩერება. დღეს სულ 93 გირგვანქას იწონის. თუ ასე გაგრძელდა, ორ დღეში მოკვდება.

უფროსი ექიმი ჩაფიქრდა.

— მორფი? ქლორალი? — იკითხა მან.
— გუშინ მორფი უკვე აღარ მოქმედებდა.
— უბრძანეთ დააბან. მაგრამ, ვეჭვობ, კიდევ იცოცხლოს.

VI

ავადმყოფს გიჟის პერანგი ჩააცვეს და ტილოს ფართო ზორტებით მაგრად მიაბეს ლოგინის კადონებს, მაგრამ გაშმაგებულ მოძრაობას შესუსტების შაგიერ კიდევ უფრო უმატა. რამოდენიმე საათის განმავლობაში, ის ყოველ ღონეს ხმარობდა, ხუნდებიდან თავი გაენთავისუფლებინა, ბოლოს ძალღონე მოიკრიფა, წამოიწია, ერთმა ზორტმა ვერ გაუძლო და გაწყდა: ავადმყოფმა მოახერხა გამოძრომა, ფეხები გაინთავისუფლა დანარჩენ გადახლართულ ზორტებიდანაც და შეკრული ხელებით დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული ველური და გაუგებარი სიტყვების ყვირილით.

— ოი! შენ კი!... — დაიყვირა შემოსულმა დარაჯმა, — რა ეშმაკი ეხმარება ამას! გრიცკო, ივან, გამოიქეცით, თავი აუშვია!..

სამნი ეცნენ ავადმყოფს, და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ჰქანცავდა თავდამსხმელებს, აწამებდა და უკანასკნელ ისედაც ბილეულ ძალღონეს აკარგვინებდა თავდამცველ ადამიანს. ბოლოს, როგორც იქნა, ავადმყოფი ლოგინზე წამოაქციეს და წინანდელზე კიდევ უფრო მაგრად შებოჭეს.

— თქვენ არ გესმით რას სჩადიხართ! — სულშეხუთული ყვიროდა ავადმყოფი, — თქვენ დაიღუპებით! მე ვნახე მესამე ოდნავ გაფურჩქვნილი. ახლა ის უკვე მზადაა. მაცალეთ საქმის დამთავრება! მისი მოკვლაა საჭირო! მოკვლა! და მაშინ ყველაფერი გათავდება, ყველანი გადარჩებიან. თქვენ გაგაგზავნიდით, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია. თქვენ ერთი შეხებაც კი სიცოცხლეს მოგისპობდათ!..

— გაჩუმდით, ბატონო, დაწყნარდით! — მიმართა მის ლოგინთან მორიგეთ დარჩენილმა მოხუცმა დარაჯმა.

ავადმყოფი უეცრად გაჩუმდა. მან დარაჯების მოტყუილება გადასწყვიტა. ის დაბმული იყო მთელი დღე; ასეთსავე მდგომარეობაში დასტოვეს ღამეც. დარაჯმა ვახშამი აჭამა და შემდეგ რაღაც დაიფინა ლოგინთან და დაწვა. ერთი წუთის შემდეგ დარაჯს უკვე ღრმად ეძინა, ავადმყოფმა კი მუშაობას მიჰყო ხელი.

ის მთელი ტანით მოიღუნა, რომ შეჰხებოდა ლოგინის გარდიგარდმო რკინის კოდონს; როდესაც გიჟის პერანგის გრძელ სახელოებში ჩამალული ხელით კოდონის რკინას მისწვდა, სწრაფად და ღონივრად დაიწყო სახელოს ამ რკინაზე ხეხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ სქელმა ტილომ ხეხვას ველარ გაუძლო და ავადმყოფმა საჩვენებელი თითი გაინთავისუფლა. ამის შემდეგ საქმე უფრო სწრაფად წავიდა წინ. ჯანსაღ ადამიანისთვის წარმოუდგენელ მოხერხებით და მოქნილობით მან გახსნა უკან გასკვნილი სახელოები, პერანგს გამოხსნა ზორტი და დიდხანს უგდებდა ყურს დარაჯის ხვრინვას. მოხუცს ღრმად ეძინა. ავადმყოფმა გაიხადა პერანგი და ლოგინიდან თავი აიშვა. ის თავისუფალი იყო. კარების გაღება სცადა: კარი დაკეტილი იყო, და კლიტე დარაჯს ჰქონდა ალბათ ჯიბეში. დარაჯის გაღვიძების შიშით ავადმყოფმა ვერ გაბედა ჯიბეების გაჩხრეკა და გადასწყვიტა ფანჯრიდან გადამხტარიყო.

წყნარი, თბილი და ბნელი ღამე იყო; ღია ფანჯარაში ავადმყოფი უყურებდა შავ ცაზე ვარსკვლავების კიაფს. იგი არჩევდა ვარსკვლავთა ნაცნობ ხომლებს და უხაროდა, რომ ისინი თანაგრძნობას უცხადებდენ მოლივლივე სხივების ნიშნებით; ეს მოჩვენება კიდევ უფრო აქეზებდა უგუნური გადაწყვეტილების შესასრულებლად. საჭირო იყო რკინის სარკმელის სქელი ჩხირების გადაღუნვა, ვიწრო ჭუჭრუტანაში გადაძრომა, ბუჩქებით გაბარდულ მოსახვევში გავლა და იქიდან მაღალ ქვის კედელზე გადაცოცება. იქ კი მოხდება უკანასკნელი ბრძოლა... მერმე იყოს თუნდ სიკვდილი.

ჯერ ეცადა ტიტველი ხელებით რკინის სქელი ჩხირები მიმოეწია; რკინა ადვილად არ ნებდებოდა. მაშინ გიჟის პერანგის სახელოებიდან დაგრიხა სქელი ბაწარი, მოაბა ჩხირის ბოლოში გამოჭედილ შუბს და ჩამოეკიდა მთელი სხეულით. შუბი მოიღუნა თავგანწირული შრომის შემდეგ, რამაც თითქმის სულ გამოულია დარჩენილი ძალღონე; ვიწრო გასაძრომი გაკეთდა. გაძრომისას გადაიტყავა მხრები, იდაყვი და ტიტველი მუხლები; როგორც იყო, გავიდა ბუჩქნარში და გაჩერდა კედელთან. სიწყნარე იყო; ღამის სანათურები შიგნიდან ოდნავ ანათებდენ უზარმაზარი შენობის ფანჯრებს; ფანჯრებში არავინ სჩანდა; მას ვერავინ შეამჩნევდა. ლოგინთან მწოლარე მორიგე მოხუცი, ალბათ, განაგრძობდა ღრმა ძილს. ვარსკვლავთა სხივების ალერსიანი ციმციმი გულში სწვდებოდა ავადმყოფს.

მან შეხედა ცას და წაიჩურჩულა:

— თქვენთან მოვდივარ...

სცადა კედელზე აძრომა, მაგრამ ვერ მოახერხა, — ჩამოვარდა, — დაიკაწრა ფრჩხილები, გაისისხლიანა ხელები და მუხლები; ადვილად გადასასვლელ ადგილს დაუწყო ძებნა; იქ, სადაც გალავანი „სამკვდროს“ კედელს უერთდებოდა, რამოდენიმე აგური იყო გამოვარდნილი; ავადმყოფმა გაშინჯა ეს ადგილები და მათი საშუალებით აძვრა კედელზე, იქიდან ხელი სტაცა თელას, რომელიც მეორე მხარეზე იყო და ქვევით ნელა ჩამოყვა იმ ხეს.

ის მივარდა ნაცნობ ადგილს პარმაღთან. ყვავილს ფოთლები შეეკეცა და შავად მოსჩანდა ცვრიან ბალახზე.

— უკანასკნელი! — წაიჩურჩულა ავადმყოფმა: — უკანასკნელი! დღესაა ან გამარჯვება და ან სიკვდილი. მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია. დამიცადეთ — ავადმყოფმა ცას შეხედა — მე მალე ვიქნები თქვენთან...

მან ამოგლიჯა მცენარე, დაფლითა და გასრისა და იმავე გზით ყვავილით ხელში დაბრუნდა თავის ოთახში. მოხუცს ეძინა, ავადმყოფმა ძლივს მიაღწია თავის ლოგინს და უგრძნობლად დაეცა.

დილით ის მკვდარი ნახეს. სახე წყნარი და ნათელი ჰქონდა; დაქანცული გამომეტყველება, თხელი ტუჩები და ღრმად ჩავარდნილი დახუჭული თვალები რაღაც ამაყ ბედნიერებას გამოხატავდა. როდესაც საკაცეზე სდებდენ, ხელის გახსნა და წითელი ყვავილის ამოღება სცადეს, მაგრამ ხელი გაშეშებოდა, და თავისი ნადავლი სამარეში ჩაიტანა.

თარგმანი **მერაბ ლოლთქიფანიძისა.**

იოსებ მჯედლიშვილი

მგოსნის სიკვდილი

(ძღვნად ი. ჭავჭავაძის ბრწყინვალე ხსოვნას).

ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა...
ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

I

ერთი პატარა ქვეყანა,
პატარა მთად და ბარადა,
მშვიდ ვარსკვლავივით ბზინავდა
აღმოსავლეთის კარადა.
ერთ დროს ისიცა ჰყვავოდა
თავისი ია-ვარდითა,
ცნობილი იყო იმ დროში
თავის ცუდით და კარგითა.
გლეხი იქაცა გლეხობდა,
იქ მუშაკობდა მუშაცა,
ბრძოლაცა ჰქონდათ იმქვეყნის
მტანჯველთა დასაფუშადა...
მაგრამ მოუნდა ჩაყლაპვა
მისი ქრისტიან მყლაპავსა, —
დასტრიალებდა ზევიდან,
როგორც არწივი ბატკანსა;
დროც მოუძებნა... დააცხრა
არწივად ორთავიანად,
მაგარ კლანჭებში ჩაბლუჯა
პატარა ერი მთლიანად.
და ამ დაპყრობის საბუთად,
გასამართლებლად თავისა,
ერს პირში ბურთი დაუცო
და მორჩილ მონად დაისვა.
ხოლო ეს ბედი ამ ერის, —
სახელად იბერიანთა,
სხვა ქვეყნებს, სახელმწიფოებს
ამნაირ ამბად მიართვა:
„ვით ქრისტიანი ქრისტიანს,
შემომიერთდა ნებითო;
დღეიდან იგი იქნება
მშვიდად და მოთმინებითო“...

გავიდა ხანი... მპყრობელი
მოსანელებლად იბერთა
თან ერთობოდა მათ ტანჯვით,
თან კიდევ პირჯვარს იწერდა.
და ბოლოს მხარეს მიჰმართა:
„ვინ დაჰრჩით იბერთ ძირითო,
კუბოშია წევს დღეს იგი,
იტირეთ თუკი სტირითო —
მიყრალა უნდა მიწისა
მკვდარს საკუთარის ჭირითო“...
და მოისვენა მპყრობელმა
ამ ქვეყნის მონელებითა...
იკვებებოდა თავისი
და უცხო მშრომელებითა:
სულს ჰხდიდა ქვეყნის მარჩენალთ
ხარბი და დაუნდობელი,
მუქთახორების ბედს სჭედდა
მშრომელთა ბედის მსპობელი.
და იმპერატორს მტრად ჰყავდა
შინ მუშა რისხვით მჭექარი,
იმის კლანჭებში კვნესოდა
ხალხი გულგაუტეხარი.

ამ დროს იბერეთს გამოჩნდა
მოსარჩლე ჩარგულ ერისა,
თავადი, მაგრამ დამგმობი
მის ავი ზნის და ფერისა:
ის მთელ მსოფლიოს მუშებთან
უშიშრად ასე მღერისა:
„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზე, ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აჰყვავდების“...
ამა სიმღერას მღეროდნენ
დაჩაგრულ ერის მხარეში,
სადაც კი მეფეს დაესო
თვის ბატონობის ფარეში.
და შეიჭმუხვნა მძარცველი,
შუბლი შეიკრა მკვახედა,
ტანჯულთა გამოღვიძება,
წინ დეხატა მახედა.
— ვინ არის იგი, — იკითხავს
და მიუტანენ ცნობასა:
იბერიელთა შვილია:
იწყებს ჩვენდამი მტრობასა;
ის მგოსანია ხალხისა,
ცაზე მზესავით ჩნდებაო,
მისი ხმა მისი ერის შვილთ
გულის სიღრმემდის სწვდებაო;
ამბობს: „ვინა სთქვა ჩვენზედა,
რა დიდი ლომი კვდებაო,
ვინც ჰფიქრობს ჩვენსა სიკვდილსა,
სიკვდილი იმას ჰხვდებაო.
ალსდექი ერო... დროჟამი
გამარჯვებისა დგებაო“.
და აუხსნიან თან მეფეს:
იგი ჩვენც გვემუქრებაო.
შეწუხდა იმპერატორი,
არწივი ოქრის თავითა,
და დამცინავის ღიმილით,
მასხრულის ბილოკავითა
სთქვა: „ხმა მიეცით მგოსანსა
სამეფოს საბჭოს წევრისო, —
ხშირად ცოტაზე ჰყიდის თავს
კაცი მთხოვნელი ბევრისო.“
და საბჭოს წევრად დანიშნეს
მითომ პატივით დიდითა:
ეგონათ, გადიბირებდნენ
მგოსანს ამნაირ ხრიკითა...

ამ დროს მის იმპერიაში
დრო იწყებოდა ახალი:
მუშის და გლეხის ტანჯვებსა
ხელში აეღო ხანჯალი;
დაპყრობილ ერთა ცრემლებსაც
ეპოვნა თვისი გზა-კვალი,
გადაბმულიყვნენ ურთ-ერთზე
ყველანაირი ტანჯვანი,
რათა მოესპოთ მარადის
საიმპერიო აკვანი...

ეს ის დრო იყო, ძმობილნო,
როს ტანჯულთ აღარ ეძინათ,
როს მისდგომოდა მშრომელ ხალხს
სხივი შვებისა ლენინად,
როს ამ სხივს ახლდა სტალინი
სრულ გათენებად კეთილად
და გამთენებელ ბელადებს
ზედ უკვდავება ეფინათ...

II

იბერთა ქვეყანა არის
მიყრილ-მოყრილი მთებითა,
მთები სიმაღლით ვვატკბობენ,
მდინარეები — ყეფითა.
მთა დათოვლილა ჭაღარით,
მინდორი ბაღჩებ-მწვანითა,
ხოლო მცხოვრებნი — ტანჯვებით,
სიცოცხლით აუტანითა.
მაგრამ ერთობის ამბავი
ხალხში გასულა ძმობადა —
ახალი ხანა დგებოდა
ძველისა დასამხობადა...

სოფელი საკოხტაოა,
სახლი დგა მგოსნის დიდისა,
გლეხთ ქოხ-მახებში ისე სჩანს,
როგორც ცისკარი დილისა.

გლეხნი მის კარწინ მსჯელობენ,
ზოგნიცა მიდი-მოდიან,
ახალ დროების რიჟრაჟზე
წარსულს სწყევლიან ცოდვიანს.
ამბობენ ძმობა-ერთობას
ერთის უკვდავის აზრითა:
ამოგვიბრწყინდა მხსნელადო
გლეხებს მახვილით ბასრითა.
ამ დროს, სოფელზე ავლილი,
მგოსანი ნახა თადემა,
ურთ-ერთს დაუწყეს მოკითხვა,
ვით ძმებმა გულითადებმა:
— ვახლავარ ჩემსა თანდილას,
როგორ გიკითხო, როგორა?
— გახლავარ... ქვეყნად დავგორავ,
როგორც შავბედის გოგორა.
— რათა? ცხოვრების ვენახში
ვერ გიპოვნია გოგორა? [1])
— ვერა ბატონო, გლეხკაცი
ვერას ველირსე კეთილსა,
მაგრამა მაინც ვერა მტეხს
ბედი კარგამოკეტილსა.
— ნურც გაუტყდები... ეს მითხარ,
როგოა შენი კოკონა? [2])
ვერ დავისწავლე კარგადა,
ბიჭი არის თუ გოგონა.
— ბიჭია, შენი ჭირიმე,
ვეება დაიარება;
სახეზე მამაჩემსა ჰგავს,
ყაჩალს მიუგავს ტარება.
— ღმერთმა გიცოცხლოს, ოღონდა
უნდა გაჰზარდო სკოლაში,
თორემ რა ყრია სიკეთე
უწვრთნელი შვილის ყოლაში?
დროება დგება ახალი,
მოდის სინათლე ნეტარი,
წინ უნდა დაჰდგეთ გლეხები,
როგორაც მეხი — მედგარი.
უბრძოლად ვინ რას დაგითმობს?
ვინ გყავთ სიკეთის მიმტანი?
მებრძოლს კი ცოდნა სჭირია
თავის სიღრმით და სიგანით!
— რა ვქნა, ბატონო, ბედშავი,
მეც სულ მაგასა ვფიქრობდი:
ჩემი გიგიას სწავლასა
გულში და სულში ვიწყობდი,
მაგრამ შენც მოგეხსენება,
მარტოხელს შენცა მიცნობდი...
— მოდი შინ, ჩემთან, თანდილავ,
თუ ზეგ არ წაველ არსადა:
შენი გიგია გავზარდოთ
როგორმე კაი კაცადა —
ასე ეტყოდნენ ერთმანეთს
გლეხი თადე და მგოსანი,
იბერიელთა მოსარჩლე,
სამეფოს საბჭოს ხმოსანი.

თადე დაჰპირდა მგოსანსა
ხვალზეით სახლში ხლებასა,
მაგრამ იმავღამ ლოგინში
ხელთ ჩაუვარდა სნებასა.
ადგომამდე კი ახალ დროს
აეხსნა ყმობის აღვირი —
რევოლუცია დაეწყოთ
მუშებს ცეცხლით და მახვილით.
მეფე კი, შეძრწუნებული
იდგა ზათქიან ძახილით:
ემუქრებოდა მებრძოლებს
სახრჩობელებით, სახმილით...
ამდროს მიეხმოთ მგოსანიც
სამეფოს საბჭოს წევრადა,
სადაც ყოველი ნათქვამი
იმდროს ხალხისთვის მჭევრადა,
ჰქონდა თვითმპყრობელ მეფესა
იმავე მთქმელის მძევლადა.

(დასასრული იქნება)

---

[1]) **გ ო გ ო რ ა** — დაკრეფილ ვენახში ნაპოვნი მტევანი.

[2]) **კ ო კ ო ნ ა** — გარეული, პატარა ხვია, პატარა ტანის კაცისა თუ ქალის სახელიც არის, ბავშვებსაც ეძახიან კოკონას.

კ ო ი ტ ი კ ა

აკაკი გაწერელია

დავით კლდიაშვილი

1.

ათი წლის იყო დავით კლდიაშვილი, რუსეთში რომ ჩავიდა სასწავლებლად. სამხედრო გიმნაზიაში ყოფნის დროს მას მთლიანად გადაავიწყდა მშობლიური ენა და არდადეგებზე ჩამოსულს ხელმეორედ დასჭირდა ქართულის შესწავლა. მაგრამ მალე ისევ რუსეთს გაემგზავრა და მხოლოდ მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

როგორც სჩანს, უცხოეთში დიდხანს ნამყოფ, სხვა ხმებსა და სხვა ადამიანებს შეჩვეულ დავით კლდიაშვილზე საოცარი შთაბეჭდილება დასტოვა მისმა ქვეყანამ, უკეთ — ამ ქვეყნის პატარა კუთხემ — იმერეთმა: მისი დამკვირვებელი თვალისათვის ამ კუთხეში უცნაური ადამიანები მოქმედებდნენ, მის გამახვილებულ სმენას ახირებული საუბრები და ამოძახილები ესმოდა. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ქართველი ბელეტრისტი არ გაოცებულა თანამედროვეებით ისე ძლიერ, როგორც დავით კლდიაშვილი, არავის არ უსმენია მათი საუბრებისათვის ისე გულმოდგინედ, როგორც „სოლომან მორბელაძისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორს.

იმერეთის უმნიშვნელო, პატარა ადამიანების თავგადასავალი, მათი ტკივილები და უხერხულობანი დ. კლდიაშვილის სევდანარევ სიცილს იწვევდა. ამ კუთხის ბინადართა ეზოები, რომელთაც შემოდგომის ბინდის ლეჩაქი გადაჰკროდათ, სამუდამოდ შევიდნენ ქართულს ლიტერატურაში, როგორც შეუდარებელი სურათები ძველი იმერეთისა.

სიბერის ჟამს, როცა მახსოვრობა წაერთვა და მხედველობამ უღალატა, დავით კლდიაშვილს წაუკითხეს მისივე მოთხრობის ერთერთი პასაჟი და თავის გმირებზე ჩაფიქრებულმა მწერალმა სთქვა:

„მდა... უცნოური ამბავია!...“

საოცრად ადამიანური, მაგრამ მაინც უცნაური ამბავის შეუდარებელი მხატვარი იყო იგი.

2.

ჯერ ფონის შესახებ, — თუ როგორ ხედავდა დავით კლდიაშვილი თავისი გმირების გარემოს.

დედინაცვლის სანახავად ბრეგაძის სახლში მისული პლატონ სამანიშვილი სახლის აივნიდან ათვალიერებს მახპინძლის ეზოს:

„წამოწოლილ ბინდში ახლა კიდევ უფრო გულდაწყვეტილი შეხედულება მიიღო აქაურობამ, ვიდრე პირველ დანახვაზე ჰქონდა. პატარა, ხრიოკი, დაფერდებული ადგილი, აქა-იქ ჩამტვრეული ღობით შემოვლებული; ფერდობზე მიკრული, წინიდან ბარჯგებზე შე-

ყენებული პაწაწინა ოდა, რომლის აივანზე იჯდა ახლა პლატონი; ცოტა მოშორებით გლეხური სახლი, ალბათ, უწინ სამზარეულოდ ხმარებული, რომელიც უფროს ძმას გადაეტანა და რომელშიაც ახლა სცხოვრობდა თავის ცოლშვილით,— ეს იყო შენობები, რაც ამ ეზოში სჩანდა. ღობეს გადაღმა მოსჩანდა ისლით დახურული ერთი-მეორეზე მიკრული გლეხის სახლები".

ძუნწად, მაგრამ კარგად დახატულ ეზოს ეს სურათი, სადაც ამდენი მოწყენაა შეტანილი, წარმოადგენს ასპარეზს დ. კლდიაშვილის გმირებისათვის. ეს ფონი ტიპიურია. პლატონ სამანიშვილი, რომელიც მამასთან გაყრის შემდეგ ცალკე იწყებს ცხოვრებას, იგონებს იმ გარემოს —

„რომელსაც ამ ერთი წლის წინად ისეთის შეცოდებით მისჩერებოდა დავითის აივნიდან".

რომ ასეთია, ავტორის წარმოდგენით ბინდის თალხ ბადეში გახვეული ეზოები იმერეთისა, სჩანს ზემოთმოყვანილი სურათის შემდეგი ვარიაციებიდან მის სხვა მოთხრობებში.

მაგ. „ქამუშაძის გაჭირვებიდან":

„ამასობაში სტუმარი აივანზე იჯდა და ბრეკიდან, რომელზედაც წამოსკუპული იყო ოტიას პაწაწინა ორთვალიანი სახლი, გადასჩერებოდა მის თვალწინ გადაშლილ სურათს;

თავდაშვებული დაღმართი, რომელზედაც ოტიას სახლის გარდა კიდევ ბევრი მოსახლენი მოსჩანდნენ, ქვევით ვაკდებოდა . . . . . .

. . . . . .

პატარა, უფრო ქოხების მაგვარი, სახლები საცოდავად გამოიყურებოდნენ და ერთი-მეორეს მისდევდნენ, ან შორდებოდნენ, თავ-შეყრილად იყვნენ, თითქო ეწადათ უფრო თვალსაჩინოდ დაენახვებინათ მათი პატრონების მდგომარეობა, თუ ვინმე მოიწადინებდა ამას".

იმავე მოთხრობაში:

„ზამთრდებოდა. ფოთოლ-გაცვინული, გატიტვლებული ხეები აღარ მალავდნენ, უფრო გამოაჩინეს დაბალი, პატარ-პატარა, ზოგან მერცხლის ბუდესავით ფერდოებზე მიკრულ-მიკოსებული სახლები, სახურავებიდან ამომავალი კვამლის შავ ბურ თავ-დადგმული".

დავით კლდიაშვილი შესანიშნავად აკვირდება ყოველ წვრილმანს, ყოველ მოძრაობას ამ ეზოებში. მას გამოყოფილი აქვს მიუცილებელი ატრიბუტები თავისი სურათისათვის — თავსაფრიანი ქალები და ტიტველი ბავშვები.

პლატონ სამანიშვილი ესტუმრება თავის დას:

„ეზოს კარებში ყმაწვილი ქალი გულზედ ახუტებულის ბავშვით თავზე ადგა გლეხს, რომელიც ალბად ბოსტანს რაგვავდა. ქალი მობრუნდა, რაკი გლეხმა ანიშნა ეზოში სტუმრის შემოსვლა, მიაჩერდა მას და, რა იცნო თავისი ძმა პლატონი, უცბათ ჩამოსვა მიწაზე ბავშვი, გ ა ი ს წ ო რ ა თ ა ვ ს ა ფ ა რ ი და ერთის ძახილით, სიხარულით აფრენილი გამოექანა ძმისაკენ".

სხვა ადგილებში თავსაფრიანი ქალები და პერანგამარა ბავშვები უფრო ხშირად ჩნდებიან.

მაგალითად, არისტო და პლატონი შედიან ბრეგაძის ეზოში:

„ო დ ი ს ყ უ რ ი დ ა ნ თ ა ვ ს ა ფ ა რ წ ა კ რ უ ლ ი ქ ა ლ ი ს თ ა ვ ი გ ა მ ო ჩ ნ დ ა და ი მ წ ა მ ს ვ ე მ ი ი მ ა ლ ა; მერმე იქიდანვე გამოხტა წვივებ-გატიტვლებული, პ ე რ ა ნ გ ა მ ა რ ა ბ ა ვ შ ვ ი, მიტრიალდა უცბად, ა მ ო ე ფ ა რ ა ს ა ხ ლ ი ს ყ უ რ ე ს და იქიდან დაუწყო ცქერა მოსულებს".

ძველი იმერეთის ეს სურათი დაუვიწყარია თავისი სისრულითა და ტიპიურობით. დ. კლდიაშვილმა იცის მის მიერ ნაპოვნი დეტალის ფასი და ამიტომ არაერთხელ უბრუნდება მას სხვა მოთხრობებშიც. შეადარეთ შემდეგი ადგილი მოთხრობიდან „ქამუშაძის გაჭირვება":

„ს ა ხ ლ ი ს ყ უ რ ი დ ა ნ გ ა მ ო ჩ ნ დ ა თ მ ა-გ ა ძ ე ძ ი ლ ი, მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ე კ ვ ი რ ი ნ ე ს თ ა ვ ი. ცხენოსანმა თვალი მოჰკრა მას და ხმა-მაღლა მიაძახა:

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ, მამიდას, მამიდას!

ეკვირინე ერთი წუთით მიიმალა და ისევ გამოჩნდა. თავსაფარ-დახურული იგი მოხუცებული ადამიანის კუნკულით გამოექანა ამათკენ და, აქლო-შინებული შეღმართში ამორბენით, მიესალმა სტუმარს".

მოთხრობიდან „მრეკლში":

„დაძახილზე სახლიდან გამოვარდა ახალგაზრდა ქალი, თავსაფარწაკრული, სახელოებწაკაპიწებული".

მოთხრობიდან „მიქელა":

„რამდენიმე თითქმის ტიტველა ბავშვი, ტალახში ჩამდგარ გვერდზე გადაწეულ საღო-რესთან, გარს შემოხვეოდა წელში აბზუკულ, გამხდარ ღორს, რომელიც მათ ხითხითში სა-ცოდავად ჰყვიროდა, მოგრეხილი დაშინებულ წკეპლების ქვეშ. დაინახეს უცხო კაცი თუ არა ბავშვებმა, იმ წამს გადააგდეს წკეპლები, გადავარდნენ დაბალ ღობეს გადაღმა და სახლს ამოფარებულმა დაუწყეს მზერა მოსულს".

დავით კლდიაშვილი რომელიმე პერსონაჟის თვალით მიაცილებს თავის გმირებს ამ ეზოებს გადაღმაც, — ორრიგად მიმავალ ხეებსა, შუკებსა და ორ-ღობებში. მაგ. ბეკინა ხედავს:

„პლატონმა გადაიარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და მალე ორღობეში მიმავალი, გზას იქით-აქეთ მიმყოლ ხეებში მიიმალა".

ან კიდევ — და ეს ნამდვილი შედევრია აღწერისა — შეზარხოშებულ კი-რილეს გაქცევა ჯიმშერის სახლიდან:

„—გოუღეთ... გოუღეთ მაგ შეჩვენებულს ჭიშკარი... გოუღეთ... მაგ თავლაფდასხმულს, მაგას! — მიაყვირა უკან ჯიმშერმა.

— რა არი, ყმაწვილო... რანაირი საქციელია? — შეუტია ჯიმშერს სალომემ,—რა ჭკუაა ახლა მაგ?

და შეწუხებული ქალი, ერთს ადგილას გაშეშებული მჰსჩერებოდა ქვევითკენ მიმქ-როლავ ძმისწულს, რომლის ქუდიღა მოსჩანდა, თითქო ქარისაგან მოტაცებული, ღობეების სარებ ზევით".

ოდის ყურიდან წამიერად გამოჩენილი თავსაფრიანი ქალები, სახლს ამო-ფარებული ან. „გვერდზე გადაწეულ საღორესთან" მდგარი პერანგამარა ბავ-შვები, ორღობეში მიმავალი ცხენოსნები და ბოლოს — ღობის სარებ ზემოთ მიმქროლი, თითქოს ქარისაგან მოტაცებული ქუდი, — ასეთია დ. კლდიაშვილის აღწერის დეტალები. ეს რეალისტური, აკვარელივით შესრულებული სურათე-ბი, რომლებიც ყურადღებას იქცევენ მინიატურული სისრულითა და მოულო-დნელობით, იშვიათად თუ მოგვაგონებს რომელიმე სხვა ქართველი ბელეტრის-ტის პროზის ადგილებს. მათი ანალოგიები მხატვრობაში ან უახლოეს ქართულ ლირიკაში თუ შოიძებნება.

3.

იგი დიალოგის დიდი ოსტატია. ეს არის მისი ხერხი პერსო-ნაჟის დახასიათებისა და ჩვენებისა.

(როგორც თხრობის ოსტატი იგი არ არის ძლიერი, — ასეთს ადგილებში მწერალს ღალატობს საღებავები, მისი ენაც ზოგჯერ უფერულია).

დ. კლდიაშვილს დაჭერილი აქვს იმერელი აზნაურის საუბრის ყოველი ნუ-ანსი, წინადადების მიმოხრა, თავისებური გამოთქმები, აკვიატებული სიტყვები, ამოძახილები და ხშირად — მნიშვნელობას მოკლებული ბგერებიც კი. საკმარი-სია მისმა პერსონაჟებმა ხმა ამოიღონ, რათა ყოველგვარი საზღვარი წაიშალოს სინამდვილისა და ხელოვნების შორის, — იმდენად ცოცხალნი და დამაჯერე-ბელნი არიან ისინი.

ამასთანავე — მწერალს არსად არ ღალატობს ზომიერების გრძნობა და საუბრის გადმოცემისას იგი არაჩვეულებრივ სიფრთხილეს იჩენს. დ. კლდიაშვილი დიდი ტაქტის მქონე მწერალია.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ მოსაზრებათა საილუსტრაციოდ.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ერთვარი რუდიმენტი იმერული ლაპარაკისა, რომელიც დ. კლდიაშვილის პერსონაჟების უმრავლესობისათვის მიუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საუბრებში: ეს არის გამოთქმა — „კაი დაგემართოსთ!“ ან „-ისემც კარგი დაგემართოსთ!“

„ — სად მიხვალთ, ყმაწვილო? — შეეკითხა გვერდევანიძე პლატონს.

— აგერ გიახლებით, ბატონო, მაღლაშენში! — და პლატონი შეჯდა ცხენზე.

— კაი დაგემართოსთ! აბა მგზავრები ვყოფილვართ ამ ერთ ხანაზედ...‘

პლატონს ეკითხება არისტო, მართლა ეძებთ თუ არა სადედინაცვლოსო:

„ — ვეძებ! — მიუგო მან ბოლოს.

— თქვენ ძმა გყავთ?

— არა.

— და?

— გათხოვილი!

— კაი დაგემართოსთ!.. და ა. შ.

არისტო და პლატონი მორიგდებიან.

„ — კაი დაგემართოსთ, კაი დაგემართოსთ!.. აბა ხვალ ნუღარ გადავდებთ!“

არისტო საერთოდ ხშირად იმეორებს ამ გამოთქმას. ახლა სხვა პერსონაჟებსაც მოვუსმინოთ:

„ — კაი დაგემართოსთ — დაატანა სიტყვა მიქელამ“. („მიქელა“).

ეს გამოთქმა განსაკუთრებით ახასიათებს დარისპანის საუბარს („დარისპანის გასაჭირი“):

„დ ა რ ი ს პ ა ნ ი . . . . . ქალიშვილები რამდენი გყავთ, ონისიმე ჩემო?

ო ნ ი ს ი მ ე — სამი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ისემც კარგი დაგემართოსთ!“ და მრავ. სხვა.

დავით კლდიაშვილმა საბოლოოდ დააკანონა ეს გამოთქმა, როგორც იმერელის ყოველდღიური საუბრის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი.

ასეთსავე აკვიატებულ სიტყვებს წარმოადგენს აგრეთვე „რას იზამ?“ და შიმართვა „ბიძიკო!“

„ — მაგ მეც ქე ვიცი მარა რას იზამ კაცი?“

(„სოლომან მორბელაძე“)

მამა ზოსიმეს ეუბნება პეტრია:

„ — ნამეტანი გადასხვაფერდა ეს ხალხი!.. ნამეტანი გადასხვაფერდა... სულ გამოიცვალა! რ ა ს ი ზ ა მ ა დ ა მ ი ა ნ ი? ნამეტანი შეუსმენელი შეიქნა!.. გეირყვნა ქვეყანა, ნაძდვილად გეირყვნა, რომ ვუყურებ! მ ა რ ა რ ა ს ი ზ ა მ კ ა ც ი, რ ა ს ი ზ ა მ?“

(„მრევლში“).

ქორწილში ჩხუბგადახდილი კირილე უძახის გოგოს:

„ — ბიძიკო, თუ შეიძლება, ეს ჩოხები, რავარც იქნება, ისე გამიკლამბე“. („სამანიშ. დედინაცვ.“).

„დარისპანის გასაჭირში“ სასიძოს სურს გაიგოს, აქვს თუ არა ქალს მზითევი:

„ს ო ს ი კ ო — აქვს რამე?

ო ნ ი ს ი მ ე — ამ აბზეკილი ცხვირისა, წვრილი ტანისა, შეღებილი წარბებისა და მარდი ფეხებისა, — მეტი არაფერი, ბიძიკო!“

ასევე ხშირად ხმარობენ დ. კლდიაშვილის გმირები სიტყვებს „იმე“ „აბა!“ და სხვ. ეს გამოთქმები არაჩვეულებრივად ცოცხალ ელფერს აძლევენ მწერლის

დიალოგებს. ხშირად ერთმარცვლოვან დამხმარე სიტყვებს დაკისრებული აქვთ უფრო მეტი მნიშვნელობის გამოხატვის ფუნქცია, ვიდრე ეს მათ შეუძლიათ.

დარისპანის სულიერ განწყობილებას კარგად გადმოგვცემს გარკვეული კილოთი წარმოთქმული ეს ადგილი (და განსაკუთრებით მისი ბოლო):

„დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ჰმ!.. იმ გამჭკნარ ნათლიდედას თუ სული უწუხს სამი ქალიშვილის სახლში ჯდომით... მე, შე დალოცვილო, ოთხი მყავს... ოთხი მყავს... ყოფილიყავი ჩემს ადგილას, ნახავდი რა ამბავშიაც იქნებოდი! კი! (გადის ბალკონზე გაჯავრებული)".

ჩვენ ქვემოდ კიდევ დავუბრუნდებით ამ ერთმარცვლიანი სიტყვის („კი") როლს დ. კლდიაშვილის დიალოგებში. ახლა კიდევ ერთი მაგალითი:

პლატონი და კირილე გაემგზავრებიან ბეკინას საცოლოს საძებნელად:

„ასე სიცილით და ხალისიანად მიემგზავრებოდენ ორივენი, რომ უეცრად კირილემ ხელი შუბლზე შემოირტყა, შეაჩერა ცხენი და წამოიძახა:

— აუიჰ!

— რა იყო? — მიაკითხა პლატონმა შეშინებით. — რა იყო, კირილე?

— არაფერი, არაფერი, გავწიოთ ჩვენთვის".

კირილეს გაახსენდა, რომ ის ქორწილში იყო დაპატიჟებული!

ამ ამოძახილის („აუიჰ") მნიშვნელობა იცის ყველამ, ვინც იმერული საუბრის ხასიათს იცნობს კარგად. და ამ ბგერებშიც ისევე კარგად არის დაჭერილი იმერული კილო, როგორც არისტოს მთელ ფრაზაში პლატონთან საუბრისას: „... იმიტომ წაგყევი, საქმე გაგაკეთებინე... ცუდი რა მიქნია, ძ მ ა ო ჩ ე მ ო ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო!?".

4.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებს, ისევე, როგორც კნუტ ჰამსუნის ნევრასტენიულ ინტელიგენტებს, მკვიდრად არ უდგათ ფეხი ნიადაგზე, — ისინი თითქოს ეფლაუჭებიან მას. ეს გარემოება ექსცენტრიული ბუნებით აჯილდოვებს მათ.

თვითეულ მათგანს რაიმე პროექტი აქვს განსახორციელებელი, — არსებობისათვის ბრძოლამ აიძულა ისინი მოფუსფუსე, თუმცა ხშირად უშედეგო, ძიებაში იყვნენ გართულნი. ყველას ნება ისეა მომართული, მათი არსებობის ყოველი წუთი ისეა დამძიმებული ხვალინდელ დღისათვის ზრუნვით, რომ ჩვეულებრივი საუბრისათვის მათ არაკი სცალიათ; მათთვის უცნობია მხიარული, უდარდელი სჯაბაასი (გამონაკლისი — კირილე მიმინეიშვილი!); მაგრამ დ. კლდიაშვილის გმირებმა ისიც კარგად იციან, რომ შეუძლებელია ყოველთვის და ყველგან პირდაპირ საქმეზე სიტყვის ჩამოგდება. სხვა რომ არა იყოს, იმერული ზრდილობა და ეტიკეტი მოითხოვს ამას. ამავე დროს, ბაასის გაჭიანურებისათვის მათ არასოდეს არა აქვთ დრო და ხანმოკლე პაუზების ჟამს ყოველთვის უხერხულად გრძნობენ თავს. მწერალი შესანიშნავად გამოსცემს ამ მომენტს.

სოლომან მორბელაძე ეწვევა ბესარიონ საქარაძეს.

„. . . . . .

— ხომ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო? — მოიკითხა სოლომანმა პელაგია.

— გახლავარ შენი ჭირიმე!.. — უპასუხა მან, — თქვენ, ბატონო?

— გმადლობთ... გახლავართ, ისე!

— კაი დაგემართოსთ — წაილაპარაკა პელაგიამ... ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნამეტანი სიცხე დეიკავა... ერთობ შეგვაწუხა სიცხემ აქეთ!.. — დაიწყო პელაგიამ.

— ჩვენც, ბატონო, ჩვენც!

— შარშან არ ყოფილა ამ დროს ამისთანა სიცხე... უფრო გრილი იყო... წვიმებიც იყო... ახლა კი...

— კი, ბატონო, კი!... წრეულს წვიმა სულ არ ყოფილა თითქმის... დეიწვა ქვეყანა, თქვენი მტერი დეიწვას! — უგუნებოდ ამბობდა სოლომანი და ბესარიონმაც შეამჩნია, რომ ეს ყოველად უმნიშვნელო ლაპარაკი აწუხებდა სოლომანს. ამასთანავე თვითონაც ეჩქარებოდა მალე გაეგო თუ რა ამბავი მოუტანა მაშვალმა, მაგრამ ელპიტეს აქ ყოფნა უშლიდა. ამიტომ მოინდომა, ქალიშვილი თავიდან მოეშორებინა.

— რა დროს შარშანდელ ამინდებზედ მუსაიფია, შე ქალო! — უთხრა მან ცოლს"... და ა. შ.

და როცა დ. კლდიაშვილის გმირები მთავარ საგნებზე საუბარს ამთავრებენ, მათ შორის კვლავ ის უხერხულობა ჩამოვარდება ხოლმე, რომელიც ასეთ საუბარს წინ უძღოდა.

არისტო და პლატონი მორიგდებიან:

„ამ საგანზე ლაპარაკი გამოლეულად უნდა ჩათვლილიყო ვახშმობამდე. ორივე ჩაჩუმდა, სანამ ახალ სალაპარაკო საგანს მიაგნებდნენ.

— კი არ გაყინულა ჩაი!.. — წაავლო ხელი სტაქანს არისტომ. — შენ რომ არა, უფრო თბილის დალევა მოგვიხდებოდა ორსავეს. — ღიმილით დაატანა მან.

— ცივი კბილებს შეინახავს. — მიუგო პლატონმა.

— ეგეც მართალია! — სთქვა არისტომ..."

მაგრამ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები იშვიათად ეთანხმებიან ერთმანეთს. თვითეული ცდილობს მეორე დაარწმუნოს, თუ შესაძლებელია — მოატყუოს კიდეეაც. როცა ვერ მორიგდებიან ხოლმე (ზედმიწევნით იცნობენ ისინი ერთმანეთს!) იხმარებენ თვალებს, სახის გამომეტყველებას მოპირისპირეში ნამდვილი აზრის ამოსაკითხავად:

„ოტია შეჩერდა და მ ა შ ვ ა ლ ს თ ვ ა ლ ი გ ა ე უ ყ ა რ ა. ზედ ემჩნეოდა, რომ მას რაღაც ეპვი ეპარებოდა გუნებაში" („ქამუშაძის გაჭირვება").

ბეკინას აჯერებენ, რომ ორ ნაქმარევი ქალი კარგი იქნება შენთვისო:

„— ჰო, ორ ნაქმარები!.. — გაიმეორა სიტყვა გაგრძელებით პლატონმა. — რა უნდა უჭირდეს?.. შენ არ მომიკვდე არაფერი!

— რას ცუღლუტობ, შე კაი კაცო!? — თ ვ ა ლ ი თ ვ ა ლ შ ი გ ა ე უ ყ ა რ ა ბ ე კ ი ნ ა მ — რას ცუღლუტობ, ვაჟბატონო?!"

ზოგჯერ ეს შინაგანი ბრძოლა — თვალების შემწეობით — განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს პერსონაჟებს შორის, როცა რომელიმე მათგანი გაჭირვებაში იმყოფება.

მოტყუებული სოლომან მორბელაძე ეუბნება ქაიხოსროს:

„— აბა, შენ არაფერს მომცემ?

— არაფერს. გითხარი ბესარიონი მოგცემს.

— ნუ შვები მაგ საქმეს, ქაიხოსრო! — დ ა ს ო ლ ო მ ა ნ მ ა ც ა ლ ი თ ვ ა ლ ი თ დ ა ე უ წ ყ ო ყ უ რ ე ბ ა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს.

— მე გითხარი და ისაა... ტყვილა იწუხებ თავს! — უპასუხა მან".

მწერლის მზერა აქ ისევე უცთომელია, როგორც მისი სმენა, რომელსაც ასე კარგად აქვს დაჭერილი ქაიხოსროს იმერული კილოთი ნათქვამი:

— „მელა ხარ, მელა, სოლომან ჩემო!"

5.

დავით კლდიაშვილის მთავარი გმირები ყოველთვის მოგზაურობენ: სოლომან მორბელაძე სამაჯანკლოდ დადის; პლატონ სამანიშვილი სადედინაცვლოს ეძებს; მამა ზოსიმე მრევლში მოგზაურობს; დარისპანს თავისი ქალი დაჰყავს გასათხოვრად სოფლიდან სოფელში, როსტომ მანველიძე ნაცნობებში დაეხეტება...

ყველანი დასუსტებულ ცხენებზე ან ჯორებზე სხედან. ეს მომენტი ანათეს-სავებს ჩვენ ბელეტრისტს სერვანტესთან.

დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გამხდარი ცხენები და ჯორები არაჩვეულებრივად ერთგულნი არიან თავიანთ პატრონებისა, იტანენ ყველა სიძნელესა და გასაჭირს მათთან ერთად.

ყველას ახსოვს სოლომან მორბელაძის ჯორი:

„... ღია ჭიშკარში შემოიჯირითა მოჩაქჩაქე ჯორით მამაკაცმა“... „...სოლომანი გულამღვრეული მიაჩაქჩაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ სცემდა დეზებს საწყალ პირუტყვს“... („სოლომან მორბელაძე“).

„(მამა ზოსიმე) მოუსვენრად სცემდა ქუსლებს პატარა ჯორს, რომელიც თანდათან უმატებდა ჩიქჩიქს“ („მრეველში“).

„... შემოჰკრა დეზი თაგვის მსგავს ჯორს“. (იქვე).

როგორც ვთქვით, ეს პირუტყვები ყოველთვის გამხდარნი არიან და საცოდავად გამოიყურებიან. „სოლომან მორბელაძეში“ ან „სამანიშვილის დედინაცვალში“ საკმაოდ ხშირადაა მითითებული ავტორის მიერ ამ ნიშანზე. მწერლის სხვა მოთხრობებშიც ვხვდებით ასეთს დახასიათებას. მაგ.

„შეჯდებოდა როსტომი თავის გამხმარ, ბებერ ჯორზე...“ და ა. შ. („როსტომ მანველიძე“).

ვისმესთან სტუმრად მისვლისას ცხენოსნები ყოველთვის ცდილობენ თავიანთ გამხდარ პირუტყვებზედაც იზრუნონ, რადგან შინ მათი საკვები არ მოეპოვებათ. ამას ისინი აკეთებენ მოხერხებულად, თითქოს-და საკუთარი ღირსების დაუმცირებლად.

„— ჯორი ჩამოართვი, ბიჭო! — უბრძანა ბესარიონმა. სოლომანმა მისცა ჯორი პატარა ბიჭს, ჩამოუშვა ჩოხის აკეცილი კალთები, გაიბერტყა მტვერი, გადაელაპარაკა ბიჭს — აბა, ბიძი, შენ იცი ჯორს კარგად მიჭმიე, — დაბალი კიბე ცქვიტად აირბინა და ავიდა აივანზე.

— დილა მშვიდობისა, სოლომან ჩემო! — შეეგება ბესარიონი.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბატონო! — მიუგო სოლომანმა და ჯორიკენ გადმოიხედა.

ამ უკანასკნელს მაღლა აეღირა თავი და პატარა გიგოიას უძალიანდებოდა, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თუმცა საწყალი ბიჭი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლაგამში ეჭაჩებოდა.

— ჩიშ, ჩიშ! შე ეშმაკის კერძო! — გადმოსძახა სოლომანმა: — გასაძღომად მიყევხარ შე უბედურო! ჩიშ, ჩიშ!

ჯორმა თითქო გაიგოო პატრონის სიტყვა და გაჰყვა ბიჭს.

— მაგ საწყალს ჰგონია, სახლში რომ ტყვილა თავჩამოკრული აბია, აქაც ისე დამემართებაო, და თავის გუნებაში ისევ გარეთ, წმინდა ჰაერზე ყოფნას რჩეობს! — სიცილითა სთქვა სოლომანმა“.

ასე, — ხუმრობასა და სიცილში ჩაატარა სოლომანმა დამამცირებელი ჟესტი, თითქოს არც ამხილა თავის ჯორის სიმშილი.

უფრო პირდაპირ იქცევა არისტო ქვაშავიძე („სამან. დედინ.“); ბრეგაძეებისას მისვლის დროს, ეზოში, ის არ ივიწყებს თავის ცხენს და სერაპიონს ეუბნება — დღესვე უნდა გავბრუნდეთ და ცხენებისათვის საკვები გვიშოვეო, და მოხერხებულად მოაგონებს იმასვე მცირე ხნის შემდეგ საუბარში:

„— ბატონი ძალიან გემდუროდათ, რომ არ ნახულობდით! — მიმართა არისტოს ნუჩიამ, ჩვეულებრივის მისალმების შემდეგ.

— ახლა საქმე ისე მაქვს, რომ აწი ალარ ვათქმევინებ მაგნაირ სამდურაოს ჩემზე! — მიუგო არისტომ.

— კაი დაგემართოსთ! — სთქვა ელენემ.

— აგერ ნახავ! — სთქვა არისტომ და მ ე რ ე უ ც ე ბ დ ა ა ტ ა ნ ა: — უკაცრავად ვარ, სერაპიონ ჩემო, ცხენებისათვის რომ გთხოვე... აწი ქე დაღამდება-და...“

არისტო არსად არ წასულა იმ ღამით!

რომ ამ შტრიხსაც შეგნებულად მიმართავს მწერალი, სჩანს კიდევ ერთი შეხვედრილი ადგილის მიხედვით;

მამა ზოსიმე და მისი განუყრელი თანამგზავრი, „სულელი სტოროჟი“ პეტრია მიდიან ავადმყოფის საზიარებლად:

„[ზოსიმემ] შეიყვანა ჯორი გაღებულ ჭიშკარში და დაბალი ისლით გადახურულ სახლის დერეფანთან გადმომხტარმა, ჯორი შემოგებებულ ალფეზა-ბიჭს გადასცა. ამ დროს პეტრიაც გამოჩნდა ეზოში.

— ჩალა უშოვე მაგას! — უთხრა პეტრიამ ბიჭს, როცა ის ჯორს ბოძთან აბამდა“.

(„მრეგლში“).

აქვე უნდა აღინიშნოს დ. კლდიაშვილის გმირების ერთი საერთო თვისება: ისინი ძალზე ამპარტავნები არიან. ასეთი ხასიათი მათ სასაცილოდ ხდის ხელმოკლეობისა და გაჭირვების ჟამს.

სოლომან მორბელაძე დიდხანს ეპატიჟება სტუმარს ვახშმად, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იცდის. როცა ცოლი ეუბნება, „რომ ეპატიჟებოდი იმ კაცს, რა გეგულებოდა სახლში მისატანადო?! — აივნის დასაჯდომ ფიცარზე წამოწოლილი სოლომანი ამაზე უპასუხებს: „ერთი ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა შე ქალო!... გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვეულება რომ არ იცოდესო?!“.

„ჩვენებური ჩვეულება“ — ამპარტავნობა იქაც, სადაც ამისთვის საფუძველი არ მოიძებნება — კარგად აქვს აღნიშნული დ. კლდიაშვილს.

საერთოდ, — თავმოყვარეობის დაცვა მისი აზნაურების მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს, — თვით უაღრესად არახელსაყრელ, გარემოებაშიც. ეს მომენტი ხშირად კურიოზულ მდგომარეობაში აყენებს მათ.

არისტო ქვაშავიძე დიდის მონდომებით უყვება პლატონ სამანიშვილს ქვედურეთში მცხოვრები ქვრივის, თავისი მამიდის ღირსებებზე. პლატონს მოაგონდება, რომ მგზავრობის დროს მას ამ ქვრივზე ელაპარაკებოდა აგრეთვე გზადშეხვედრილი ადვოკატი გვერდევანიძე, ბიძა არისტოსი. როცა არისტო გაიგებს ამას, იგი აჩქარებული მოჰყვება გვერდევანიძის გინებას და უმატებს — „მის სიტყვის დაჯერება გაგონილა?“

პლატონი ამშვიდებს მას:

„— არა ყმაწვილო, გინებით არც იმას უგინებია ის ქალი, ის-კი არა, ძალიან აქო... ძალიანაც აქო...

— ასე დაგეწყო, შე დალოცვილო, თავიდანვე... ტყვილა გამალანძღიე ნათესავი“...

და ბოლოს, დამშვიდებული ცნობით, რომ ბიძა მისსაც შეუქია მამიდამისი, არისტო კმაყოფილად ასკვნის:

„— ალბათ ღვთის ნებაც ურევია ამ საქმეში, თვარა ერთნაირად მოლაპარაკე კაცი სადმე შეგხვედრია შენ ჩვენში, თუ ძმა ხარ!“

სწორედ ეს ორპირობა — „ჩვენებური ჩვეულება“ — აიძულებთ დ. კლდიაშვილის გმირებს ურთერთის სიტყვას არ ენდონ, ხშირად თვალით შეამოწმონ ბოლმე ერთმანეთი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . .	9 „
ცალკე ნომერი . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ფასი 1 მ. 50 კ.

h 553
1940

Ежемесячный журнал
„ЧВЕНИ ТАОБА"
Сахелгами 1940 г. Тбилиси